

K 19 216
4

ՀԱՅԿԱՅԻՆ
ՅՈՒՐԱԿՆԵՐԻ
ԿԵՆՏՐՈՆ

ՀԱՅԿԱՅԻՆ ԵՊԻՍԿՈՍՈՍՆԵՐԻ ԿԵՆՏՐՈՆ



ՔՐԻՍՏՈՍԻԱՆ
ՅԵՍՈՒՍԻԱՆ ԿՐԻՍՏՈՍԻԱՆ

I

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია

КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ



საქართველოს ისტორიის წყაროები

55



VIII

ქართული წარწერების კორპუსი

III.

ფრესკული წარწერები

I

აჭენის სიონი

გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურ-
თეს გურამ აბრამიშვილი და ზაზა ალექსიძემ

0000-2000
2000-2000

საქართველოს
ბიბლიოთეკა

499621-71 + 417.1(0922)

63 2 (2 F)
ს 323

1) ქახეთი რეზერვუარი ძეგლები
2) აცნობი სიონი



წიგნში ქვეყნდება ატენის სიონის ინტერიერის კედლებზე მიკვლეული ყველა ფრესკული (საღებავით შესრულებული) წარწერა ფოტოპირებით, გრაფიკული მონახაზებით და კედლებზე განაწილების სქემებით. წარწერები უმნიშვნელოვანეს მასალას შეიცავენ ძეგლის, რეგიონისა და საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ისტორიის ბევრი პრობლემის შესასწავლად.
წიგნი განკუთვნილია ფართო პროფილის ქართველოლოგთათვის.

В книге публикуются все фресковые (выполненные красками) надписи, обнаруженные на стенах интерьера Атенского Сиона. Публикации надписей снабжены фотокопиями, графическими прорисями и схемами расположения надписей на стенах памятника.

Фресковые надписи Атенского Сиона содержат ценнейший материал для изучения политической и культурной истории Грузии.

Книга рассчитана для широкого круга картоведологов.

მთავარი სარედაქციო კოლეგია

შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე, რ. კიკნაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი, გ. ნადარეიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ვ. ძიძიგური, ე. ხოშტარია, გ. ჭიბლაძე.

სერიის რედაქტორი ზ. ალექსიძე
ტომის რედაქტორი შ. ძიძიგური

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:


Ш. В. Дзидзигури (главный редактор), М. Д. Абашидзе, З. Н. Алексидзе, Г. Н. Джибладзе, В. И. Дзидзигури, Т. С. Каухчишвили, Р. К. Кикнадзе (зам. гл. редактора), Г. Л. Меликишвили, Г. Н. Надарейшвили, Э. В. Хоштария

Редактор серии З. Н. Алексидзе
Редактор тома Ш. В. Дзидзигури



შ 0502000000 161—89 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989
M 607 (06)—89

ISBN 5—520—00411—0.



წინასიტყვაობა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის ჩამოყალიბებისთანავე ეპიგრაფიკისა და ხელნაწერთა მინაწერების სექციამ შექმნა ფრესკული წარწერების გამოვლენისა და ფიქსაციის მუდმივმოქმედი ექსპედიცია, რომელმაც ფრესკული წარწერების პირველი ტომისათვის მასალების შეგროვება დაიწყო გორის რაიონში, მდ. ტანას ხეობაში. სხვადასხვა წლებში ექსპედიციებში (ხელმძღვანელი ზ. ალექსიძე, მოადგილე — გ. აბრამიშვილი) მონაწილეობდნენ: მ. აბრამიშვილი, გ. გაგოშიძე, ნ. გედევანიშვილი, ნ. იოსელიანი, ე. კაველაშვილი, მ. მაჭავარიანი, რ. პატარიძე, ი. სენიუკი, მ. სურგულაძე, მ. ჩაჩიბაია, ო. ჩუბინიძე, ნ. ჯაფარიძე. თავდაპირველად განზრახული იყო, პირველი ტომი დათმობოდა გორის რაიონს. ექსპედიციამ, ბუნებრივია, მუშაობა დაიწყო ატენის სიონიდან, ვინაიდან ცხადი იყო, რომ იგი ყველაზე მდიდარ და მნიშვნელოვან მასალას შეიცავდა. ამასთანავე, ექსპედიციის ხელმძღვანელებს უკვე ჰქონდათ ატენის სიონის წარწერებზე მუშაობის გამოცდილება საქართველოს ხელოვნების სახლმწიფო მუზეუმის ექსპედიციებში (ხელმძღვანელი გ. აბრამიშვილი) მონაწილეობით. გადაწყდა პირველი ტომი მთლიანად დათმობოდა ატენის სიონის ფრესკულ წარწერებს, თუმცა ექსპედიციას უკვე გადმოღებული ჰქონდა ანალოგიური ტიპის წარწერები ტანას ხეობის სხვა ძეგლებიდანაც (ბინისი, წვერო, ბოშური).

ატენის სიონის წარწერების შესწავლა მრავალი წლის მანძილზე გაგრძელდა, რაც გამოწვეული იყო მუშაობის ტექნიკური სიძნელეებით. საჭირო იყო ფრესკებისათვის ზიანის მიუყენებლად დიდი სიმაღლეების ხარაჩოების აღმართვა, სპეციალური განათების გამართვა წარწერების ამოსაკითხად, ფოტოგრაფირებისათვის, მონახაზების გადმოსაღებად, საილუსტრაციო მასალის ადგილზევე დამზადება-შემოწმება და სხვა. განსაკუთრებით დიდი დრო და ენერჯია მოითხოვა ფრესკებით დაფარული წარწერების ამოკითხვამ, მით უფრო, როდესაც საქმე გვექონდა სულ მცირე ზომის ბილიგრიმულ მინაწერებთან.

ვინაიდან მთლიანად ტომის მოზადება დიდ დროს მოითხოვდა, ხოლო ჩვენ საჭიროდ ვთვლიდით გამოვლენილი უმნიშვნელოვანესი მასალა სამეცნიერო საზოგადოებისათვის დროულად მიგვეწოდებინა, ზოგიერთი წარწერა ცალკე, ან სხვა ხასიათის წარწერებთან ერთად, უკვე გამოვაქვეყნეთ. იკითხველს ასეთი მასალა შეუძლია ნახოს შემდეგ გამოცემებში: გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977; გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, მხედრული დამწერლობის სათავეებთან: „ცისკარი“, № 5—6, 1978; ზ. ალექსიძე, ატენის სიონის ოთხი წარწერა, თბ., 1983. ეს ნაშრომები ზოგჯერ სიტყვასიტყვითაც შევიდა წინამდებარე ტომისთვის დართულ გამოკვლევაში. აღნიშნულ პუბლიკაციებში დასტამბული წარწერები უკვე ჩაერთო სამეცნიერო მიმოქცევაში, მათზე დაწერილია გამოხმაურებებიც. სპეციალურად ატე-



ნის სიონის ფრესკული წარწერების გამო გამოქვეყნებული რეცენზიებისათვის მკითხველს შეუძლია იხილოს: ა. გაწერელია, ახალი ნაშრომი ქართულ პოეტთა კაში, „ლიტერატურული საქართველო“, 1984, № 15, იგივე წერილი შეტანილია კრებულში: ა. გაწერელია, ნარკვევები, პორტრეტები, ლექსთმცოდნეობა, თბ. 1988; აკ. ხინთიბიძე, ჩვენი ლექსის ათინათი: „კომუნისტი“. 1984. № 173.



ფრესკული წარწერების პუბლიკაციის ტექნიკური წესები არსებითად მიჰყვება ქართული წარწერების კორპუსისათვის შედგენილ ტექნიკურ წესებს, მაგრამ, როგორც მასში თავიდანვე იყო აღნიშნული, აქვს თავისებურებებიც. განსაკუთრებით ეს ეხება მასალის დალაგების პრინციპს: ძეგლის შიგნით იგი დალაგებულია აფსიდების მიხედვით, თვითეულისათვის ახალი ნუშერაციით. პირობით ნიშნებად აღებულია მხარეთა ლათინური სახელწოდებების ინიციალები. წარწერების კედელზე განაწილება აღწერილია მასურებლის პოზიციიდან. საილუსტრაციო მასალას ერთვის წარწერათა აფსიდებში განლაგების გრაფიკული სქემა.

ფრესკული წარწერების უმსხავლის ისტორია საქართველოში

ქართულ ისტორიოგრაფიაში ფრესკული წარწერების როგორც წერილობითი პირველწყაროს გამოყენების ფაქტი, ჯერჯერობით, XI საუკუნიდან დასტურდება. ე. თაყაიშვილის დაკვირვებით ბაგრატიონთა საგვარეულო ქრონოკის ავტორს, სუმბატ დავითის ძეს, „ზოგჯერ გამოყენებული აქვს მრავალრიცხოვანი წარწერები ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრებისა, რომელნიც მოგვითხრობენ ამა თუ იმ ბაგრატიონის ღვაწლს, მოქმედებას თუ გარდაცვალებას“. ამის საილუსტრაციოდ, სხვა ეპიგრაფიკულ ნიმუშთა შორის მოაქვს ოშკის ფრესკულ წარწერაში დასახელებული ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის გარდაცვალების წელი, რაც აისახა, აგრეთვე სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში! ✓

ე. თაყაიშვილის ამ მოსაზრებას რეალური საფუძველი აქვს. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია XI საუკუნის ქრონისტს არ გაეთვალისწინებინა ფრესკული წარწერების მეტად მნიშვნელოვანი ცნობები, მაშინ, როცა სუმბატ დავითის ძის თხზულებაში დასახელებული ბაგრატიონების გარკვეული ნაწილი ტაო-კლარჯეთისა თუ საქართველოს სხვადასხვა ისტორიული პროვინციის კედლის მხატვრობაში აისახა მათი საქტიტორო ღვაწლის, ზეობისა თუ გარდაცვალების მათუწყებელი ფრესკული წარწერებით.

✓ შუა საუკუნეების მომდევნო პერიოდის ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში, ვახუშტი ბაგრატიონამდე, არა ჩანს რაიმე პირდაპირი მინიშნება მათ მიერ ფრესკულ წარწერებში დაცული ცნობების გამოყენებისა, მაგრამ ეს სრულადაც არ უნდა ნიშნავდეს ასეთი ხასიათის წარწერებში ასახული არაერთი საყურადღებო ისტორიული ვითარების უგულებელყოფას ქართველ ისტორიკოსთა მიერ.

✓ ქართული ფრესკული წარწერების წყარომცოდნეობითი თვალსაზრისით გამოყენების ცდას ვხვდებით XVIII საუკუნის თვალსაჩინო ქართველი მოღვაწეების ვახუშტი ბაგრატიონისა და ტიმოთე გაბაშვილის თხზულებებში. ✓

✓ ეჭვს გარეშეა, რომ ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს ისტორიის წერის დროს, სხვადასხვა ხასიათის წერილობითი წყაროების გარდა, იშველიებდა ლაპიდარულ და ფრესკულ წარწერებში ასახულ ისტორიული ხასიათის ცნობებს. თუმცა ვახუშტი მხოლოდ იშვიათად უთითებს მის პირველწყაროს. ✓

1 სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოცემა შესამე, ტექსტი გამოსცა შესავალით, შენიშვნებით და ორი გენეალოგიური ტაბულით აკად. ე. თაყაიშვილმა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 27, თბ., 1949, გვ. 15; ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 55. E. C. Такайшвили, Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грузии, Тб., 1952, с. 64.

საქართველოს ისტორიის შესავალ ნაწილში. იქ, სადაც საქართველოს სხვადასხვა ისტორიული პროვინციების ჩაცმულობას აღწერს, ვახუშტის ნაწილი რატიონს ამის უტყუარ საბუთად მოჰყავს ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშები. ვახუშტის სიტყვები — „ვითარცა იცნობიან ნახატებსა ზედა“², იმის მოწმობაა, რომ ავტორი უშუალოდ კედლის მხატვრობის მიხედვით არკვევდა და აჯგუფებდა სხვადასხვა რეგიონის ჩაცმულობას. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ვახუშტი სათანადო ყურადღებას მიაქცევდა ისტორიულ ცნობათა შემცველ ფრესკულ წარწერებსაც.

უდავოდ, ფრესკულ წარწერებსაც გულისხმობს ვახუშტი ბატონიშვილი, როდესაც ამბობს: „არასადმე ვიხილავთ დიდთა შენებულთა ეკლესია-მონასტერთა ანუ ხატთა და ჭურთა ძურფასთა, რომელთა ზედა იყო სხუთა მეფეთა სახელნი, თვინიერ: «ჩუენ მეფემან საქართველოსამან ანუ ქართლისამან ანუ აფხაზეთისამან», რომელთა ზედა წერილ არიან ქუთათა, ხატთა და ჭურთა ზედა“³.

ვახუშტი ბატონიშვილისაგან ფრესკულ წარწერათა ცნობის ისტორიული დოკუმენტის სახით მოშველიების ფაქტი კარგად გამოიხატა დავით სოსლანის წარმომავლობაზე მსჯელობის დროს, რისთვისაც იმოწმებს კასრისხევის ეკლესიის ფრესკულ წარწერას: „...მოწამე არს მისი მცირე ეკლესია კასრის ხევსა შინა, სადაცა დახატულ არიან და დაწერილნი ზედ დიმიტრი და ძე მისი დავით, ძე დავითისა ათონ, ძე ათონისა ჯადარონ, ძე ჯადარონისა სოსლან დავით, რომელი იყო ქმარი თამარისა“⁴.

კასრისხევის ეკლესიის ფრაგმენტულ წარწერაში დღემდე შემორჩა აქ გამოსახულ ქტიტორთა განმსაზღვრელი ფრესკული წარწერების მხოლოდ ერთი ნაწილი, სადაც იკითხება: „...ათონ, ჯადარონ, სოსლან...“, რაც ვახუშტის მიერ მოტანილი წაკითხვის სისწორეზე მიგვანიშნებს“⁵.

ქტიტორთა იდენტიფიკაციის მიზნით შეუსწავლია ქართული ფრესკული წარწერები XVIII საუკუნის ქართველ მოღვაწეს, მოგზაურს, მწერალსა და კარტოგრაფს, ქუთათელ მთავარეპისკოპოს ტიმოთე გაბაშვილს. მოგზაურობის ამსახველ თხზულებაში „მიმოსლვა“, იგი აღწერს ქართულ სავანეებს ათონსა და იერუსალიმში და საგანგებო ყურადღებას აქცევს იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის კედლის მხატვრობაში ასახულ ქტიტორთა ვინაობის დადგენას.⁶

ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვის“ პოპულარობა უდავოდ იმ ფაქტმაც განპირობა, რომ ამ თხზულებაში პირველად აღიწერა იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში გამოსახული შოთა რუსთაველის ფრესკული პორტრეტი. ტიმოთეს აზრით და, იქნებ რაიმე ცნობების ან გადმოცემის გათვალისწინებით, ის სვეტი, რომელზედაც რუსთაველს ფრესკული გამოსახულე-

² ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 45.

³ იქვე, გვ. 292.

⁴ იქვე.

⁵ იხ. შ. მესხია, ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, „ანალები“, I, თბ., 1944, გვ. 51; ი. ლოლაშვილი, დავით სოსლანის აკლამის საიდუმლოება, თბ., 1971, გვ. 31—34; შ. ძიძიგური, ოს-ბაყაათარის ლექს-ეპიტაფია, საიუბილეო კრებული ალ. ბარამიძის დაბადების 70 წლისთავზე, თბ., 1974, გვ. 292; გ. ლამბაშიძე, ქართული კულტურის ძეგლები დვალეთში, „საბჭოთა ხელოვნება“, 3, თბ., 1976.



ბა წარმოდგენილი მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამსკელისადმი ვედრებით მიმართული, შოთა რუსთაველს უნდა დაეხატინებინა მის მიერ შემდგომში მბათქვეშა სვეტების განახლების შემდეგ; „ჯვარის მონასტერი დაძველებულ და გუმბათის ქვეით სვეტნი განუახლებია და დაუხატინებია შოთამს რუსთაველს, მეჭურჭლეთ უზუტე[ს]. თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“⁶. ✓

იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში გამოხატული შოთა რუსთაველის პორტრეტი რაიმე ისეთ განსაკუთრებულსა და მხოლოდ რუსთველისათვის დამახასიათებელ იკონოგრაფიულ ელემენტს არ შეიცავს, რის მიხედვითაც შეძლებდა მისი ვინაობის ამოცნობას ტიმოთე გაბაშვილი. რუსთველის იდენტიფიკაციის საფუძველს, ცხადია, მხოლოდ ის ქართული ფრესკული წარწერა წარმოადგენდა, რომელიც გამოსახულების ორივე მხარეს ნაწილდება და ასე იკითხება: „ამისა დამხატვესა შოთა შეუნდოს ღმერთმან, ამინ. რუსთველი“⁷.

✪ ფრესკული წარწერების შესწავლა იყო ტიმოთე გაბაშვილისათვის ჯვრის ქართველთა მონასტერში გამოსახული მეფე-ერისთავთა და სასულიერო პირთა იდენტიფიკაციის ერთადერთი საფუძველი. ✓ მხოლოდ ასეთი წინასწარული სამუშაოების შესრულების შემდეგ შეეძლო „მიმოსღვის“ ავტორს ასეთი დაბეჭითებით ეთქვა:

„ქ. ჯვარის მონასტერში არს ლუსკუმა ღირსისა პროხორესი, და თვითონაც შიგ ხატია...“

ქ. ჯვარის მონასტერში ხატია დიდი და ღირსი მეფე მირიან ხოსროიანი.

ქ. კვალად ხატია დიდი და სახელოვანი მეფე ვახტანგ გორგასლან, ხოსროიანი...“

ქ. მუნ ხატია მეფე საქართველოსა ბაგრატ კურაპალატი, დავითიანი, აღმაშენებელი ქუთათისა და ჯვარის მონასტრისა.

ქ. მუნ ხატია დადიანის ასული მარიამ, დედოფალი ქართლისა.

ქ. მუნ ხატია შოთა რუსთველი, მეჭურჭლეთ უზუტესი.

ქ. მუნ ხატია დადიანი ლეონ თავისის მეუღლით.

ქ. მუნ ხატია აფხაზეთის კათალიკოზი ღირსი მაქსიმე.

ქ. მუნ ხატია ტფილელი ელისე, მანგლელი თეოდოსე, ბედიელი და ჯვარის მამა ნიკიფორე. მუნ ხატია წულუკიძენი პაატა და ქაიხოსრო“⁸.

✪ იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში მეორედ მისვლის დროს ტიმოთე გაბაშვილი კვლავ აგრძელებს ასეთი რიგის სამუშაოების შესრულებას და ავსებს ქართველ მოღვაწეთა ქტიტორულ გალერეას: ✓

„და კვალად იერუსალიმით მივედით მონასტრად ქართველთასა ჯვარს და განვიცადეთ კედელთა ზედა წმიდანი მამანი და მოწამენი საქართველოსანი, ეხატნეს შარავანდითა და გვირგვინითა ესენი:

ქ. წმიდა მღვდელმოწამე მოსე ქართველი.

ქ. წმიდა მარი მღვდელმოწამე ქართველი.

ქ. წმიდა მოწამე ქაიხოსრო ქართველი, რომელი აწამა ყვენმან შაჰაბაზ წმიდათა ხატთათვის ქორონიკონსა ტ.“

6 ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსღვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 80.

7 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 368, ტაბ. 8; Т. Б. Вирсаладзе, Роспись Иерусалимского крестного монастыря и портрет Шота Руставели, Тб., 1973, с. 66.

8 ტ. გაბაშვილი, მიმოსღვა, გვ. 82.

ქ. წმიდა მამა არსენი იბადის ძე ქართველი, [გვარად ვახნაძე, ფილო-
სოფოსი].

ქ. ღირსი მამა ეფთვიმე გრძელის ძე ქართველი.

ქ. ღირსი მამა ჭუაშს ძე ქართველი.

ქ. ღირსი მამა იოანე რეხეაის ძე ქართველი.

ქ. ღირსი მამა დანიელ აბაშვილი ქართველი.

ქ. ღირსი მამა იოანე ჭიმჭიმელი [და ფილოსოფოსი].

ქ. ღირსი კათალიკოზი ქართლისა არსენი.

ქ. ღირსი კათალიკოზი ქართლისა იოანე.

ქ. ღირსი ნუნუს ეპისკოპოზი ქართველი,

ქ. ღირსი ეპისკოპოზი კინდ ქართველი⁴⁵.

ქართველ მოღვაწეთა ფრესკული ქტიტორული პორტრეტების ეს გრძე-
ლი სია ტიმოთე გაბაშვილის მიერ იერუსალიმის ჯერის ქართველთა მონას-
ტერში გაწეული დიდი შრომის მაჩვენებელია. ცხადია, ამ შრომაში პირველ
რიგში იგულისხმება ფრესკული წარწერების შესწავლა-ამოკითხვა.

მხოლოდ ზემოთქმულით არ განიზომება ტიმოთე გაბაშვილის ღვაწლი
ქართული კულტურის წინაშე. ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ისტო-
რიოგრაფიაში ტიმოთე პირველი იყო, რომელმაც ფრესკული მხატვრობის აღ-
წერას დაურთო საილუსტრაციო მასალა ქართველ მეფეთა ჩანახატების სა-
ხით¹⁰.

✓ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან კიდევ უფრო იზრდება ქართული
ლაპიდარული და ფრესკული წარწერებით დაინტერესება. 1771—72 წლებში
საქართველოში იმოგზაურა ა. გიულდენშტედტმა¹¹ მან თითქმის მთელი საქარ-
თველო მოიარა. ამ მოგზაურობაში გიულდენშტედტს თან ახლდნენ ქართვე-
ლი თარჯიმნები, ხოლო ერთხელ, კახეთში მოგზაურობის დროს ერეკლე II-
სთან ერთად უმოგზაურია¹².

✓ ა. გიულდენშტედტი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებითაც დაინტერე-
სებულა. მის ნაშრომში თერამეტი ქართული წარწერა აისახა, რომელთა
ერთი ნაწილი ფრესკულია¹². ✓

✓ შვეიცარიელი მოგზაურისა და მკვლევრის ფრედერიკ დიუბუა დე მონ-
პერეს ექსტრემულში ქართული ლაპიდარული წარწერების გვერდით არა-
ერთი ფრესკული წარწერა გამოქვეყნდა¹³. ნაწილი ამ წარწერებისა დაღუპუ-
ლა, ან ძალზე დაზიანებულა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის დიუბუას პუბლი-
კაციის ღირებულებას. ✓

✓ ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუ-
ძღვის მ. ბროსეს, რომელმაც 1847—1848 წლებში იმოგზაურა საქართველო-
ში. ამ მოგზაურობამდე, 1838 წელს მას მიმოწერა აქვს პ. იოსელიანთან, რო-
მელიც, სხვა ისტორიული ხასიათის მასალებთან ერთად ქართული წარწე-
რების პირებს უგზავნიდა პარიზში. ✓

⁹ იქვე, გვ. 85—86.

¹⁰ ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 94, სურ. 12—14; Ш. Я. Амиранашвили,

История грузинской монументальной живописи, I, Тб., 1957, с. 8—9.

¹¹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გერმანული ტექსტი ქართული
თარგმანითურთ გამოსცა და გამოკლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962, გვ. 15—47.

¹² იქვე, გვ. 3—333.

¹³ Fr. Dubois de Montpereux, Voyage, I—VI, Paris, 1839—43.



იმ თორმეტ „რაპორტში“¹⁴, რომლებშიც მ. ბროსეს საქართველოში მოგზაურობის შედეგები აისახა, გარკვეული ნაწილი ფრესკულ წარწერებს ეთმობა. მ. ბროსეს პუბლიკაციები იმიტაც არის საყურადღებო, რომ მკვლევარმა პირველმა გამოსცა ქართული წარწერები ასომთავრული შრიფტით, მხედრული ტრანსლიტერაციითა და ფრანგული თარგმანით.

✓ ფრესკული წარწერების ცნობები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ქართულ ისტორიოგრაფიაში. დ. ბაქრაძის მიერ ატენის სიონის მოხატულობის ფენის ქვეშ მიკვლეულმა ბულა თურქის მიერ 853 წელს თბილისის დაწვის ცნობის შემცველმა ფრესკულმა წარწერამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია ქართულ სამეცნიერო წრეებში¹⁵.

✓ ივ. ჯავახიშვილმა საგანგებო წერილი უძღვნა ამ წარწერას. ეს იყო ფრესკული წარწერის მეცნიერული პუბლიკაციის პირველი მაგალითი, სადაც წარწერის ცნობის ისტორიულ კრილში შესწავლის გვერდით, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მის პალეოგრაფიულ-ლინგვისტურ დახასიათებას¹⁶.

✓ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ფრესკული წარწერების შეკრების, შესწავლისა და პუბლიკაციის საქმეში განუზომლად დიდია ე. თაყაიშვილის ღვაწლი. სამხრეთ საქართველოში მის მიერ 1917 წელს მოწყობილმა ექსპედიციამ დიდძალი ეპიგრაფიკული მასალა-მონახაზები და ასლები მოიპოვა, რომელთა შორის დიდი რაოდენობითაა ფრესკული წარწერები. ექსპედიციის მიერ გადმოღებულ იქნა: იშხნის კათედრალური ტაძრის ჩრდილოეთი მინაშენის 917 წლით დათარიღებული 27-სტრიქონიანი ფრესკული წარწერის გადარჩენილი 19 სტრიქონი. ამ წარწერაში აღარნესე II კურაპალატისაგან იშხნის ეპისკოპოსთა დადგინების და ბაგრატიონთა სახლის შესახებ არაერთი ისტორიული ცნობა აისახა¹⁷. გაკეთდა მონახაზები ტაძრის გუმბათის ყელზე გამოსახულ წინასწარმეტყველთა გრავილების ფრესკული წარწერებისა¹⁸, ეკლესიის ამბათა განმსაზღვრელი, აგრეთვე, ზაქარია წინასწარმეტყველის ხილვის ამსახველი ოთხი აპოკალიფსისური ეტლის ფრესკული წარწერების მონახაზები¹⁹. გადმოღებულ იქნა ბაგრატ მაგისტროსის ძის აღარნასე III კურაპალატის ფრაგმენტული ფრესკული წარწერები, ბაგრატ მაგისტროსის და ბაგრატ აღარნასეს ძის განმსაზღვრელი წარწერები, რომელთა გამოსახულებანი აღარ შემორჩენილა²⁰.

ამავე ტაძრიდან იქნა კოპირებული შედარებით მოგვიანო ხანის მოხატულობის, — დემეტრე I-ისა და თამარის ეპოქის ფრესკული წარწერები²¹.

✓ ექსპედიციას ოშკის ტაძრიდან გადმოუღია და შეუსწავლია შემდეგი ფრესკული წარწერები: სამხრეთი მკლავის ტიმპანზე წითელი სიღებავით

¹⁴ M. Brosset, Rapports sur un Voyage archéologique, SPb, 1849.

¹⁵ დ. ბაქრაძე, ისტორიული შენიშვნა, გაზ. „ივერია“, № 8, 1886; მისივე, ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან მე-X საუკ. დასასრულამდე), ტფილისი, 1889, გვ. 219.

¹⁶ И. Джавахов, К вопросу о времени построения грузинского храма в Атене по вновь обследованным эпиграфическим памятникам, ХВ, вып. I, III, Спб, 1912, с. 17—40.

¹⁷ Е. Такайшвили, Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грузии, Тб., 1952, с. 30, рис. 3. პ.რი გადმოიღო მ. ჭიაურელმა.

¹⁸ იქვე, გვ. 33—35, სურ. 5—11.

¹⁹ იქვე, გვ. 35—39, სურ. 12—14.

²⁰ იქვე, გვ. 36.

²¹ იქვე, გვ. 39—41, სურ. 16.

შესრულებული 12-სტრიქონიანი წარწერა, რომელიც თავის დროზე გამოსცა მ. ბროსემ ნ. სარგისიანის მონახაზის მიხედვით²².

✓ ე. თაყაიშვილმა გამოსცა ამ ფრესკული წარწერის მონახაზი, მთლიანად წაიკითხა ტექსტი, რომელიც მრავალი საყურადღებო ისტორიული ცნობის შემცველი აღმოჩნდა ამ წარწერაში, ოშკის ტაძრის ქტიტორ მეფე-ერისთავთა დასახელების გარდა, მოყვანილია ვრცელი ნუსხა გრიგოლ ოშკელის ზედამდგომლობით ტაძრის მშენებლობისათვის გაღებული დანახარჯისა. აქ ჩამოთვლილია ტაძრის მშენებლობისათვის დახარჯული მასალა, მუშახელის რაოდენობა, ჭვისმოლეღათვის გაცემული ხორბლეულის ოდენობა²³.

საყურადღებოა, რომ ოშკის ფრესკულმა წარწერამ 961 წლით განსაზღვრა ტაძრის მშენებლობის დამთავრების დრო. ისიც გაირკვა, რომ ოშკის ტაძარი აუგიათ ადარნასე III-ის ძეგბს — ბაგრატ ერისთავთ-ერისთავს და დავით მაგისტროსს, შემდგომში სახელგანთქმულ დავით კურაპალატს²⁴.

ოშკის ფრესკული წარწერებიდან ყურადღებას იქცევს ტაძრის სამხრეთი მკლავის შუა სარკმელთან განაწილებული რესტრიქონიანი წარწერა, რომელიც დავით კურაპალატის გარდაცვალების (1001 წ.) შემდეგ ტაო-კლარჯეთში შექმნილი შიდაპოლიტიკური სიტუაციების გამოშხატველია. წარწერაში დასახელებულია ბიზანტიის კეისრები — ბასილ II და კოსტანტინე, რომლებსაც ოშკის ტაძრის სახურავი განუახლებიათ²⁵.

ე. თაყაიშვილმა აქვე გამოაქვეყნა ნ. სარგისიანის მიერ თავის დროზე გადმოღებული ფრესკული წარწერები, რომლებიც ოშკის მშენებელ ქტიტორთა — ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის და დავით მაგისტროსის ფრესკულ გამოსახულებათა, დღეისათვის დაღუბულ, განმსაზღვრელ წარწერებს წარმოადგენენ²⁶. ყურადღებას იქცევს საკურთხეველის აღმოსავლეთის ფასადზე საღებავით შესრულებული წარწერის ცნობა ჯოჯიკ პატრიკიოსის საფასით ტაძრის შემკობის შესახებ²⁷. ისტორიული ცნობის შემცველია პარხლის X საუკუნის ფრესკული წარწერები, რომლებშიც დასახელებული არიან იოანე კათალიკოსი და მონასტრის წინამძღვარი — გიორგი გოგელი²⁸.

✓ ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა ფრესკული წარწერებით დანტერესება სრულიად ბუნებრივი ჩანდა. კედლის მხატვრობის სტილისტურ-იკონოგრაფიული და მხატვრულ-ისტორიული თვალსაზრისით შესწავლის დროს, ცხადია, მათ უნდა გაეთვალისწინებინათ მონატულობის კუთვნილი ფრესკული წარწერების ცნობები. ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში გაჩნდა ცდები ფრესკული წარწერების პალეოგრაფიულ-ქრონოლოგიური თვალსაზრისით შესწავლისა. ეს კი, მონატულობის სტილისტური ანალიზის შედეგებთან ერთად, მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენდა ნაწარმოების დათარიღებისათვის. ხშირ შემთხვევაში, ფრესკული საქტიტორო წარწერებით განისაზღვრებოდა მონატულობის შემსრულებელის ვინაობა და ნაწარმოების შექმნის წელი.

²² M. Brosset, Inscriptions géorgiennes et autres, recueilltes par le Père Nersès Sargisian et expliquées par M. Brosset, SPb, 1864.

²³ Е. Тақайшвили, დასახ. ნაშრ., გვ. 57—58, სურ. 27.

²⁴ იქვე, გვ. 59—61.

²⁵ იქვე, გვ. 63, სურ. 31.

²⁶ იქვე, გვ. 63, 64, სურ. 32.

²⁷ იქვე, გვ. 65, სურ. 33.

²⁸ იქვე, გვ. 95—101, სურ. 44—50.

✓ გასული საუკუნის მკვლევრები ლაპიდარული წარწერების შესწავლისა და ფოტოფიქსირებისადმი მეტ ყურადღებას იჩენდნენ. ფრესკული წარწერები რატომღაც ყურადღების გარეშე რჩებოდა. ამის მიზეზს, შესაძლოა, მართალი კედლის მხატვრობის ის არასწორი შეფასება შეადგენდა, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა ხელოვნების ამ დარგის შესწავლით დაინტერესება. ✓

✓ საქმე ის არის, რომ გამოჩენილი რუსი მეცნიერის აკად. ნ. კონდაკოვის აზრით, ქართული კედლის მხატვრობა ბიზანტიური ფრესკების ძალზე ცუდსა და მხატვრულად არადივულ განმეორებას წარმოადგენდა²⁹. მკვლევრის დასკვნის საფუძველს შეადგენდა მის მიერ ნანახი მხოლოდ გვიანფოდალური ხანის მოხატულობის რამდენიმე ისეთი ძეგლი, რომლებიც სახვითი ხელოვნების ამ დარგის დაქვეითების მაჩვენებელია. ამიტომაც იყო, რომ იმ დროის ქართულ სამეცნიერო წრეებში სავარძნობლად განელდა დაინტერესება ქართული კედლის მხატვრობის შესწავლისა და მისი ფრესკული წარწერების ფიქსაციისადმი. ✓ ძირითადი ყურადღება მახვილდებოდა არქიტექტურისა და მისი ლაპიდარული წარწერებისადმი.

✓ ფრესკული წარწერების ფიქსაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კედლის მხატვრობის ასლების შესრულებამ. ამ მხრივ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ. ✓ მხატვრებმა მ. ჭიაურელმა და მ. თოიძემ ნატურალურ ზომებში გადმოიღეს ნაბახტევის XIV საუკუნის მხატვრობის რამდენიმე ნიმუში. ნორვეგიელმა მხატვარმა კრონმა შეასრულა ბეთანიის მოხატულობის ქტიტორული პორტრეტები — მეფე თამარის, გიორგი III და ლაშა გიორგის გამოსახულებები, საფარის წმ. საბას ეკლესიის მხატვრობიდან ათაბაგების ქტიტორული პორტრეტები, აგრეთვე, ლასურისძეთა ქტიტორული გამოსახულებანი საფარის წმ. მარინეს ეკლესიის მოხატულობიდან.

ამ მხრივ განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა მუშაობა შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებისათვის მზადების პერიოდში. ივ. ჯავახიშვილის დავალებით კედლის მხატვრობის არაერთი ასლი შესრულდა. ფრესკული წარწერების ფიქსაციის თვალსაზრისით ასეთი სამუშაოების შესრულებას ის მეცნიერული ღირებულებაც ჰქონდა, რომ მხატვრებს ნატურალურ ზომაში უცვლელად გადმოჰქონდათ ფრესკის განმსაზღვრელი წარწერები, რაც მათ პალეოგრაფიულ თავისებურებებზე მსჯელობის საშუალებას იძლეოდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრების მიერ კოპირებული მასალის ერთი ნაწილი ბათქაშის ჩამოშლის შედეგად დაიღუპა და დღეისათვის ამ მხატვრობისა და მათი თანმხლები წარწერების შესახებ მხოლოდ ასლების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

✓ თავის დროზე ქართული კედლის მხატვრობის ასლები და ფრესკული წარწერები გადმოიღეს: ლ. დურნოვომ, ე. საჩავეც-ფედოროვიჩმა, ტ. შვეიაკოვამ, ს. მირზაშვილმა, ქ. მალალაშვილმა, ლ. გუდიაშვილმა, შ. აბრამიშვილმა, ს. მისიაშვილმა, მ. ჭიაურელმა, კ. ბაკურაძემ, გ. ჭეიშვილმა, ნ. კიტოვანმა, თ. გავოშიძემ, თ. თოდუამ, გ. აბრამიშვილმა, ლ. ცუცქირიძემ და სხვებმა. ✓

განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ტ. შვეიაკოვას მოღვაწეობა. 1929 წლიდან დღემდე, 50 წლის განმავლობაში, მის მიერ შესრულებული ასლები

²⁹ Н. П. Кондаков, Древняя архитектура Грузии, Древности. Труды Московского Археологического общества, М., 1976, (VI), с. 260.



500 კვადრატულ მეტრს აღემატება და საქართველოს თითქმის ყველა ისტორიული პროვინციის ფრესკული მხატვრობის ძეგლებს ასახავს³⁰.

ფრესკული წარწერების ფიქსაციის აზრით, მოხატულობათა ასლების გადმოღებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ფრესკული ასლების უმდიდრესი საცავები შეიქმნა საქართველოს ხელოვნებისა და ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმებში. ეწყობა ფრესკათა ასლების გამოფენები, ქვეყნდება კატალოგები³¹.

ქართული მონუმენტური მხატვრობა მკვლევართა და ხელოვნების მოყვარულთა სულ უფრო მეტ დაინტერესებას იწვევდა. რადიკალურად იცვლება აზრი ფეოდალური ხანის ქართული კედლის მხატვრობის შესახებ. ხელოვნების ამ დარგთან არაერთ მნიშვნელოვან პრობლემას აკავშირებენ³².

1929 წელს გამოქვეყნდა შ. ამირანაშვილის მონოგრაფიული ნაშრომი, რომელიც XIV საუკუნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლს — უბისის მოხატულობას შეისწავლის³³. გ. ჩუბინაშვილი თავის მონოგრაფიულ ნარკვევში სათანადო ადგილს უთმობს დავით გარეჯის მონასტრების კედლის მხატვრობას. აქ პირველად იქნა ლოკალიზებული გარეჯის სამხატვრო კერა და განსაზღვრული იქნა მისი ძირითადი სტილისტური ნიშნები. გ. ჩუბინაშვილი სათანადო სისრულით იყენებს და შეისწავლის ფრესკულ წარწერებს როგორც იკონოგრაფიული პროგრამების, ისე ქტიტორთა იდენტიფიკაციის თვალსაზრისით³⁴.

✓ თანამედროვე ქართულ ხელოვნებათმცოდნეობით ლიტერატურაში არაერთი ფრესკული წარწერა გამოქვეყნდა, რომელთა შორის ბევრი სრულიად უცნობი იყო მკვლევართათვის. ასეთ წარწერათა რიგში დგება ნესგუნის, ჩვაბიანის, მაცხვარიშის, ლაგურკას, ნაკიფარისა და სხვა არაერთი ფრესკული წარწერა. ისინი საყურადღებო ცნობებს შეიცავენ როგორც საკუთრივ ტაძრების, ისე ამა თუ იმ რეგიონისა და საზოგადოდ საქართველოს ისტორიულ წარსულზე. ამდენად, ამ ფრესკულ წარწერებს პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭებათ. ✓

მაცხვარიშის ფრესკული წარწერების შესწავლამ გაარკვია, რომ მოხატულობა 1040 წელს დამთავრებულია მხატვარ მიქაელ მადლაკელის მიერ. ფრესკული წარწერების შესწავლამ ისიც გაარკვია, რომ მიქაელმა მეფე დე-

³⁰ საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ტ. შვეიაკოვას ნამუშევართა კატალოგი, თბ., 1986, გვ. 1—80.

³¹ სავრო პორტრეტი ძველ ქართულ კედლის მხატვრობასა და მინიატურაში, მხატვარ ს. შირაშვილის ნამუშევართა გამოფენა. კატალოგი, თბ., 1964.

³² Е. Такайшвили, Археологические экспедиции, разыскания и заметки, вып. I, Тифлис, 1905; Д. Айналов, Византийская живопись XIV столетия, Записки Классического Отделения Русского археологического Общества, т. IX, Пбг., 1917; А. П. Эйхнер, Забытые сокровища Закавказья, «Искусство и художественная промышленность», III, № 7, 1901; მისივე წერილი ჟურნ. «Зодчий», 1909, № 46, 8 (XII). აგრეთვე, Труды Всероссийского Съезда художников, т. I, 1911—13; Ф. И. Шмит, Заметки о поздневизантийских храмовых росписях, Виз. временник, 1915, XXII.

³³ შ. ამირანაშვილი, უბისი, მასალები ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისათვის, ტფილისი, 1929.

³⁴ Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, Очерк по истории искусства Грузии, Тб., 1948, с. 58—83.

მეტრე 1-ის მეფედუტობის სენა გაჰოსახა, სადაც დემეტრეს „კრამალა“ შეაბამენ“ ერისთავები³⁵.

იფარის, ლაგურკას და ნაკიფარის ფრესკული წარწერების შესწავლა ცხადყო, რომ სამივე მონატულობა ერთი მხატვრის — მეფის მხატვარ თევდორეს მიერ ყოფილა შესრულებული 1096, 1112, 1130 წლებში³⁶.

✓ ფრესკული წარწერები სულ უფრო მეტი ინტენსიურობით ისახება ხელოვნებათმცოდნეობით ლიტერატურაში: დავით გარეჯის მრავალმთის მონასტრების³⁷, გელათის მთავარი ეკლესიის³⁸, სვანეთის სხვადასხვა ეკლესიების³⁹, ნაბახტევის⁴⁰, სამთავისის⁴¹, ფაენისის⁴², კალოუბნის⁴³ ტიმოთესუბნის⁴⁴, ვარძიის⁴⁵, სორის⁴⁶, ატენის სიონის⁴⁷ მონატულობათა პუბლიკაციებ-

35 Т. Б. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши, ქართული ხელოვნება, № 4, თბ., 1955, გვ. 174—188.

36 Ш. Я. Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, I, Тб., 1957, с. 134—159; Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Роспись художника Тевдоре в Верхней Сванетии, Тб., 1966, с. 1—93; მათივე, Живописная школа Сванети, Тб., 1983, с. 30—32.

37 Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, Тб., 1948, с. 3—118, табл. 1—30; Ш. Я. Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, Тб., 1957, с. 30—65; გ. აბრამიშვილი, დავით გარეჯის ტყლო ქართულ ეკლეს მხატვრობაში, თბ., 1972, გვ. 47, 65—71, 102, 106, 111, 116, 126, 143—148, სურ. 6, 11—15, 18, 20—22, 24, 25, 27, 29; А. И. Вольская, Роспись средневековых трапезных Грузии, Тб., 1974, с. 54, 60, 61, 66, 70, 123, 126, 128.

38 Т. Б. Вирсаладзе, Фрагменты древней фресковой росписи главного гелатского храма, „ქართული ხელოვნება“, 5, თბ., 1959, გვ. 172—175, 183, 184.

39 Н. А. Аладашвили, Г. В. Алибегашвили, А. И. Вольская, Живописная школа Сванети, Тб., 1983, с. 13, 14, 28, 30—32, 47, 50—52, 57, 58, 68—75, 79, 90, 92, 94, 95, 102, 103, 111.

40 ი. ლორთქიფანიძე, ნაბახტევის მხატვრობა, თბ., 1973, გვ. 23, 24, 26, 31—33, 35, 42, 51.

41 გ. სოხაშვილი, სამთავისი, თბ., 1973, გვ. 41, 42, 44—103, სურ. 14—39, 56, 57.

42 Е. Л. Привалова, Павзиси, Тб., 1977, с. 122—125, 128, рис. 19, 21, 33.

43 Е. Л. Привалова, Роспись церкви Георгия Калаубанского близ Мцхета, „ქართული ხელოვნება“, 8, სერია „ა“, თბ., 1979, გვ. 137—158.

44 Е. Л. Привалова, Роспись Тимотесубани, Тб., 1980, с. 31—34, 40—42, 46, 48, 50, 62, 66, 68, 71, 73, 79, 81, 84, 87, 90, 92, 94—98, 100, 102, рис. 9—13, 20, 22ა, 23, 24, 26, 27, 30—32, 35, 38. ჩანართი გვ. 98—99 შორის.

45 გ. ვაფარინაშვილი, ვარძია, თბ., 1975; Г. Алибегашвили, Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, Тб., 1979, с. 12—19.

46 ი. ჰოჭინაძე, სორის მონატულობა, თბ., 1985, გვ. 6.

47 Ш. Я. Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, I, Тб., 1957, გვ. 77—98; რ. შერლინგი, ატენის სიონის ეკლეს მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VIII, № 4, თბ., 1947, გვ. 261—268; ს. ბარნაველი, ატენის ახალი წარწერები, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VII, № 1—2, თბ., 1946; თ. ბარნაველი, ატენის სიონის მხატვრობის თარიღის შესახებ, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XVII, № 3, თბ., 1956; მისივე, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, თბ., 1957; გ. აბრამიშვილი, შენიშვნები ატენის სიონის მხატვრობის თარიღის შესახებ, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXX, № 5, თბ., 1963, გვ. 685—690; მისივე, ატენის სიონის საქტიტორო წარწერა, „ძეგლის მეგობარი“, 19, თბ., 1969, გვ. 30—37; მისივე, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977, გვ. 7—70; მისივე, ატენის სიონის მონატულობის ქტიტორთა იდენტიფიკაცია, „საბჭოთა ხელოვნება“, 5, თბ., 1982, გვ. 86—100, მისივე, G. Abramichvili La



ში ასომთავრული შრიფტით აწყობილი ფრესკული წარწერების გვერდით ხშირად ვხვდებით ფრესკული წარწერების მოხაზავებს. აქვე, ფრესკული წარწერები შეისწავლებიან წყაროთმცოდნეობითი და პალეოგრაფიული საზრისებით. V

✓ სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებული სიცხადით გამოიკვეთა სვანეთის ფრესკული წარწერებით დაინტერესება⁴⁸. სვანეთის სოციალური ისტორიის საკითხების კვლევის დროს ისტორიული ხასიათის დოკუმენტებთან ერთად, მკვლევრები ფრესკული წარწერების ცნობებსაც იშველიებენ⁴⁹. ✓ ქვეყნდება სპეციალური წერილები სვანეთის ქტიტორული ფრესკული წარწერების შესწავლის მიზნით⁵⁰. V

✓ თ. ბარნაველმა მონოგრაფიის სახით გამოსცა ატენის სიონის წარწერები, რომელშიც ფრესკული წარწერებიც აისახა⁵¹. V დასახელებულ პუბლიკაციაში, სამწუხაროდ გამორჩენილია უამრავი მინაწერი—პილიგრიმული, მავედრებელი თუ მოსახსენებელი ეპიგრაფიკული ნიმუშები, რომლებიც ძალზე წვრილი გრაფემებითაა ამოკვეთილი თუ ამოკაწრული ტაძრის ფასადებზე და ინტერიერის ბათქაშზე.

თ. ბარნაველის ნაშრომში სისრულით არც ფრესკული წარწერები აისახა. გამორჩენილია არაერთი წარწერა. ფრესკული წარწერების ერთი ნაწილი ან ნაწილობრივია მკვლევარის მიერ ამოკითხული, ან მათი წაკითხვა არასწორია.

✓ 1977—83 წლებში ატენის სიონის ფრესკული წარწერების შესახებ სამი ნაშრომი გამოქვეყნდა. ეს წარწერები ატენის ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარებათა გარდა, ძალზე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან საქართველოს ფეოდალური ხანის კულტურის საკითხებზე⁵². V

✓ ფრესკული წარწერების შესწავლისა და მათი ფიქსაციის საქმეში, უდავოდ, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ჩამოყალიბებული სპეციალური ექსპერიმენტული ლაბორატორიის მუშაობის შედეგები, რომელსაც ხელმძღვანელობს ფოტოგრაფი-რენტგენოლოგი ი. გილგენდორფი. ლაბორატორიის მიზანს შეადგენს Vულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივების, აგრეთვე, რენტგენომისიოგრაფიის Vმეთოდებით გამოავლინოს კედლის მხატვრობის ფენით დაფარული, ან დროთა განმავლობაში გაფერმკრთალებული და ძნელად წასაკითხი ფრესკული წარწერები. V

datition des fresques de La Cathedrale d'Atleni „Зрцаф“, № 14, Београд, 1938, გვ. 17—21.

48 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937.

49 მ. ბერძენიშვილი, სვანური დოკუმენტები, როგორც წყარო XIV—XV საუკუნის სვანეთის სოციალური ისტორიისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968.

50 ე. სილოგაძე, ქტიტორთა ფრესკული წარწერები ზემო სვანეთში, კრებ. „სვანეთი“, I, თბ., 1977, გვ. 73, 74. იხ. აგრეთვე ზ. ალექსიძე, ჩავაბანის მაცხოვრის ეკლესიის ფრესკული წარწერების თარიღისათვის, „მაცნე“, ისტორიის... სერია, № 3, თბ., 1978, გვ. 171—177. ე. კაღელაშვილი, ლეხთაგის მხატვრობის ქტიტორული პორტრეტები, „მაცნე“, ისტორიის... სერია, I, თბ., 1980, გვ. 175—191.

51 თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957.


52 გ. აბრამიშვილი, სტეფანოს მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977; გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, მხედრული დამწერლობის სათავეებთან, „ეისკარი“, № 5, 6, თბ., 1978, გვ. 135—144; ზ. ალექსიძე, ატენის სიონის ოთხი წარწერა, თბ., 1983, გვ. 3—40.



✓ ლაბორატორიამ პირველი ექსპერიმენტული სამუშაო ატენის სიონში შეასრულა. პირველივე ექსპერიმენტი იმედის მომცემი აღმოჩნდა. ✓ დადასტურდა ის ვარაუდი, რომ ფრესკული მხატვრობის დამათარილებლად მიჩნეულ წარწერას ქრონიკონი არ გააჩნდა და მასში არც მეფე გიორგი ნოველისიმოსი იყო დასახელებული. ✓ ლაბორატორიამ ასეთი რიგის სამუშაოები შეასრულა დავით გარეჯის მრავალმთის მონასტრებში, ალავერდში, ვარძიაში, ბეთანიასში, ყინცივისში, აჭში, რომელთა შედეგები თავის დროზე გამოქვეყნდა სამეცნიერო ლიტერატურაში⁵³. ✓

⁵³ И. Н. Гильгендорф, Выявление невидимых надписей ультрафиолетовыми и инфракрасными лучами, «Мачне», 1970, № 2, გვ. 161—276, მისივე, Исследование и выявление угасших древних надписей, «Средневековое искусство», Рус, Грузия, М., 1972, с. 265—272; მისივე, როგორ ამეტყველდნენ გამჭრალი წარწერები, «საბჭოთა ხელოვნება» 1976, № 6, გვ. 90—94; მისივე, Выявление невидимых фресковых надписей ультрафиолетовыми и инфракрасными лучами, Сообщения ВЦНИЛКР., М., 1975, № 29, с. 12—22; მისივე, ვენეციის საერთაშორისო კონფერენციაზე, «ქეგლის შეგობარი», 1976, № 41, გვ. 36—41.

X 19.216
4



ატენის სიონის შესწავლის ისტორია

ატენის სიონი მდებარეობს ისტორიულ შიდა ქართლში, თრიალეთის ქედის ერთ-ერთი განშტოების სამხრეთ კალთაზე, ქ. გორიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 კილომეტრის მანძილზე, მდ. ტანას ხეობის შუა წელზე, სოფელ ატენში. ტაძარი ცენტრალურ-გუმბათოვან ძეგლს წარმოადგენს და მცხეთის ჯვრის არქიტექტურული ტიპით გაერთიანებულ საკულტო ნაგებობათა რიგში ექცევა¹.

ატენის სიონმა გასული საუკუნიდანვე მიიქცია მკვლევართა და მოგზაურთა ყურადღება. მისადმი დაინტერესების საფუძველს შეადგენდა მონუმენტურ ხელოვნურ სუბსტრუქციაზე აღმართული ტაძრის მხატვრულად დასრულებული ხუროთმოძღვრული ფორმები, ფასადებზე განაწილებული მრავალრიცხოვანი რელიეფური ქანდაკება, მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული ბრწყინვალე კედლის მხატვრობა და, ბოლოს, მისი მრავალენოვანი ლაზიბიდარული თუ ფრესკული წარწერებები.

ატენის სიონის შესწავლის ისტორია გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება. შვეიცარიელმა მოგზაურმა და მკვლევარმა, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ, კავკასიასა და ყირიმში მოგზაურობის შედეგად ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებულ თავის ექვსტომეულში ატენის სიონს სათანადო ადგილი დაუთმო. ატენის სიონის დათარიღებისათვის დიუბუა ამოსავლად მიიჩნევდა ტაძრის სამხრეთ ფასადზე ამოკვეთილ ქართულ² და ბერძნულ³ წარწერებს, რომლებიც ტაძრის სინქრონულ ეპიგრაფიკულ ძეგლებად მიაჩნდა. ქართულ წარწერაში, სადაც მოთხრობილია ატენის ქალაქმშენებლობაზე, დასახელებულია მეფე ბაგრატ სევასტოსი და მისი ძე — გიორგი კურაპალატი. დიუბუას აზრით, მეფე ბაგრატის იდენტიფიკაციაზე იყო დამოკიდებული ატენის სიონის მშენებლობის დროის განსაზღვრა. დიუბუა ბაგრატ მეფის იდენტიფიკაციისას ბაგრატ II-ს ან III-ისკენ იხრება. ასეთი დასკვნის საფუძვლად იღებს ქართული წარწერის მახლობლად ამოკვეთილ ბერძნულ წარწერას, რომელიც ქართულის სინქრონულ ნიმუშად მიაჩნია. დიუბუას აზრით, ბერძნულ წარწერას თარიღი უზის (1000 წ.), რაც ახლოს დგას ბაგრატ II და ბაგრატ III-ის ზეობის წლებთან და, ამდენად, ატენის სიონი X საუკუნეში უნდა აეშენებინათ⁴.

¹ Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тб., 1948, с. 44—49, 115—117, 121—123, 156—176.

² თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 37—39.

³ თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 191, 192.

⁴ Fr. Dubois de Montpereux, Voyage autour du Caucase, chez les Tcherkeses et les Abkases, en Colchide, en Géorgie en Arménie et en Crimée, III, Paris, 1839—1843, p. 210—214.

დიუბუსის ინტერესები ატენის სიონისადმი მხოლოდ შემოთქმული არ განიზომება. ამ ძეგლის გათვალისწინებით მან ერთგვარი თეორიაც კი წამოაყალიბა კავკასიის ხუროთმოძღვრებაზე. დიუბუსის თეორიით, ატენის სიონის X საუკუნის ხუროთმოძღვარი იმეორებს VII საუკუნის ცნობილ ხუროთმოძღვრულ თემას — რიფსიმეს ტაძარს, რომლის პროტოტიპები მრავლად გვხვდება როგორც სომხეთში, ისე საქართველოში.

დიუბუსის ასეთი დასკვნისათვის ფსიქოლოგიურ ფაქტორს შეადგენდა ატენის სიონის სამხრეთ ფასადზე ამოკვეთილი სომხური სამშენებლო წარწერა, რომელშიც ეროვნებით სომეხი თოდოსაკი თავს ტაძრის მამუშენებლად აცხადებს. ყოველივე შემოთქმულის საფუძველზე, დიუბუსი თვალსაზრისით ასე ჩამოყალიბდა: კავკასიის ცენტრალურ-გუმბათოვან საკულტო არქიტექტურაში უძველესია წმ. რიფსიმეს ტაძარი, რომელიც, სომეხი ისტორიკოსის სტებოსის ცნობით, სომეხთა კათალიკოსის კომიტასის ქტიტორობით აუვიათ 618—619 წლებში. „რიფსიმეს ტიპის“ შესწორებულ ასლს წარმოადგენს ატენის სიონი, რომელიც სომეხმა ხუროთმოძღვარმა ააგო საქართველოში X საუკუნეში. აღნიშნულის საფუძველზე იგი დასკვნის, რომ სომხეთისა და საქართველოს ხუროთმოძღვრება ერთ საერთო მიმდინარეობად უნდა განვიხილოთ, სადაც წამყვანი როლი სომეხებს უნდა მივაკუთვნოთ. ქართველები მხოლოდ იმეორებდნენ სომხეთში შექმნილ ხუროთმოძღვრულ თემებს⁵.

სამეცნიერო წრეებში დავას არ იწვევდა ის თვალსაზრისი, რომ ატენის სიონი სომეხი ხუროთმოძღვრის აგებული იყო. სადავო და საკვლევი მხოლოდ ისღა რჩებოდა, თუ რომელ საუკუნეში უნდა აშენებინა თოდოსაკს ტაძარი. ამდენად, ატენის სიონის ხუროთმოძღვარი თოდოსაკი იმ პერიოდის მოღვაწედ ცხადდებოდა, რა ხანითაც განისაზღვრებოდა ტაძრის აგების დრო.

როგორც ვიცით დიუბუსამ ატენის სიონის დამათარილებლად ქალაქმშენებლობის ცნობის შემცველი წარწერა მიიჩნია. მკვლევრები მხოლოდ ამის მიხედვით ცდილობდნენ განესაზღვრათ ტაძრის აშენების დრო და შესაბამისად, თოდოსაკის მოღვაწეობის ხანა.

მ. ბროსეს მოსაზრებით, წარწერაში დასახელებულია მეფე ბაგრატ IV (1027—1072). ამდენად, იგი ტაძრის მშენებლობას XI საუკუნით განსაზღვრავს და თოდოსაკიც ამ ხანის ხუროთმოძღვრად მიაჩნია⁶.

ე. შტაკელბერგმა პირველმა შეიტანა ეჭვი აღნიშნული წარწერის და ტაძრის სინქრონულობაში. მკვლევრის დაკვირვებით, ქართული წარწერიდან ისე ჩანს, რომ ამ წარწერის ამოკვეთამდე ტაძარი ბევრად ადრე ყოფილა აშენებული. ასეთი დასკვნის საფუძველად იღებს წარწერის იმ ცნობას რომლის მიხედვით ატენის ციხისთავს — გურგანელს და მის პატრონს — მირიან თარხუნის ძეს ატენის სიონისათვის შეუწირავთ დარბაზი და ქულბაქები. ე. შტაკელბერგის მოსაზრებით ტაძარი აშოტ კურაპალატის ზეობაში — 787—826 წლებს შორის აუვიათ, თუმცა, საამისოდ არავითარი არგუმენტი არ მოაქვს⁷.

⁵ Fr. Dibois, Voyage, III, P. 39—48, 210—218, 380, 381, 410.

⁶ M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie VI, SPb. 1847—48, 21—25.

⁷ G. Gagarine, Le Caucase pittoresque, Paris, 1845—1857, explication à liv. 17-e pl. LVII et à livr. 19-e pl. LVIII etc.



ა. მურავიოვის მოსაზრებით ატენის სიონი ბაგრატ II-ის ზეობაშია აშენებული. მისი რწმენით, ეს ტაძარი არასოდეს არ უნდა კუთვნებოდა ხეზს თუნდაც იმის გამო, რომ ატენის სიონის შიდა სივრცის ორგანიზაცია სრულიად სხვაგვარია და არ შეესაბამება სომხური საკულტო არქიტექტურულ გადაწყვეტას. ამავე დროს, სომხეთის ეპარქიას აქამდე არ მიუწვდებოდა ხელი⁸.

ბ. იოსელიანი ფიქრობს, რომ ქალაქ ატენის მშენებლობა 184 წელს დაიწყო და მის დაარსებას ფარსმან I-ს უკავშირებს, თუმცა ამის დამამტკიცებელი საბუთები არ მოპყავს. მკვლევრის აზრით, ტაძარი XI საუკუნის დამდეგს აუშენებიათ, ბაგრატ III-ის ზეობაში⁹.

დ. ბაქრაძე თავდაპირველად იზიარებდა მ. ბროსეს თვალსაზრისს და ატენის სიონი ბაგრატ IV-ის დროს აგებულ ტაძრად მიიჩნდა¹⁰. იგი აზუსტებს დიუბუას თვალსაზრისს და მიიჩნევს, რომ ატენის სიონი ეჩმიადინის სახელგანთქმული ტაძრის მიხედვით უნდა აეშენებინათ¹⁰.

ვ. კონდაკოვმა საგანგებოდ შეისწავლა ფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურა და ფაქტიური მასალების ჩვენებით დამაჯერებლად აჩვენა დიუბუას თეორიის უსაფუძვლობა¹¹. ვ. კონდაკოვის ნაშრომის გამოქვეყნება სრულ საფუძველს ქმნიდა ქართული და სომხური ხუროთმოძღვრების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა საბოლოოდ გადაჭრილად ჩათვლილიყო, მაგრამ მოვლენები სრულიად საწინააღმდეგოდ განვითარდა:

დიუბუას თეორიის აღორძინებას შეეცადა ნ. მარი. მკვლევრის არგუმენტაცია ვარაუდების ფარგლებს ვერ სცილდება, მაგრამ მის დასკვნებს კატეგორიული ხასიათი აქვს. ნ. მარი ეკვივს ქვეშ არ აყენებს იმ ფაქტს, რომ მცხეთის ჭვარი რიფსიმეს ტაძარზე ადრეული ხანის ძეგლია. ამდენად, მისი მსჯელობით, ჭვარის ხუროთმოძღვარი ვერ გაითვალისწინებდა მის შემდეგ აგებული ტაძრის არქიტექტურას. მიუხედავად ამისა, ნ. მარის ვარაუდით, ასეთი ხუროთმოძღვრული ტიპი ვაღარააპატიში უფრო ადრე უნდა გაჩენილიყო და ის უნდა ყოფილიყო ასეთი სახის საკულტო ნაგებობათა ფუძემდებლური ნიმუში სომხეთისა და საქართველოს არქიტექტურაში¹².

ვ. მარის ეს ვარაუდი კიდევ უფრო განავითარა ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ი. სტრეიგოვსკიმ. მისი მოსაზრებით, სომხეთის ხუროთმოძღვრების ფორმირების პროცესი IV—V საუკუნეებშია საძიებელი. ჩვენამდე მოღწეული VI—VII საუკუნეების სომხური არქიტექტურული ძეგლები მხოლოდ გამოძახილია, უფრო ბატარა მასშტაბებით, ჩვენამდე მოუღწეველი IV—V საუკუნეების სომხური დიდი ორიგინალებისა. ამ დებულებაში ერთადერთ „არგუმენტად“ მოყვანილია გრიგოლ განმანათლებლის და რიფსიმეს ჩვენამდე მოუღწეველი სამარტვილეები, რომლებსაც, სტრეიგოვსკის აზრით, ღვთისმსახურების იმდროინდელი მოთხოვნილებებით სხვა დამატებითი სათავსოებიც უნდა ჰქონოდა. ასეთი სამარტვილეების V საუკუნეში წარმოქმნა უკავშირდება ბერ-

⁸ А. Н. Муравьев, Грузия и Армения, Спб., 1848, с. 102—108.

⁹ П. Иоселиани, Города, существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850, с. 23, 24.

¹⁰ Д. З. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, Тифлис, 1875, с. 31, 32.

¹¹ В. П. Кондаков, Древняя архитектура Грузии, М., 1876, с. 4, 5.

¹² Н. Я. Марр, По поводу работы арх. Т. Торамаяна. О древнейших формах Эчмиадзинского храма, Записки Вост. отд. Арх. Общ., т. XIX, Спб., 1909, с. 056.



ძნულ-სირიულ მიმდინარეობას, რაც გამოიხატებოდა წაგრძელებული ნაგებობების ცილინდრული თაღით გაფორმებაში და ფრონტონულ გადახურვაში.

ი. სტრეიგოვსკი ჩვენამდე მოუღწეველი სამარტვილეების ხუროთმოძღვრული დეტალებისა და კონსტრუქციული ელემენტების საფუძველზე ასკვნის, რომ ეს ხუროთმოძღვრული ფორმა სომხეთში უფრო ძველია, ვიდრე საქართველოში¹³.

ატენის სიონის თარიღის განსაზღვრაში, უდავოდ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმხანად ახლად გამოვლენილი ფრესკული წარწერის ცნობას. ვინმე დავითაშვილის ცნობით, დ. ბაქრაძემ წაიკითხა და გამოსცა ატენის სიონის მოხატულობის ფენის ჩამოშლის შედეგად გამოვლენილი ფრესკული წარწერა, რომელიც ბუდა თურქის მიერ 853 წელს თბილისის დაწვაზე და ზირაქისაგან კახას და მისი ძის თარხუჯის შეპყრობაზე გვაუწყებს. დ. ბაქრაძისათვის ნათელი გახდა, რომ ტაძარი 853 წელზე ბევრად ადრე უნდა აეგოთ. დ. ბაქრაძის დაკვირვებით, ატენის სიონის აქრიტექტურული ტიპი მსგავსია მცხეთის ჯვრისა და, ამდენად, სიონი მცხეთის ჯვრის შემდეგ, VII საუკუნეში უნდა აეგოთ¹⁴.

პ. უვაროვასათვის, როგორცა ჩანს, არ იყო ცნობილი დ. ბაქრაძის აღმოჩენა. მისი მოსაზრებით, ატენის სიონი მცხეთის ჯვრის, რიფსიმეს და ყარსის აგარაკის სრულ განმეორებას წარმოადგენს. მკვლევარი ერთგვარ დაიჭვებასაც კი გამოსთქვამს ბაგრატ IV-ის ქართული წარწერისა და ტაძრის სინქრონოლობაში¹⁵, მაშინ, როცა ამ საკითხზე უკვე ცნობილი იყო ე. შტაკელბერგის მოსაზრება, ხოლო შემდეგ, დ. ბაქრაძის შეუვალმა საბუთიანობამ ნათელყო ამ ტაძრის X ან XI საუკუნით დათარიღების უსაფუძვლობა.

დ. ბაქრაძის მიერ ატენის სიონის თარიღის განსაზღვრა და საბუთიანობა მომდევნო ხანის ქართველ მკვლევართა ნაშრომებში კარგა ხნის განმავლობაში არ აისახა. ა. ქუთათელაძე კვლავ ტრადიციულად იმეორებს იმხანად დამკვიდრებულ აზრს, რომ ატენის სიონი ბაგრატ IV-ის დროს არის აშენებული¹⁶.

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, დ. ბაქრაძის თარიღის უგულებელყოფის ძირითადი მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ მკვლევარი მისი წიგნის (ისტორია საქართველოსი) გამოქვეყნებამდე გარდაიცვალა. ამ ნაშრომში კი ატენის ახლად მიკვლეული ფრესკული წარწერის ადგილმდებარეობა არ იყო მითითებული. ამ საკითხით დაინტერესებულმა მკვლევარებმა წარწერას ვერ მიაკვლიეს. გარდა ამისა, წარწერა, და განსაკუთრებით მისი თარიღის სისწორე, მკვლევართა შორის დაიჭვებას იწვევდა. გაჩნდა აზრი, რომ ბათქაში, რომელზედაც ფრესკული წარწერა იყო მოთავსებული, დ. ბაქრაძის წაიკითხვის შემდეგ ჩამოიშალა¹⁷. ვფიქრობთ, ეს მიზეზი აპირობებდა ივ. ჯავახიშვილის თავდაპირველ თვალსაზრისს. მკვლევარი ითვალისწინებს ე. შტაკელბერგის დაკვირვებას

¹³ J. Strzygovski, Die Baukunst der Armenier und Europa, Wien, 1919, Bd. II, pp. 470, 471, 725, 762, 764.
¹⁴ ისტორიული შენიშვნა, გაზ. „ივერია“, № 8, 1886. დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან მე-X საუკ. დასასრულამდე), ტფ., 1889, გვ. 218, 219.
¹⁵ МАК, IV, М., 1894, с. 147—153.
¹⁶ ა. ქუთათელაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა „კვალ“, № 15, 1987, გვ. 303, 304; ეურ. „მწვეთსი“, № 15, 16, 1902, გვ. 14, 15.
¹⁷ И. Джавахов, К вопросу о времени построения грузинского храма в Атене по вновь обследованным эпиграфическим памятникам, Христианский Восток, I, вып. III, Спб., 1912, с. 277.



ქალაქთმშენებლობის მაუწყებელი წარწერის გვიანდლობაზე და ატენის სიონის აშენების თარიღს X საუკუნით განსაზღვრავს¹⁸.

ივ. ჯავახიშვილმა 1912 წელს მიაკვლია დ. ბაქრაძის მიერ გამოქვეყნებული წარწერას. ამის საფუძველზე მკვლევარმა ვრცელი წერილი მიუძღვნა ატენის სიონის დათარიღების საკითხს. ამ თვალსაზრისით შეისწავლის იგი როგორც ფრესკულ, ისე ლაპიდარულ წარწერებს, 1060—1068 წლებით დათარიღებს ატენის ქალაქთმშენებლობის ცნობის შემცველ წარწერას ბაგრატ IV-ის მიერ სევასტოსის პატივის მიღების წლის და იმ დროის პოლიტიკური სიტუაციების გათვალისწინებით. ბულა თურქის წარწერაში ივ. ჯავახიშვილი ძრავალგან ასწორებს დ. ბაქრაძის წაკითხვას. მკვლევარმა დამაჯერებლად აჩვენა ამ წარწერის თარიღის — 853 წლის რეალურობა, რაც ფრესკულ წარწერაში ქრონიკონით და ჰიჯრით გამოიხატა. ამავე დროს ქართულსა და სომხურ ნარატიულ წყაროებში კარგად არის ცნობილი ამ ხანისათვის ბულა თურქის მიერ თბილისის დაწვის და კოსტანტი კახისა და მისი ძის — თარხუჯის შეპყრობის ფაქტი. ამ წარწერის გათვალისწინებით, ივ. ჯავახიშვილი ატენის სიონის მშენებლობის დროს 853 წლის წინა პერიოდით განსაზღვრავს¹⁹.

ატენის სიონის ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებით შესწავლა გ. ჩუბინაშვილის სახელთან არის დაკავშირებული. მკვლევარმა მკაფიოდ განსაზღვრა ფეოდალური ხანის ქართული ხელოვნების ისტორიის ძირითადი ეტაპები, სტილისტური და ისტორიული თვალსაზრისით დაახასიათა განვითარების ყველა ძირითადი საფეხური და დამაჯერებლად აჩვენა მათი ევოლუციის ხასიათი და გეზი.

ბუნებრივი იყო, გ. ჩუბინაშვილს სათანადო ყურადღება გაემანვილებინა ისეთი რიგის პრობლემების კვლევაზე, როგორიცაა ქართული და სომხური ხუროთმოძღვრების ურთიერთობა-გავლენების საკითხები. მით უფრო, რომ დიუბუა-სტრეიგოვსკის თეორია, თითქმის საუკუნის მანძილზე, ეპის ქვეშ აყენებდა ქართული ხელოვნების ავტოქთონობას. მკვლევართა დიდი ნაწილისათვის საკითხის ასე გადაწყვეტა ანბანურ ჰუმბარიტებასაც კი წარმოადგენდა.

ამ პრობლემის მეცნიერულ დონეზე შესწავლას მიუძღვნა თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დიდი ნაწილი გ. ჩუბინაშვილმა. მკვლევარი მხოლოდ ატენის სიონის პოზიციებიდან კი არ აფასებს დიუბუას თეორიას, რაც სტრეიგოვსკისათვის მზა პოსტულატს წარმოადგენდა, იგი სრულიად მართებულად, გლობალურად განიხილავს პრობლემას და საგანგებოდ შეისწავლის კავკასიის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელ ცენტრალურ-გუმბათოვანი საკულტო არქიტექტურის ამ განსაკუთრებულ ტიპს.

გ. ჩუბინაშვილმა ამ ტიპში შემავალი ქართული და სომხური ხუროთმოძღვრული ძეგლები არქიტექტურულ-სტილისტური და ისტორიული თვალსაზრისით შეისწავლა და დამაჯერებლად განსაზღვრა ამ თემის ფუძემდებლური ძეგლის — მცხეთის ჯვარის — ადგილი და როლი კავკასიის ხუროთმოძღვრების ისტორიაში. გ. ჩუბინაშვილმა ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურის ეს სპეციფიკური საკულტო ნაგებობანი, სრულიად მართებულად, მცხეთის ჯვარის ტიპით გააერთიანა. ფაქტიური მასალების, საფუძველზე მან დამაჯერებლად აჩვენა ამ ხუროთმოძღვრული ტიპის წარმოშობა-განვითარების ეროვნულ

18 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, თბ., 1962, გვ. 13.

19 И. Джавахов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 277—297.



ნული საფუძვლები, რაც განსაკუთრებული სიცხადით, მეცნიერული არგუმენტების სისადავით გამოიხატა მცხეთის ჯვარის ტიპისადმი მიძღვნილ მონუმენტულ ნაშრომში²⁰.

ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს სომხეთის არქიტექტურისადმი მიძღვნილ ნარკვევში, რომელშიც გ. ჩუბინაშვილი მკაფიოდ განსაზღვრავს ამ ტიპში შემავალი სომხურ ძეგლების მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს და აზუსტებს მათ ქრონოლოგიას²¹.

გ. ჩუბინაშვილის ბევრ ნაშრომში გამოიკვეთა დიუბუხას, სტრეიგოვსკისა და, საერთოდ, მათი თეორიის მიმდევართა არგუმენტების უსაფუძვლობა²². რაც შეეხება ატენის სიონს, რომელიც დიუბუხას თეორიის ერთადერთ საყრდენს შეადგენდა. გ. ჩუბინაშვილისათვის იგი სპეციალური შესწავლის საგნად არ გამბდარა. ზემოთაც აღინიშნა, რომ მეკლევარი მთლიანობაში შეისწავლის მცხეთის ჯვრის ტიპით გაერთიანებულ ძეგლებს, მათ შორის ატენის სიონსაც.

გ. ჩუბინაშვილის თვალსაზრისით, ატენის სიონი მცხეთის ჯვრის ზუსტ განმეორებას წარმოადგენს, რომელსაც არა მხოლოდ საერთო არქიტექტურული ორგანიზაციით მზამავს, არამედ ტაძრის ტოპოგრაფიული განთავსებითაც. ატენის სიონის არქიტექტურული ფორმების მხატვრულ-სტილისტური და შედარებითი ანალიზის საფუძველზე გ. ჩუბინაშვილი ამ ძეგლს VII საუკუნის 30-იანი წლებით ათარიღებს, თოდოსაქს მიიჩნევს მის ხუროთმოძღვრად, მაგრამ აქვე ნათლად აჩვენებს ამ არქიტექტურული ნაგებობის ქართულ, ეროვნულ საფუძვლებს²³.

გ. ჩუბინაშვილის თვალსაზრისი ჯვრის ტიპის არქიტექტურული ძეგლების შესახებ გაზიარებულ იქნა სამეცნიერო ლიტერატურაში. შ. ამირანაშვილი მთლიანად ეყრდნობა და იმეორებს ჩუბინაშვილის დებულებას ამ საკითხზე. მეკლევარი შეეცადა დაეზუსტებინა ატენის სიონის აგების თარიღი VII საუკუნის პირველი ნახევრით და დაეკონკრეტებინა მისი ქტიტორის ვინაობა ამის საფუძველად იგი იღებს ამომსავლეთ ფსაადის ერთი რელიეფის წარწერას და აქ კითხულობს „სტეფანოს [ადრ]ნერსეს [ძე]“-ს, რომელსაც ერისმთავარ სტეფანოს II-სთან აიგივებს²⁴.

ბოლო ხანებში სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა ახალი თვალსაზრისი ატენის სიონის ხუროთმოძღვრის — თოდოსაქის, ტაძრის მრავალრიცხოვანი რელიეფური ქანდაკებებისა და კედლის მხატვრობის შესახებ. თოდოსაქის ქრონოლოგიის საკითხი თავდაპირველად ქართულ კედლის მხატვრობაში ასახული ეროვნული იკონოგრაფიული პროგრამის კვლევის შედეგებით გაირკვა.

²⁰ Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Исследование по истории грузинского искусства, Тб., 1948, с. 3—217.

²¹ Г. Н. Чубинашвили, Разыскания по армянской архитектуре, Тб., 1967, с. 1—20.

²² G. Tschubinaschwili, Die christliche Kunst in Kaukasus und ihr Verhältnis zur allgemeinen Kunstgeschichte. Eine kritische Würdigung von Josef Strzygowskis Die Baukunst der Armenien und Europa, in Monatshefte für Kunstwissenschaft, Leipzig, 1922, № 1; იხ. მისივე Памятники, გვ. 126—132; მისივე ქართული ხელოვნების ისტორია, 1 თბ., 1936, გვ. 136—140.

²³ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტფ., 1936, გვ. 128—140; Г. Н. Чубинашвили, Памятники... გვ. 44—49, 115—116, 121—122, 156—178.

²⁴ შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ., 1944, გვ. 177—180, მისივე, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 125, 126.



ქართულ სახვით ხელოვნებაში VI საუკუნის საეკლესიო მოღვაწის დავით გარეჯელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ციკლში მკაფიოდ გამოხატული, ეკონოგრაფიული პროგრამა. ამ ციკლის ფორმირების საწყის ეტაპზე, დავით გარეჯელი მხოლოდ ეროვნული მოღვაწის სახით გამოიხატება, რომლისადმი მიძღვნილ ციკლში, მის მიერ უდაბნოს მრავალმთაში სამონასტრო კერების დაარსების რეალური ვითარება აისახა. ამ ციკლში დავით გარეჯელისათვის უცხოა სასწაულომოქმედებანი და მისი ღირსება მხოლოდ მისივე მოღვაწეობის მნიშვნელობით ფასდება. ასეთი იდეით აღბეჭდა დავით გარეჯელის მოღვაწეობის ციკლი გარეჯის ერთ-ერთი სამონასტრო განშტოების — უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკონეს კედლის მხატვრობაში, რომელიც IX საუკუნით თარიღდება²⁵.

ამ თემის განვითარების მომდევნო ეტაპზე დავით გარეჯელი მხოლოდ ეროვნული წმიდანის ნიშნით გამოისახება. მისი წმიდანობის ძირითად ატრიბუტს შეადგენს სასწაულომოქმედებანი. ეს ციკლი, რომელიც 983 წლით თარიღდება, უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის კედლის მხატვრობაში აისახა²⁶.

ეჭვს გარეშეა, რომ სასწაულომოქმედების თემა დავით გარეჯელის მიერ დაარსებული მონასტრის სამხატვრო კერაში ჩაისახა და პირველად აქვე აისახა IX საუკუნეში. ამავე სამხატვრო კერაში გადაუზრებიათ დავით გარეჯელის ციკლი სასწაულომოქმედებით ასპექტში და ამ ახალი თვალსაზრისით აღბეჭდილი მოხატულობა პირველად კვლავ გარეჯის მონასტერში აისახა 983 წელს. ამგვარად, მოღვაწეობითი ასპექტიდან სასწაულომოქმედებითზე გადასვლა 983 წლიდან მომხდარი ფაქტია და ასე გამოისახება დავით გარეჯელი შემდგომი ხანის სახვითი ხელოვნების ძეგლებში²⁷.

დავით გარეჯელის სასწაულომოქმედებით პროგრამაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს დავითის სასწაულომოქმედებით მოვლენილი ირემების ლუკიანესაგან მოწვევის სცენა. ეს თემა პირველად აისახა 983 წლით დათარიღებულ კედლის მხატვრობაში და მოგვიანო ხანაში არაერთ მოხატულობაში გვხვდება²⁸.

ატენის სიონის ერთ-ერთ რელიეფზე დავით გარეჯელის სწორედ ეს სასწაული გამოხატეს. დავითის განუყრელი მოწაფე ლუკიანე წველის მის წინაშე მდგარ ირემს. ცხადია, სასწაულომოქმედებით ასპექტში გააზრებული ეს თემა მხოლოდ 983 წლის შემდეგ უნდა გამოესახათ. რელიეფს სომხური ასოებით ხელს აწერს ავტორი — თოდოსაკი, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში ატენის სიონის ხუროთმოძღვრად იყო მიჩნეული.

ატენის სიონის შესწავლის ისტორიაში პირველად გაჩნდა საფუძველი ტაძრისა და თოდოსაკის დაშორებისა. ატენის სიონი VII საუკუნის ძეგლთა რიგში დგას, ხოლო თოდოსაკი შეიძლება იყოს მხოლოდ 983 წლისა და მომდევნო ხანის მოღვაწე. ტაძარი ვერ გადააწყვება თან თოდოსაკს X საუკუნეში თუნ-

²⁵ გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის რელიეფი/დავით გარეჯელის ცხოვრების სიუჟეტი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1965, № 9, გვ. 66—71; გ. აბრამიშვილი, დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში, თბ., 1972, გვ. 21—60.

²⁶ გ. აბრამიშვილი, დავით გარეჯელის ციკლი..., გვ. 63—89.

²⁷ გ. აბრამიშვილი, დავით გარეჯელის ციკლი, გვ. 115—121, 125—129.

²⁸ გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის რელიეფი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1965, № 9.

დაც იმიტომ, რომ მის ინტერიერში დაცული, ჯერჯერობით ცნობილი, ყველაზე ადრეული ხანის წარწერა 711 წლით თარიღდება²⁹.

კვლევის შემდგომ ეტაპზე გაირკვა, რომ სომხური სამშენებლო წარწერა პალეოგრაფიულად X—XI საუკუნეების სომხურ ეპიგრაფიკულ ძეგლებთან პოლოზებს მსგავსებას. ისიც ცხადი გახდა, რომ დიდი ზომის ღრმად ამოკვეთილ სომხურ გრაფემებს დაუზიანებია და რამდენიმე ადგილზე გაუწყვეტია ქართული ასომთავრულით შესრულებული პილიგრამული მინაწერები, რომლებიც IX—X საუკუნის მიჯნით თარიღდებიან. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ თოდოსაკს მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ამოეკვეთა თავისი წარწერა VII საუკუნის ტაძრის ფასადზე. ისიც საყურადღებოა, რომ სომხური წარწერის ამოშპრელ ოსტატს ქართული ასომთავრული გრაფემებით მოუნიშნავს და გაუნაწილებია სომხური წარწერა კედლის სიბრტყეზე. მხოლოდ ამის შემდეგ, თითოეული ქართული ასონიშნის ქვემოთ, ამოუკვეთია შესაბამისი სომხური გრაფემა. ტექსტის გასანაწილებელი ქართული ასონიშნები პალეოგრაფიულად X—XI საუკუნეთა მიჯნით თარიღდება და სომხური სამშენებლო წარწერის სინქრონულია.

ატენის სიონის რელიეფური ქანდაკებების სტილისტურ-იკონოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლის დროს გამოიყო ორი ძირითადი ქრონოლოგიური ჯგუფი. მცირე ნაწილი ქანდაკებებისა ტაძრის სინქრონული აღმოჩნდა, ხოლო რელიეფთა დიდი ჯგუფი X საუკუნის სტილისტური ნიშნებით აღიბეჭდებოდა და, ბუნებრივი იყო, ისინი თოდოსაკის მიერ ამ ხანაში ჩატარებულ სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად ყოფილიყო მიჩნეული³⁰.

ატენის სიონის სომხური წარწერები მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ თოდოსაკის წარწერა და სომხური გრაფემებით გამოხატული ქვისძოლელთა ნიშნები ერთი პერიოდის — X საუკუნის მეორე ნახევრის ეპიგრაფიკის ნიმუშებია. აქვე, პირველად ქვეყნდება გერგიუმ ერპასანის ძის სომხური წარწერა, რომელშიც გერგიუმმა თავს ღმრთის მოქანდაკედ აცხადებს. ამ წარწერის მიხედვით, გერგიუმმა ატენში იმ დროს მოქმედებს, როდესაც ბაგრატ III-მ თავის დედას — დედოფალ გურანდუხტს უფლისციხე წაართვა. ეს კი 982—986 წლებს შორის მომხდარი ფაქტია³¹, რაც რეალურსა ხდის თოდოსაკის ხელმოწერილი რელიეფის 983 წლის მახლობელ ხანაში შესრულებას.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა დიუბუა-სტრეიგოვსკის თეორიის უსაფუძვლობა. ისიც ნათელი გახდა, რომ მცხეთის ჯვართან და ატენის სიონთან დაკავშირებული მოსაზრებანი, რომლებიც თანამედროვე სიმეზ მკვლევართა მიერ იყო გამოთქმული, ახლად მიკვლეული მასალების შუქზე კრიტიკას ვერ უძლებდა³².

²⁹ გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის სამი გრაფიტი, „მნათობი“, 1984, № 9, 159—168.

³⁰ Г. Абрамишвили, Два строительных периода Атенского Сиона, „მაცნე“, ისტორიის... სერია, თბ., 1972, გვ. 32—53.

³¹ ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978, გვ. 7—127.

³² П. М. Мурадян, Армянская надпись храма Джвари, Вестник общественных наук АН АССР, № 2, Ер., 1968, с. 56—79). **Ա. Բ. Երեմյան, VII դարում հայկական հուշարձանների կրած մի փոփոխության մասին, ՊՐՀ. № 4, 1966.**



ატენის სიონის მოხატულობის თარიღის განსაზღვრის პირველი ცდა ეკლესიის დასაფუძვლების სახელთან არის დაკავშირებული. მკვლევარი ამ საკითხის განსაზღვრის მიზნით ივ. ჯავახიშვილს ქტიტორთა მწკრივში, სამეფო შესამოსელში გამოსახული გვირგვინოსნის ფრესკული წარწერაში ამოუკითხავს „ბაგრატი“. ამის საფუძველზე ამ მეფეს იგი ბაგრატი IV-დ მიიჩნევს და მოხატულობის შესრულების დროს XI საუკუნით განსაზღვრავს³³.

ივ. ჯავახიშვილის აღრეული ხანის ეს ჩანაწერი მეცნიერის არქივში იყო დაცული და, ამდენად, სამეცნიერო წრეებისათვის არ იყო ცნობილი. ნაშრომი, რომელშიც ეს წაკითხვა აისახა, არც თუ ისე დიდი ხნის წინ გამოქვეყნდა, თუმცა გამოქვეყნებამდე თ. ბარნაველმა თავის დროზე გამოიყენა იგი საარქივო მასალიდან³⁴.

ატენის სიონის მოხატულობის ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებით შესწავლას პირველად შ. ამირანაშვილი შეეცადა. ნ. ტოლმაჩეცკაია, ქართული კედლის მხატვრობისადმი მიძღვნილ ნაშრომში ატენის სიონის მოხატულობის თარიღს, შ. ამირანაშვილზე მითითებით, X საუკუნით განსაზღვრავს და, როგორც ჩანს, ასეთ დათარიღებას იზიარებს³⁵.

შ. ამირანაშვილი ატენის სიონის კედლის მხატვრობის სტილისტური დახასიათების შემდეგ შეეცადა მოხატულობის საერთო პროგრამაში ჩართულ იმ ქტიტორთა იდენტიფიკაციას, რომელთა დროს და სახსრებით მოიხატა ტაძარი. შ. ამირანაშვილის მოსაზრებით, დასავლეთი მკლავის ჩრდილო კალთაზე განაწილებული შვიდი ქტიტორი, მარჯვნიდან მარცხნივ ასეთი თანმიმდევრობით უნდა განისაზღვროს: 1. X საუკუნის ქართლის ერთ-ერთი კათალიკოსი, 2. კონსტანტინე აფხაზთა მეფის ძე — უფლისწული გიორგი, 3. კონსტანტინე აფხაზთა მეფე, 4. სომეხთა მეფე სუმბატ ტიეზერაკალი, 5. სუმბატის მცირეწლოვანი მემკვიდრე—უფლისწული აშოტ ერკათი, 6. ანონიმი, რომლის გამოსახულება თითქმის მთლიანად დაზიანებულია, 7. სომეხთა მეფის სუმბატის ასული, რომელიც მეუღლე იყო კონსტანტინე აფხაზთა მეფის ძის უფლისწულ გიორგისა.

ასეთი იდენტიფიკაციის საფუძველად შ. ამირანაშვილი იღებს როგორც ქტიტორთა ფრესკული წარწერების, ისე ნარატიული წყაროების ცნობებს. შ. ამირანაშვილის მოსაზრებით, ქტიტორთა მწკრივის ასეთი რეგლამენტაციის ისტორიულ საფუძველებს შეადგენდა ის პოლიტიკური სიტუაციები, რამაც ჯერ დააპირისპირა, ხოლო შემდეგ დაამოყვრა აფხაზთა და სომეხთა მეფეები—კონსტანტინე და სუმბატი. უფლისწულ გიორგის და სუმბატის ასულის 904 წელს შეუღლება, აგრეთვე, 906 წლით დათარიღებული ერთ-ერთი გრაფიტი, რომელიც, მკვლევრის აზრით, მოხატულობის ზედაპირზე ამოკაწრეს, საფუ-

А. Б. Еремян, К вопросу о датировке кафедральной церкви в Аване, Вестник общественных наук АН АССР, № 3, Ер., 1968, с. 59; **4. ჯ ა ჟ ა რ ე ლ ა ნ, შ ა თ მ ა ნ ა ნ ა ყ ჩ ა თ ა ს ა ნ რ ი ა თ ი დ ი ქ ი ლ ნ ს ნ რ ს კ ა ნ თ ა ნ ა რ ი ქ ხ რ ა ხ რ ე ლ ე, 1968, № 3, 1968; 5. შ ა რ ი დ ქ ლ ა ნ, ს კ ა ნ ხ ი თ ა ნ ა რ ე ლ, ტ. 1976, გვ. 3—185.**

³³ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III, IV, თბ., 1962.

³⁴ თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 9.

³⁵ Н. И. Толмачевская, Фрески древней Грузии, Тифлис, 1931, с. 9.

ძველს აძლევს მას მხატვრობის შესრულების დრო 904—906 წლებით განსაზღვროს³⁶.

რ. შმერლინგმა ეჭვი შეიტანა შ. ამირანაშვილის დათარიღებაში და ქტიტორთა იდენტიფიკაციაში. მან მოხატულობის განმარტებითი ფრესკული წარწერების პალეოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლის საფუძველზე ამ წარწერებისა და მოხატულობის შესრულების დრო XI საუკუნის მესამე მეოთხედით განსაზღვრა. ამის შესაბამისად, რ. შმერლინგის მიერ ქტიტორები ასეთი თანმიმდევრობით არიან იდენტიფიცირებულნი: 1. უცნობი ბერი, რომლის წარწერიდან შემორჩა მხოლოდ „ქე დიდის“. 2. მეფე გიორგი II, რომლის ზეობაში მოიხატა ტაძარი, 3. მეფე ბაგრატ IV, 4—7. ადგილობრივი ფეოდალები, რომელთაგან მეოთხე ქტიტორი—სუმბატ აშოტის ძე არის არა სომხეთის მეფე, არამედ, ადგილობრივი ქართველი ფეოდალი, რომლის საგვარეულო სახლი განსაზღვრულ ქრონოლოგიურ ეტაპზე მამულებად იწოდებოდნენ³⁷.

მეოთხე ქტიტორის ეროვნებისა და ქრონოლოგიის საკითხებზე მსჯელობის დროს რ. შმერლინგს, შ. ამირანაშვილის გარდა, მხედველობაში აქვს ს. ბარნაველის ვარაუდიც, რომელიც მან ამ ქტიტორის შესახებ თავის დროზე გამოთქვა. საქმე ის არის, რომ ატენის სიონის მოხატულობის ფენის ჩამოშლის შედეგად გამოვლინდა ფრესკული ეპიტაფია, რომელიც მამფალ სუმბატ აშოტის ძის 886 წელს გარდაცვალებაზე გვაუწყებს. ს. ბარნაველის მოსაზრებით, ეს სუმბატი უნდა მოხვედრილიყო ქტიტორთა მწკრივში, მის მიერ გაწეული რაღაც სამსახურისათვის³⁸.

რ. შმერლინგის დათარიღება გაზიარებულ იქნა სამეცნიერო წრეებში³⁹, თუმცა გადაუღიხავე რჩებოდა შ. ამირანაშვილის მიერ მითითებული 906 წლის გრაფიტი, რომელიც, მკვლევრის რწმენით, მოხატულობის ზედაპირზე ამოკვეთეს.

თ. ბარნაველმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ ამ გრაფიტის დასაწყისი მოხატულობის ფენის ქვეშ იყო მოქცეული და, ამდენად, 906 წელი მხატვრობის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად ვეღარ გამოდგებოდა⁴⁰.

1956 წელს ატენის სიონის მოხატულობის საკონსერვაციო სამუშაოების დროს რამდენიმე ფრესკული წარწერა გამოვლინდა. მოხატულობის დათარიღებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ერთ ფრესკულ წარწერას, რომელიც თ. ბარნაველმა ორჯერ გამოაქვეყნა. მკვლევარის წაკითხვით, წარწერაში დასახელებული იყო მეფე გიორგი ნოველისიმოსი და წარწერის დასასრულს ქრონიკონით მოხატულობის შესრულების დრო — 1080 წელი⁴¹. წარწერის ცნობა მხარს უჭერდა რ. შმერლინგის იდენტიფიკაციას, რომლის მიხედვითაც მეორე ქტიტორი მეფე გიორგი II-დ იყო მიჩნეულ.

36 Ш. Я. Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, I, Тбилиси, 1957, с. 95—98.

37 რ. შმერლინგი, ატენის სიონის კედლის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VIII, № 4, თბ., 1947, გვ. 261—267.

38 ს. ბარნაველი, ატენის ახალი წარწერები, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VII, № 1—2, თბ., 1946, გვ. 83—89.

39 Г. Чубинашвили, Т. Вирсаладзе, Книга о старом грузинском искусстве, жур. «Искусство» № 2, М., 1955, с. 88—89.

40 თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 20.

41 თ. ბარნაველი, ატენის სიონის მხატვრობის თარიღის შესახებ, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XVIII, № 3, თბ., 1956, გვ. 281; მსივე, ატენის სიონის წარწერები, გვ. 6—7.



მოხატულობის დამატარილებელი ფრესკული წარწერის შესწავლამ ცხადყო, რომ წარწერის სამი სტრიქონი თავდაპირველ ბათქაშზე დაუტანიათ. მომდევნო ხუთი სტრიქონი გადადიოდა რესტავრაციის დროის გვიან ბათქაშზე. ისიც ცხადი გახდა, რომ წარწერა ქრონიკონს არ შეიცავდა⁴².

ამ ფრესკული წარწერის ინფრაწითელი სხივებით გამოკვლევამ და ფოტოფიქსირებამ ცხადყო, რომ მასში, ნაცვლად მეფეთა მეფე გიორგი ნოველისიმოსისა, დასახელებულია გრიგოლ ლიპარიტ თორელის ძე, რომლის ქტიტორობით შეუუკეთებიათ და ნაწილობრივ გაუცხოველებიათ დასავლეთი აბსიდის მოხატულობის ცალკეული მონაკვეთები. ინფრაწითელი სხივების შუქზე ისიც დადასტურდა, რომ წარწერას ქრონიკონი არ გააჩნდა. ფრესკული წარწერის პალეოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლის საფუძველზე, აგრეთვე, ლიპარიტ თორელის მოხსენიების გათვალისწინებით წარწერის შესრულების დრო XIV საუკუნით განისაზღვრა. აქვე, იმასაც მიეჭვა სათანადო ყურადღება, რომ 1080 წელს შეუძლებელი იყო ატენის სიონი მოეხატათ, რადგან ეს წელი, საქართველოს თავზე დამტყდარი ძნელბედობის — დიდი თურქობის დასაწყისია⁴³.

ატენის სიონის მოხატულობის შემდგომი შესწავლის პროცესში შ. ამირანაშვილის და რ. შმერლინგის დათარიღებისა და ქტიტოროთა იდენტიფიკაციის არაერთი შემაფერხებელი ფაქტორი გამოიკვეთა⁴⁴. ქტიტოროთა განმსაზღვრელი ფრესკული წარწერების რეგლამენტაციის შესწავლამ ვაარკვია, რომ საერთო პირთა პორტრეტულ გამოსახულებათა მარჯვნივ მათი ვინაობა იყო დასახელებული, ხოლო მარცხნივ, გამოცხადებული იყო მათი შესაწირავი. რიგ შემთხვევაში, შეწირულებასთან ერთად მეორედბოდა შემომწირველის სახელი (IV ქტიტორის მარჯვნივ — „სუმბატ ძე აშოტისი“, მარცხნივ — „სუმბატ შემოწირა ბოტინატი“).

განმსაზღვრელ წარწერათა განაწილების მკაცრად დატული ეს წესი არსად არ ირღვევა, რაც იმ დასკვნის საფუძველია, რომ საქტიტორო მწკრივში თავის დროზე გამოუსახავთ მეფე გიორგი, რიგით მეექვსე ქტიტორად. ზემოთაც აღინიშნა, რომ ამ გამოსახულებიდან თითქმის აღარაფერი დარჩენილა. მეექვსე ქტიტორის ნაადგილარის მარცხნივ, იმ ზოლზე, სადაც წარწერათა რეგლამენტაციით შესაწირავი უნდა ყოფილიყო გამოცხადებული, შეწირულებასთან ერთად დასახელებულია შემწირველის სახელი — მეფე გიორგი. ფრესკული წარწერის ეს ცნობა მხოლოდ იმ დასკვნის უფლებას გვიტოვებდა, რომ მეექვსე ქტიტორად მეფე გიორგი გამოსახეს.

ამ ფაქტის დადასტურება ეჭვის ქვეშ აყენებდა რ. შმერლინგის იდენტიფიკაციას, რომლის მიხედვით მეფე გიორგი II რიგით მეორე ქტიტორად იყო მიჩნეული. საყურადღებოა, რომ შ. ამირანაშვილიცა და რ. შმერლინგიც ამ მეორე ქტიტორის მხოლოდ გიორგისთან აიგივებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ გამოსახულებას განმსაზღვრელი ფრესკული წარწერა აღარ შემორჩა. საქმე ის არის, რომ ამ ქტიტორის მომდევნო — მესამე გამოსახულებას (შ. ამირანაშვი-

42 გ. აბრამიშვილი, შენიშვნები ატენის სიონის მხატვრობის თარიღის შესახებ, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXX, № 5, თბ., 1963, გვ. 685—690.

43 გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის საქტიტორო წარწერა, „ძეგლის ძეგლობარი“, 19, თბ., 1969, გვ. 37.

44 გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის მოხატულობის ქტიტოროთა იდენტიფიკაცია, „საბჭოთა ხელოვნება“, 5, თბ., 1982, გვ. 86—100; Г. Абрамишвили, К датировке росписи Атенского Сиона, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, თეზისები, თბ., 1983.



ლით — კოსტანტინე აფხაზთა მეფე, ივ. ჯავახიშვილით და რ. შმერლინგით (ბაგრატ IV) ფრესკულ წარწერაში ნათქვამია, რომ ეს გვირგვინოსანი მამამთა ორგი მეფისა. ფრესკული წარწერის ეს ცნობა გახდა შ. ამირანაშვილისა და რ. შმერლინგისათვის ამოსავლად მეორე ქტიტორის გიორგი უფლისწულთან თუ მეფე გიორგი II-სთან გაიგივებისათვის. რადგან გაირკვა, რომ მეფე გიორგი ამ ქტიტორთა მწკრივში რიგით მეექვსეა, ბუნებრივად ჩნდებოდა ინტერესი გიორგიდ მიჩნეული მეორე ქტიტორის ვინაობის გარკვევისა.

შ. ამირანაშვილის და რ. შმერლინგის ქტიტორთა იდენტიფიკაციაში და მონაბატულობის თარიღის განსაზღვრაში შემაფერხებელ ფაქტორად გამოდიოდა სუმბატ აშოტის ძის შესაწირავში დასახელებული ფულადი ერთეული — ბოტინატი. ასე კითხულობს ამ ნაკულ წარწერას თ. ბარნაველი⁴⁵. საყურადღებოა, რომ ვასული საუკუნის 40-იან წლებში გრ. ვაგარინს გადმოუხატია ქტიტორთა მწკრივი და იმ დროისათვის უკეთ დაცულ ამ წარწერიდან მხატვარს „ბოტი...“ ასონიშნები გადმოუწერია⁴⁶. ეს ფაქტი რეალურსა ხდის ამ ფრესკულ წარწერაში ბიზანტიური ფულადი ერთეულის — ბოტინატის დასახელებას და თ. ბარნაველის წაკითხვის სისწორეს.

ბოტინატის ემისია ბიზანტიის კეისრის — ნიკეფორე ბოტინატის (1078—1081) ზეობაზე მოდის. ეს კი მთლიანად გამორიცხავს შ. ამირანაშვილის თარიღსაც და ქტიტორთა მწკრივში X საუკუნის ქართველ და სომეხ მეფეთა გამოსახვის შესაძლებლობას.

რ. შმერლინგის მიერ გიორგი II-დ მეორე ქტიტორის მიჩნევაში შემაფერხებელ ფაქტორად გამოდიოდა უწვერული ჭაბუკის სახით გამოსახული ამ ქტიტორის ასაკი. ბოტინატის ემისიის და ამ ფულადი ერთეულის ქართლში შემოდგევის დროს გიორგი II 40 წელს მიტანებული მამაკაცი იქნებოდა და შეუძლებელი იყო იგი უწვერული ჭაბუკის სახით გამოეხატათ. ზედმეტი ცდა იქნებოდა მეორე ქტიტორი გიორგი II-დ მიგვეჩინა, რადგან საერო პირთა ვინაობის განმსაზღვრელი წარწერის ცნობით მეფე გიორგი მეექვსე ქტიტორად გამოსახეს.

როგორც ვნახეთ, ქტიტორულ გამოსახულებათა განმსაზღვრელი ფრესკული წარწერების შესწავლამ და დიდი თურქობის დროს ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარების გათვალისწინებამ მთლიანად გამორიცხა ატენის სიონის მხატვრობის გიორგი II-ის ზეობაში შესრულების შესაძლებლობა. თეორიულად ასეთი სამუშაოების შესრულება მხოლოდ გიორგი II-ის მეფობის შემდეგ იყო შესაძლებელი. ეს პერიოდი კი დავით IV-ის ზეობაზე მოდის.

მეორე ქტიტორის დავით აღმაშენებელთან გაიგივებაში უწვერული ჭაბუკის ასაკი აღარ ჩანდა ხელის შემშლელი, რადგან დავით IV 16 წლის ასაკში აღის სამეფო ტახტზე. აღარც ბოტინატის დასახელება გამოდიოდა შემაფერხებელ ფაქტორად, რადგან ეს ფულადი ერთეული, მისი ემისიიდან კიდევ ორი საუკუნე იყო მიმოქცევაში. ბოტინატი დასახელებულია დავით აღმაშენებლის ერთ-ერთ ანდერძშიც.

ბუნებრივ ინტერესს იწვევდა ქტიტორთა მწკრივის თავში გამოსახული ბერის ვინაობა და მისი მეწინავეობის ისტორიული საფუძვლების გარკვევა. თეორიულად, სასულიერო პირის ქტიტორთა მეთაურად გამოსახვის საფუძველი ქვეყნისა და მეფის წინაშე დიდი დამსახურებით შეიძლებოდა ყოფილიყო გაპირობებული. გიორგი II-ის მეფობაში, ბოტინატის ქართლში შემოსვლის შემ-

⁴⁵ თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, გვ. 10, 11.

⁴⁶ Gr. Gagarin, Le Caucase pittoresque, Paris, 1845—1857, Tab. LVII.



დგ, როდესაც მხოლოდ თეორიულად შეიძლებოდა სიონი მოეხატათ, მხელ წარმოსადგენია ბერი გამოესახათ მეწინავე ქტიტორად ქვეყნის წინაშე განუხლები რაიმე სამსახურისათვის. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობის საფუძველზე სრულიად მიუღებელი იქნებოდა ასეთი ვარაუდი, როდესაც თურქ-სელჩუკებმა „წმიდანი ეკლესიანი შექმნეს სახლად ჰუნეთა თესთა, ხოლო საკურთხეველნი ღმრთისანი ადგილად არაწმიდებისა მათისა“⁴⁷. ასეთ სიტუაციაში, როდესაც ქვეყანა განადგურების გზაზე იდგა, კედლის მხატვრობაზე ფიქრიც კი უაზრობად გამოჩნდებოდა.

ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, საქართველოში დიდი თურქობის მძვინვარების ხანაში „16 წლის ყმაწვილის გამეფება თავისთავად დამაფიქრებელია“. მკვლევრის მოსაზრებით, 1089 წლის სახელმწიფო გადატრიალების ინიციატორი იყო არა თექვსმეტი წლის ყმაწვილი, არამედ მეფის კარზე მყოფთა ენერჯული დასი, რომელსაც გიორგი მწიგნობართუხუცესი ხელმძღვანელობდა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით, ეს ბერი იყო დავითის აღმზრდელი და „თანაგამაფავი ყოველთა გზათა, საქმეთა და ლუაწლთა მისთა“. გიორგის ინიციატივით მოიწვიეს რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, იგი იყო ახალგაზრდა მეფის განმზრახი ლიბარიტისა თუ ძაგან-მოდისტოსის წინააღმდეგ ბრძოლისა. იგივე გიორგი მონაზონია მეფის მთავარი თანამოღვაწე თურქთა განდევნის საქმეში. მისი უშუალო მონაწილეობით გაიწმინდა თურქ-სელჩუკებისაგან სამშვილდე და სომხითი. რუსთავიდან თურქების განდევნა და ქალაქის შემოერთება გიორგი მწიგნობართუხუცესის საქმიანობას უკავშირდება. იგია განმზრახი მეფისა ყივჩაღთა გადმოყვანის საქმეში. ნ. ბერძენიშვილის დასკვნით, გიორგი მწიგნობართუხუცესი დავით მეფესთან ერთად იყო შემოქმედლი ახალი ქართული სახელმწიფოსი⁴⁸.

ასეთი პიროვნების ქტიტორთა მეთაურად გამოსახვა, მით უფრო მისი აღზრდილი ჭაბუკი მეფის ზეობის საწყის ხანაში, როდესაც 1089 წლის გადატრიალება გიორგის მეთავეობით წარმატებით დამთავრდა, შესაფერისად მოჩანს. უდავოდ ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ მწიგნობართუხუცესი, ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევით, მხოლოდ მონაზონი შეიძლებოდა ყოფილიყო. აკი სამონაზვნო სამოსში გამოხატეს პირველი ქტიტორი, რაც ასეთი იდენტიფიკაციის კიდევ ერთი დადასტურებაა.

ბაგრატ IV-ის შემდეგ მეოთხე ქტიტორად გამოსახული სუმბატ აშოტის ძე ატენის ქვეყნის მფლობელი ფეოდალია. ასევე ფიქრობს რ. შმერლინგიც. ზემოთაც აღინიშნა, რომ ს. ბარნაველის ვარაუდით 885 წლის ეპიტაფიაში დასახელებული სუმბატ აშოტის ძე გამოსახეს XI საუკუნის ქტიტორთა მწკრივში. ეს ვარაუდი მიუღებელია. IX საუკუნის მოღვაწე ვერ შესწირავდა ატენის სიონს XI საუკუნეში მოკრილ ბოტინატს. რეალური საფუძვლები დაექმნა რ. შმერლინგის იმ ვარაუდს, რომ სუმბატ აშოტის ძე იმ საგვარეულო სახლის XI საუკუნის წარმომადგენელია, რომლებიც ადრე მამფლებად იყო აღმდგომდნენ.

ატენის სიონის მოხატულობის ქვეშ გამოკვლენილი ფრესკული ეპიტაფია, რომელიც ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფლის — სტეფანოზ მამფალის 739 წელს გარდაცვალებაზე გვაუწყებს, საყურადღებო ძეგლია

47 ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 320.

48 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 57, 58, 59.



როგორც საუკთრივ ატენის ქვეყნის, ისე საქართველოს ისტორიის ნაკლებად შესწავლილი პერიოდის არაერთი საკითხის გასარკვევად. ამ ფრესკული ემბლატის ფისაკენ დამხრობილი VIII საუკუნით დათარიღებული სამარხი⁴⁹ იმ დასკვნის საფუძველია, რომ სტეფანოზ მამფალი ატენის სიონში დაკრძალეს. აქვე დაუკრძალავთ ბაგრატიონთა სახლის იმავე განშტოების წარმომადგენლები — გუარამავრ დედოფალი და სუმბატ აშოტის ძე, რომელთაგან ეს უკანასკნელი, ე. თაყაიშვილის მოსაზრებით აშოტ კეკელას ძე სუმბატია⁵⁰.

ექვს ვარეშეა, რომ ატენის ქვეყანა ბაგრატიონთა სახლის ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელთა — მამფლების სამემკვიდრეო დომენს შეადგენდა, ხოლო ატენის სიონი მათი საძვალე იყო. XI საუკუნის ქტიტორთა მწკრივში გამოსახული სუმბატ აშოტის ძე ბაგრატიონთა სახლის იმ შტოს წარმომადგენელია, რომლის თანამოგვარე და თანამოსახელე 885 წელს დაკრძალეს საგვაურელო საძვალეში — ატენის სიონში. ამგვარად, ქტიტორთა მწკრივში გამოსახული სუმბატ აშოტის ძე ატენის ქვეყნის ძირძველი მემკვიდრეა, რომელსაც დავით IV-ის ზეობაში დაუბრუნებია თავისი სამემკვიდრეო დომენი.

როგორც ცნობილია, X—XI საუკუნეებში ატენის ქვეყანა უმეტესწილად ბაღვაშებს უბყრიათ. მათი დაინტერესება ამ ქვეყნით განაპირობა მისმა ხელსაყრელმა მდებარეობამ და თრიალეთიდან ქართლის დამაკავშირებელმა უმოკლესმა გზამ, რომელიც ატენზე გადიოდა.

XI საუკუნეში ბაღვაშები, მეტ-ნაკლები წარმატებით, კვლავ ფლობენ ატენის ქვეყანას. მხოლოდ 1094 წელს მოელო ბოლო ამ უძლიერესი ფეოდალური სახლის კლდეკარის საერისთაოსა და ატენში ბატონობას, როდესაც დავით აღმაშენებელმა ლიბარტ ბაღვაში შეიბყრო და ბიზანტიაში გადაასახლა.

მხოლოდ 1094 წლიდან შეიძლება გამოესახათ ქტიტორთა მწკრივში სუმბატ აშოტის ძე, რომელსაც ატენის ქვეყანა მიეცა.

მეექვსე და მეშვიდე ქტიტორების გიორგი II-ს და მისი მეუღლის საქტიტორო მწკრივის ბოლოში გამოსახვა 1089 წლის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად განსაზღვრული რეგლამენტაციის გამომხატველია. ასეთი ვითარება კარგად შეეფერება რუის-ურბნისის ძეგლისწერაში გიორგი II-ს მოხსენიების ხასიათს, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე, მხოლოდ ფორმალურად ინარჩუნებდა სამეფო პატივს⁵¹.

სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ ატენის სიონის მოხატულობა ქრონოლოგიურად წინ უსწრებს იფრარის 1096 წლის მხატვრობას, რომელიც დავით აღმაშენებლის ზეობაში შეასრულა მეფის მხატვარმა თევდორემ⁵². ატენის სიონის მოხატულობის დათარიღებაში გასათვალისწინებელია ქაბუჯი მეფის ასაკი, აგრეთვე ის ფაქტიც, რომ სუმბატ აშოტის ძეს მხოლოდ 1094 წლიდან შეეძლო მიეღო ატენის ქვეყანა და გამოესახათ ქტიტორთა მწკრივში. ყოველივე ზემოთქმული საფუძველია იმისა, რომ ატენის სიონის მოხატულობა 1094 წლის შემდეგ 1096 წლამდე შესრულებულ ძეგლად მივიჩნიოთ.

როგორც ვნახეთ, ატენის სიონის შესწავლის ისტორიაში არაერთხელ მიენიჭა გადამწყვეტი მნიშვნელობა ფრესკული წარწერების ცნობებს არქიტექტურისა და კედლის მხატვრობის ქრონოლოგიის საკითხების გარკვევაში.

49 სამარხი გათხარა და დათარიღა ვ. ართილაყვამ. იხ. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, V, 1973, გვ. 102—115.

50 სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, ე. თაყაიშვილის გამოცემით, თბ., 1943, გვ. 63.

51 ნ. ბ. გ. ძე ნ. შ. ვ. ი. ლი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 26.

ატენის სიონის ფრესკაული წარწერების წყაროთმცოდნეობითი ანივენილოზა

ატენის სიონის მრავალრიცხოვანი წარწერებიდან ისტორიული ხასიათის ცნობები, უმეტესწილად, ფრესკული ეპიგრაფიკის ნიმუშებში აისახა. მათი წყაროთმცოდნეობითი ღირებულება იმითაც განიზომება, რომ ისინი საქართველოს ისტორიის შედარებით ნაკლებად შესწავლილ პერიოდზე დღემდე სრულიად უცნობ, მნიშვნელოვან ცნებებს გვაწვდიან. ის ცნობები, რომლებიც ფრესკულ წარწერებში თვითმხილველთა და თანამედროვეთა ხელით აისახა, ცხადია, დიდ ნდობას იმსახურებენ და უნდა განხილულ იქნენ როგორც პირველწყარო.

ატენის სიონის ფრესკული წარწერების ცნობები უმეტესწილად VIII—X საუკუნეების ისტორიული ვითარებების ამსახველია, რასაც ვერ ვიტყვოდით ტაძრის ფასადებზე დაცულ ლაპიდარულ წარწერებზე. აქ, ისტორიული თვალსაზრისით ყველაზე ღირებული წარწერა, რომელიც ბაგრატ IV-ის ზეობაში ატენის ქალაქმშენებლობაზე მოგვითხრობს, 1060—1068 წლებით თარიღდება.¹ ტაძრის ფასადებზე ამოკვეთილი წარწერების ის ნაწილი, რომლებიც ჩვენთვის არიან ცნობილი, IX—XIV საუკუნეებს განეკუთვნებიან², თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მრავალრიცხოვან პილიგრიმთა თუ მავედრებელთა მიწარწერებში უფრო ადრეული ხანის წარწერებიც გამოვლინდნენ.

ფასადებთან შედარებით ინტერიერში უფრო ადრეული ხანის ფრესკული წარწერების არსებობა ასე უნდა აიხსნას: X საუკუნის 80-იან წლებში ატენის სიონში ფართო მასშტაბის სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ეს სამუშაოები, უმეტესწილად, საფასადო სიბრტყეებზე და გუმბათის ყელზე ქვათლილების შეცვლაში და რელიეფური ქანდაკებების დიდი ნაწილის განახლებაში გამოიხატა. ცხადია, თავდაპირველი ქტიტორული რელიეფების ახლით შეცვლა იმასაც ნიშნავდა, რომ ატენის სიონის მაშენებელ საერო პირთა განმსაზღვრელი წარწერები, ამ მიზეზით, ჩვენამდე ვეღარ მოაღწევდა.

ერთადერთი გამონაკლისია X საუკუნეში განახლებული ქტიტორული ქანდაკება აღმოსავლეთი ფასადის შეერილის ჩრდილო წახნაგზე, რომლის ფეხების ქუსლებზე (I) წვრილი გრაფემებით ამოკვეთილია სახელები „ნერსე“, „სტეფანოზ“. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ნუსხურით შესრულებული წარწერა VII საუკუნის პირველი ნახევრის ეპიგრაფიკულ ძეგლად იყო მიჩნეული³. ახალი თვალსაზრისით წარწერა X საუკუნის პალეოგრაფიული ნიშნების შემცვე-

¹ И. Джавахов, К вопросу о времени построения грузинского храма в Атене по вновь обследованным эпиграфическим памятникам, Христианский Восток, I, вып. III, СПб., 1912, с. 286—290.

² თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 35—64.

³ თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრ., გვ. 41.



ლია და იმ რელიეფური ქანდაკების სინქრონულია, ოთხლის ფეხების ქუსლებზეც იგი ამოკვეთეს. გამოითქვა მოსაზრება, რომ ანთროპომომები „ნერსე“ და „სტეფანოზი“ ამ პირთა თავდაპირველი რელიეფური ქანდაკების ნაადგილად განახლებული რელიეფის ჩასასმელ ტოპოგრაფიულ მინიშნებად გამოიყენეს⁴.

ვფიქრობთ, ასეთმა ვითარებამ განაპირობა ატენის ინტერიერში უფრო ძველი წარწერების დაცვის შესაძლებლობა, რადგან X საუკუნის სარესტავრაციო სამუშაოები ინტერიერს ნაკლებად შეეხო, ამიტომაც არის, რომ ატენის სიონის ჭერჭერობით ყველაზე ადრეული ხანის წარწერა, რომელიც 711 წლით თარიღდება, ინტერიერში შემოგვინახა⁵.

ძალაში რჩება ინტერიერში უფრო ძველი წარწერების გამოვლენის თეორიული შესაძლებლობა. საქმე ის არის, რომ ფრესკული წარწერების ალბათ დიდი ნაწილი XI საუკუნის მოხატულობის ფენით არის დაფარული⁶. ფრესკული წარწერების ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივებით გამოვლენის თანამედროვე ტექნიკური საშუალებანი ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს ყოველგვარი შემადგენლობის საღებავის ქვეშ მოქცეული ფრესკული წარწერების გამოვლენის სრულ გარანტიას⁷. ფიზიკოსთა წრეებში ის აზრიც გაჩნდა, რომ შესაძლოა ამ თვალსაზრისით ეფექტური აღმოჩნდეს ლაზერის სხივების გამოყენება, რომელსაც ნებისმიერ სიმკვრივეში შეღწევის უნარი აქვს⁸. ცხადია, ასეთი ხასიათის სამუშაოების ფიზიკის თანამედროვე მიღწევათა დონეზე განხორციელება საშური საქმეა, რადგან თუნდაც მხოლოდ ატენის სიონის დღემდე უცნობი წარწერების გამოვლენაც კი, სხვა უამრავ ფრესკულ წარწერებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, უაღრესად საყურადღებო იქნება საქართველოს ისტორიისა და კულტურის სხვადასხვა საკითხებისათვის.

ატენის სიონის ფრესკული წარწერების ქრონოლოგიის საკითხებზე მსჯელობის დროს საჭიროა ვიცოდეთ იმ ბათქაშის შესრულების დრო, რომლებზედაც ფრესკული წარწერები შეასრულეს. ბათქაშის შესწავლამ კი შემდეგი გაარკვია.

ინტერიერში დაცულია სამი სხვადასხვა პერიოდის ბათქაში. ტაძრის მშენებლობის სინქრონულია ბათქაშის ქვედა მონაკვეთი, სარკმელთა თაღების ქუსლების დონემდე. სარკმელთა თაღებიდან ზემოთ, ინტერიერი არ შეუბათქაშებიათ. ამის მაჩვენებელია ანიკონური მხატვრობა, რომელიც უშუალოდ ქვის ზედაპირზე წითელი საღებავით დაუტანიათ. ანიკონური მხატვრობით იმკობოდა ოთხივე მკლავის კონქი, პირველი რიგის ოთხივე ტრომპი, სარკმელთა და კარებების თაღები, ოთხივე მკლავის სატრიუმფო თაღები, გუმბათის ნახევარსფეროზე განაწილებული ქვის რელიეფური ჯვარი⁹.

ანიკონური მხატვრობის პროგრამაში შედიოდა „აყვავებული“ თუ „განედლებული“ ჯვრები, რომლებიც ბათქაშზე გამოსახეს. ამდენად, პილონებზე და

4 Г. Абрамшвили, Два строительных периода Атенского Сиона, „მაცნე“, ისტორიის სერია, I, 1972, გვ. 32—55.

5 გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის სამი გრაფიტი, „მნათობი“, 9, 1984, გვ. 159—168.

6 ზ. ალექსიძე, ატენის სიონის ოთხი წარწერა, თბ., 1983, გვ. 5—36.

7 И. Н. Гильгендорф, Выявление невидимых надписей ультрафиолетовыми и инфракрасными лучами, „მაცნე“ 1970, 4, გვ. 161—276.

8 გ. აბრამიშვილი, ფიზიკა ზელოვების ისტორიის შესწავლის სამსახურში, ალმანახი „ფრესკა“, თბ., 1972, გვ. 22—23.

9 თ. ვირსალაძე, ატენის სიონის მოხატულობა, თბ., 1984, გვ. 5—12, სურ. 7.

პასტოფორუმების არქიტრავებზე განაწილებული ჯვრები თავდაპირველი მხატვრობის ნიმუშებს წარმოადგენენ და ბათქაშიც, ცხადია, მოხატულობის დრატისა, ან მასზე ადრეული ხანისაც კი შეიძლება იყოს. ატენის სიონის თავდაპირველი ბათქაშის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად, ჯერჯერობით, 711 წელი გამოდის, რადგან ამ წლით დათარიღებული წარწერა თავდაპირველი პერიოდის ბათქაშზეა ამოკვეთილი¹⁰. ცხადია, ბათქაში ამ წარწერაზე ადრე, ტაძრის აგების შემდეგ უნდა შეესრულებინათ. ამ ძველ ბათქაშზეა განაწილებული უძველესი ფრესკული წარწერები, რომელთა დიდი ნაწილი XI საუკუნის მოხატულობის ფენით არის დაფარული.

მეორე პერიოდის ბათქაშის დათარიღება დიდად არის დამოკიდებული კედლის მხატვრობის თარიღის განსაზღვრაზე. ატენის სიონის მოხატულობის ქტიტორთა იდენტიფიკაციისა და ამ მხატვრობის თარიღის საკითხებზე ზემოთ უკვე ითქვა. ამდენად, მეორე პერიოდის ბათქაშის თარიღი XI საუკუნის 90-იანი წლები უნდა მივიჩნიოთ. ამ ხანაში მოხატა ატენის სიონის შიდა სივრცე, რისთვისაც, თავდაპირველი ბათქაშის ზოლიდან ზემოთ, მთლიანად შეუბათქაშებიათ ტაძარი. ისე რომ ატენის სიონის მოხატულობა ორ, სხვადასხვა პერიოდის, ბათქაშზე დევს. ამდენად, თავდაპირველ ბათქაშზე შესრულებული ფრესკული წარწერები XI საუკუნის 90-იან წლებამდე ხილული იყო. თეორიულად, ამ ხანამდე შეიძლებოდა თავდაპირველ ბათქაშზე წარწერის შესრულება, თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, ყველაზე გვიანი პერიოდის თარიღიანი ფრესკული წარწერები X საუკუნეს განეკუთვნება.

მოხატულობის ფენაზე შესრულებული ფრესკული წარწერები XI საუკუნის 90-იანი წლებისა და შემდეგი ხანის ეპიგრაფიკულ ნიმუშებად უნდა მივიჩნიოთ. ბათქაშის მესამე ფენა, რომლის სტრუქტურაში ბზეა ჩართული, XIV საუკუნეში აქ ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შედეგია¹¹.

ატენის სიონის ფრესკული წარწერებიდან, ჯერჯერობით, ყველაზე ადრეული ხანისაა სტეფანოზ მამფლის ეპიტაფია. ეს წარწერა, კარგა ხნის განმავლობაში ატენის სიონის უძველეს თარიღიან წარწერად იყო მიჩნეული, ვიდრე მასზე ადრეული ხანის გრაფიტი არ გამოვლინდა¹².

სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა ეპიტაფიური ხასიათისაა, იგი 1956 წელს გამოვლინდა ტაძრის მოხატულობის საკონსერვაციო სამუშაოების პროცესში.

წარწერა ნაწილობრივ წაიკითხა და გამოსცა თ. ბარნაველმა. ფრესკული ეპიტაფიის ფრაგმენტული შინაარსიც კი ცხადყოფდა, რომ წარწერაში მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობები აისახა. თ. ბარნაველის მოსაზრებით, სტეფანოზ მამფალი ისტორიულ წყაროებში არ არის ცნობილი და შეიძლება იგი ადგილობრივ მფლობელთა გვარს ეკუთვნოდეს¹³.

სტეფანოზ მამფლის ფრესკული ეპიტაფიის შემდგომმა შესწავლამ ასეთი საკითხები გარკვევა: სტეფანოზ მამფალი გარდაცვლილა იმ „ღვთივგვირგვინის“ ზეობის 21-ე წელს, რომლის სახელი ბათქაშის დაზიანების გამო წარ-

10 გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ატენის სიონის სამი გრაფიტი, გვ. 159—168.

11 გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, შენიშვნები ატენის სიონის მხატვრობის თარიღის შესახებ, საქსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXX, № 5, თბ., 1963, გვ. 685—690. მისივე, ატენის სიონის საპტიტორო წარწერა, „ძველის შეგობარი“, 19, 1969.

12 გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ატენის სიონის სამი გრაფიტი, გვ. 159—168.

13 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ატენის სიონის წარწერები, გვ. 13—45.

ხოცლა. ეს თარიღი გამოხატულია პიჯრით, — 738/739 წლები. გაირკვა, რომ სტეფანოზი გარდაცვლილა 739 წლის 14 ოქტომბერს, ოთხშაბათ დღეს, ღამის 1 საათზე. უმთავრია 29 წელი. აქედან ისიც გაირკვა, რომ სტეფანოზ მამფლის 711 წელს ასულა საერისმთავრო ტახტზე. ეს კი საფუძველს იძლეოდა 719 წლით განსაზღვრულიყო ჩვენთვის უცნობი „ღმრთივეგვირგვინოსნის“ ზეობის პირველი წელი, რადგან, წარწერის მიხედვით, სტეფანოზი ამ მეფის ზეობის 21-ე წელს გარდაცვლილა.

წარწერის ნაკლები ადგილის აღსადგენად საჭირო იყო იმის ცოდნა, რომელი მეფე ავიდა სამეფო ტახტზე 719 წელს. ბიზანტიასა და ხალიფატში ამ წელს მეფედ არავინ უკუთრებებიათ. საქართველოში კი ასეთი პოლიტიკური სიტუაცია სუფევს: 716—717 წლებში კოსტანტინოპოლი არაბთა გარემოცვაშია. ამ სამხედრო ოპერაციას ხელმძღვანელობს მასლომა 717 წელს არაბთა ალყა დიდძალი ქვეითი არმიით და ფლოტით გაძლიერდა. არაბთა დამხმარე ქვეითი ჯარის მარშრუტი გადიოდა საქართველოზე, სადაც, არაბთა ლაშქარი ანაკოფიის ბრძოლაში, სტეფანოზ II-ის ძებთან — მიპრთან და არჩილთან დამარცხდა. არაბთა ლაშქარი გურია-სპერის გავლით ქალკედონში დაბანაკებულა კოსტანტინოპოლის საალყო ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად.

ცნობილია, რომ ეს ალყა ბიზანტიელთა გამარჯვებით დამთავრდა. 718 წლის 18 აგვისტოს მასლომა მოხსნა კოსტანტინოპოლის ალყა. ჯუანშერის ცნობით, მიპრმა და არჩილმა „წარავლინეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა“, რაც მხოლოდ 718 წლის 18 აგვისტოს შემდეგ შეიძლებოდა მომხდარიყო. კეისარმა მიპრსა და არჩილს „წარმოსცა ორი გერგვნი და გუჯარი“. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანაკოფიის ბრძოლაში დაჭრილი მიპრი მალე გარდაცვლილა, რაც კოსტანტინოპოლში მოციქულის წარგზავნის შემდეგ მომხდარა. ამდენად, არჩილი უნდა ყოფილიყო ის ერთადერთი „ღმრთივეგვირგვინოსანი“, რომელიც 719 წელს ასულა სამეფო ტახტზე. ასეთი დასკვნის საფუძველია ის ფაქტი, რომ 718 წლის 18 აგვისტოდან 719 წლამდე ოთხ თვეზე ოდნავ მეტი დროა დარჩენილი, რაც ბიზანტიაში მოციქულის წასვლას, იქ სათანადო დიპლომატიური საქმეების მოგვარებას და უკან დაბრუნებას მოუწოდებოდა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით სტეფანოზ მამფლის ეპიტაფიის ნაკლებ ადგილზე აღდგა „ღმრთივეგვირგვინოსნის“ სახელი — არჩილი (719—745). აქვე ისიც აღინიშნა, რომ ქართულ ნარატიულ წყაროებში და სტეფანოზ მამფლის ეპიტაფიაში არჩილ II-ს მეფედ დასახელება მის რეალურ პოლიტიკურ ტიტულს არ უნდა გამოხატავდეს¹⁴.

აღნიშნული ფრესკული ეპიტაფიის მეექვსე სტრიქონის წაკითხვამ ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე უცნობი სოციალური ტერმინი დაადსტურა. ამ მოხატულობის თხელი ფენის ქვეშ მოქცეული სტრიქონის შესწავლით გაირკვა, რომ სტეფანოზ მამფალი ყოფილა „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფალი“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სტეფანოზი იმ დროის უმაღლესი ხელისუფლების მპყრობელია. მაგრამ ახსნას მოითხოვდა ის ფაქტი, რომ ეპიტაფიაში ღმრთივეგვირგვინოსნად არჩილი დაასახელეს.

ატენის სიონის ფრესკულ ეპიტაფიაში დასახელებული სტეფანოზ მამფალი იდენტიფიცირებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ნუსხებში და ქართლის

¹⁴ გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977, გვ. 7—10.

ცხოვრებაში დასახელებულ იმ სტეფანოზთან, რომლის მამაა დიდი ერისმთავარი ნერსე, ხოლო პაპა — ვარაზ ბაკური.

ფრესკულ ეპიტაფიაში მოტანილი და გამოთვლით მიღებული ლოგის მიხედვით გაირკვა, რომ სტეფანოზ მამფალი რვა წლით ადრე ასულა საერისმთავრო საყდარზე (711), ვიდრე არჩილ II სამეფო ტახტს დაიპყრობდა (719). ისტორიული წყაროების გათვალისწინებით, სტეფანოზ მამფალს თავისი პოლიტიკური უფლებები 730 წლამდე არ დაუთმია. არჩილ II მხოლოდ სტეფანოზ მამფალთან კომპრომისის გზით აღწევს ქართლის მეფობას, რაც მის რეალურ პოლიტიკურ უფლებებს არ გამოხატავს, ხოლო სტეფანოზი, 730 წლიდან „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფალია“¹⁵.

სამეცნიერო ლიტერატურაში სტეფანოზ მამფლის ფრესკული ეპიტაფიით დაინტერესება ასე გამოიხატა: ა. ბოგვერაძის მოსაზრებით, ეპიტაფიაში დასახელებული სტეფანოზი არჩილისა და მიპრის მამა სტეფანოზ II ადარნასეს ძეა¹⁶. ბ. სილაგაძის შენიშვნით, ასეთ იდენტიფიკაციას საეჭვოდ ხდის ჭუნანქარის თხზულებაში დაცული ის ცნობა, რომ სტეფანოზ II დასავლეთ საქართველოში გარდაიცვალა¹⁷. ცხადია, ახსნას მოითხოვდა ის ფაქტი, რომ სტეფანოზ მამფლის ეპიტაფია ატენის სიონში მოათავსეს და აქვე, ამ ეპიტაფიის ჩამოსწვრივ დაკრძალეს.

ბ. სილაგაძის გამოკვლევით, არაბული და სომხური წერილობითი წყაროები გვიჩვენებენ რომ 730 წელს კავკასიაში არაბთა სარდლის ჯარაჰის ლაშქრობის საპასუხოდ აქ მდგარ არაბთა ჯარს ხაზარები შემოესივნენ. ამან მკვლევარი არჩილ II-ის ხელს ხედავს. სტეფანოზ მამფლის ეპიტაფიის და ქართლის ცხოვრების ერთ-ერთი მინაწერის გათვალისწინებით არჩილ II-ის ზეობას იგი 718—719 წლებით განსაზღვრავს¹⁸, რაც ძალზე ახლოა სტეფანოზის ეპიტაფიის ქრონოლოგიური მონაცემებით გამოთვლილ არჩილ II-ის ზეობის წელთან (719)¹⁹.

ა. ბოგვერაძის ნაშრომიდან ისე ჩანს, რომ ხაზართა ამ შემოსევის ინიციატორია ქართველთა და მეგრელთა ერისთავთა (წარწერაში „ერისთავთ-ერისთავთა“, რაც სულ სხვა სოციალური კატეგორიის გამომხატველია) უფალი — სტეფანოზ მამფალი. ზემოთ უკვე ითქვა, რომ მკვლევარი ამ სტეფანოზს ადარნასეს ძესთან აიგივებს²⁰.

ნ. შოშიაშვილი, საკითხის დასმის წესით, ასეთ მოსაზრებას გეთავაზობს. მკვლევრის აზრით, ატენის სიონი IX საუკუნის ძეგლია, რადგან, ამ ხანაზე ადრეული წარწერა, მისი რწმენით, ატენის სიონში არ დასტურდება. ის ერთადერთი დაბრკოლება (სტეფანოზ მამფლის 739 წლით დათარიღებული ფრესკული ეპიტაფია), რაც ასეთი თვალსაზრისის ხელის შემშლელად გამოდიოდა, მკვლევარმა მხოლოდ იმით გადალახა, რომ ეჭვი შეიტანა სრულიად მკაფიოდ გამოხატული თარიღის სისწორეში. ნ. შოშიაშვილს ასეთი დასკვნის საფუ-

15 გ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 36—41.

16 ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII საუკუნეებში, თბ., 1978, გვ. 98—101.

17 ბ. სილაგაძე, ხაზართა ერთი ლაშქრობის შესახებ VIII საუკუნეში, „მაცნე“, ისტორიის... სერია, I, თბ., 1980, გვ. 105—115.

18 ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 105—115.

19 ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 98—101.

20 ლაბიდაური წარწერები, 1, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 40—44.

ძველს აძლევს, ჩვენთვის ძალზე ბუნდოვანი პალეოგრაფიული ნიშნები, მელთა მიხედვით იგი მექანიკურ შეცდომად მიიჩნევეს პიკრით გამოხატულ თარიღს და შესაფერისად ესახება 839 წელი²¹.

სტეფანოზ მამფლის ფრესკული ეპიტაფიის მონოგრაფიული სახით პუბლიკაციის შემდეგ ატენის სიონში გამოვლინდა სამი გრაფიტი, რომელთა ცნობა საბოლოოდ არკვევს სადავო საკითხებს. ერთ-ერთი გრაფიტი ვინმე იოანეს ბელით არის ბათქაშზე ამოკვეთილი და სტეფანოზ მამფლის საერისმთავრო საყდარზე ასვლაზე და მის კურთხევაზე მოგვითხრობს. საყურადღებოა, რომ ამ წარწერაში სტეფანოზი ნერსეს ძედ არის დასახელებული, როგორც ეს თავის დროზე ივარაუდებოდა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და ჭუანჭერის ცნობათა გათვალისწინებით²². ისტორიული ხასიათის ამ ცნობათა უტყუარობა იმ ფაქტმაც დაადასტურა, რომ იოანეს გრაფიტში დასახელებულია სტეფანოზ მამფლის პაპა ვარაზი, ისევე, როგორც ეს აისახა ზემოთ დასახელებულ ლიტერატურულ წყაროებში.

იოანეს გრაფიტის ქრონოლოგიურ მითითებად გამოდგებოდა სტეფანოზ მამფლის საერისმთავრო ტახტზე ასვლის წელი (გარდაიცვალა 739 წელს და 29 წელი იმთავრა, რაც 711 წელზე მოდის). მაგრამ სადავო საკითხის გასარკვევად ეს ქრონოლოგია აღარ არის საკმარისი, რადგან ნ. შოშიაშვილმა ექვი შეიტანა სტეფანოზის გარდაცვალების გამოხატველ თარიღში და პალეოგრაფიულად 839 წლით გადაათარიღა. ასეთ შემთხვევაში კი სტეფანოზის ზეობა 811 წელზე მოვიდოდა.

იოანეს გრაფიტში აისახა მეორე ქრონოლოგიური მითითებაც. ამ წარწერაში დასახელებულია ბიზანტიის კეისარი ვარდანი, რომელიც სტეფანოზ მამფალს გვირგვინს აძლევს. ცნობილია, რომ ვარდანმა 711 წლის ოქტომბერს დაიპყრო ბიზანტიის სამეფო ტახტი. მან მხოლოდ რვა თვე იმეფა. 712 წლის 3 ივნისს, შაბათ დღეს ვარდანი მოკლეს²³.

ექვს გარეშეა, იოანე თავის გრაფიტში სტეფანოზ მამფლის საერისმთავრო საყდარზე 711 წელს ასვლაზე მოგვითხრობს, რაც მხოლოდ ოქტომბერ-დეკემბერის შუალედში მომხდარა ფაქტია. ამავე წელს გამოხატავს სტეფანოზის ფრესკული ეპიტაფიაც და, ცხადია, სტეფანოზის გარდაცვალების წელი (739) არავითარ შესწორებას არ მოითხოვს. არც ა. ბოგვერადის ის თვალსაზრისი აღმოჩნდა სწორი, თითქოს, აქ დასახელებული სტეფანოზ მამფალი მიპრისა და არჩილის მამა სტეფანოზ II ადარნასეს ძეა. იოანეს გრაფიტში სტეფანოზი ნერსეს ძედ და ვარაზის შვილიშვილად არის დასახელებული. ამ წარწერის ღირებულება იმითაც განისაზღვრება, რომ სტეფანოზის ფრესკული ეპიტაფიის ცნობებისა და ქრონოლოგიური აღნიშვნების ერთგვარ „სასიჩქ ქვად“ იქცა და ცხადყო მისი, როგორც უტყუარი პირველწყაროს მნიშვნელობა. სარწმუნო უნდა იყოს ეპიტაფიის ის მითითებაც, რომ სტეფანოზი არჩილ II-ის ზეობის 21-ე წელს გარდაიცვალა, რაც 719 წლით განსაზღვრავს იმ „ღმრთივე გვირგვინოსნის“ სამეფო ტახტზე ასვლის დროს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და სუმბატ დავითის ძის ქრონიკის მიხედვით სტეფანოზ მამფალი ბაგრატიონთა სახლის იმ შტოს წარმომადგენელია, რომლის მამამთავრად მიჩნეულია გუარამ I. სტეფანოზის ეპიტაფია საყურადღე-

²¹ გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის სამი გრაფიტი, გვ. 159—168.

²² გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა, გვ. 41—46.

²³ Ю. Кулаковский, История Византии, т. III, Киев, 1915, с. 285—313.

ბო აღმოჩნდა აგრეთვე, ატენის ქვეყნის ისტორიის გასათვალისწინებლად. — გორც ვნახეთ, ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფალი — სტეფანოზი ატენის სიონში დაკრძალეს. ამავე ტაძრის კედლებზე აისახა მისი საერისმთავრო საყდარზე კურთხევაც და გარდაცვალებაც. ეს ფაქტი მოწმობს, რომ ატენის ქვეყანა ბაგრატიონთა სახლის ამ ერთი შტოს სამემკვიდრეო დომენია, ხოლო ატენის სიონი მათი საძვალეა.

ზემოთაც აღინიშნა, რომ X საუკუნის მეორე ნახევარში ატენის სიონში მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები. ერთ-ერთი განახლებული ქტიტორული ქანდაკების ფეხების ქუსლებზე ამოკვეთეს ნერსეს და სტეფანოზის სახელები. გამოითქვა ვარაუდი, რომ ეს სახელები ტობოგრაფიული მინიშნება უნდა ყოფილიყო ახალი რელიეფისათვის განკუთვნილი იმ ადგილისა, სადაც, თავდაპირველად, ნერსეს და სტეფანოზის რელიეფური ქანდაკებები იყო მოთავსებული²⁴. განახლებულ რელიეფზე ჯერ ნერსეს, ხოლო შემდეგ სტეფანოზის სახელების ამოკვეთა იმ ვარაუდის საფუძველიც იყო, რომ ნერსე მამა უნდა ყოფილიყო სტეფანოზისა.

იოანეს 711 წლის გრაფიტმა ცხადყო, რომ სტეფანოზი ნერსეს ძეა, რაც მეტ დამაჯერებლობას სძენს იმ თვალსაზრისს, რომ სტეფანოზ მამალა ატენის სიონის ქტიტორთა უმცროსი თაობის წარმომადგენელია²⁵. ატენის სიონში გამოვლინდა კიდევ ერთი გრაფიტი, სადაც ნათქვამია, რომ ნერსეს სულის მოსახსენებელი პარაკლისი პარასკევ დღეს გაუჩენიათ²⁶. ბაგრატიონთა სახლის ამ ერთი შტოს წარმომადგენელთა — ვარაზის, ნერსეს და სტეფანოზის დასახელება ატენის სიონის წარწერებში იმ დასკვნის საფუძველია, რომ მათი ქტიტორობით უნდა აეშენებინათ ტაძარი, რომელიც ამ სახლის საძვალედამ გამოხდარა.

1956 წელს მოხატულობის ფენის ქვეშ კიდევ ერთი წარწერა გამოვლინდა. სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერის მოპირდაპირე მხარეს, საკურთხევლის აბსიდში, სარესტავრაციო სამუშაოების დროს გამოვლინდა „დეოფალ“ გუარამავრის ეპიტაფია. ფრესკული წარწერა გვაუწყებს, რომ გუარამავრი გარდაცვლილა 837 წლის 14 ნოემბერს, ოთხშაბათ დღეს, ღამე. ამ წარწერის პირველი გამომცემელი თ. ბარნაველი ფიქრობს, რომ „დეოფალი“ გუარამავრი, რომელიც სხვა ისტორიული წყაროებით არ არის ცნობილი, ადგილობრივი ფეოდალია²⁷.

ქრონოლოგიურად მომდევნო ხანის ფრესკული წარწერა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ბულა თურქის წარწერის სახელითაც არის ცნობილი, მრავალჯერ გამოქვეყნდა. მისი საფუძვლიანი გამოკვლევა ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს²⁸. წარწერა ბულა თურქის მიერ 853 წელს თბილისის დეფეზზე, თბილისის ამირას საპაქის სიკვდილით დასჯაზე და ბულა თურქის სარდლის ზირაქის მიერ კახას და მისი ძის თარხუჯის შეპყრობაზე გვაუწყებს.

ეს წარწერა, რომელიც პირველი იყო ფრესკული მოხატულობის ქვეშ მოხვედრილ, გამოვლენილ ეპიგრაფიკულ ნიმუშთა შორის, არაერთი მხრივ

24 Г. Абрамишвили, Два строительных периода Атенского Сиона, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1972, № 1, გვ. 53—54.

25 გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა, გვ. 64.

26 გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის სამი გრაფიტი გვ. 165—166.

27 თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, გვ. 15—17.

28 И. Джавахов, К вопросу о времени..., Х.В. I, вып. III, СПб., 1912, с. 277—297.



იქცევა მკვლევართა ყურადღებას. ზემოთაც ითქვა, რომ მისმა გამოვლენებმა ცხადყო სამეცნიერო წრეებში დიდხანს დამკვიდრებული აზრის უსაფუძვლოება, თითქოს, ატენის სიონი X ან XI საუკუნეში უნდა აეგოთ²⁹.

აღნიშნული ფრესკული წარწერის მეცნიერული ღირებულება, უპირველესად, მისი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობით განიზომება. 853 წელს თბილისის ბულა თურქისაგან დაწვა და მისთან დაკავშირებული სიტუაციები, აგრეთვე, კოსტანტი კახის შეპყრობა ისევე აისახა ქართულსა და სომხურ ისტორიო წყაროებში, როგორც ეს ატენის სიონის ფრესკულ წარწერაში ვადმოცემული. ეს ფაქტი ამტკიცებს აზრს ამ წყაროების უტყუარობაზე.

ბულა თურქის ფრესკული წარწერის შესწავლის დროს ყურადღება მიექცა იმ ფაქტს, რომ თბილისის დაწვის ისტორიული ცნობა, რატომღაც, ატენის სიონში აისახა. ისიც დამაფიქრებელია, რომ ერთ წარწერაში გაერთიანებულ ამ მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობის კახისა და მისი ძის თარხუჯის შეპყრობასთან პირდაპირი კავშირი არა ჩანდა. საფიქრებელი იყო, რომ წარწერის პირველი ნაწილი აქ იმ აზრით მოიტანეს, რომ მკითხველისათვის ეჩვენებინათ ძნელბედობის საერთო სიტუაცია, რომლის დროსაც შეიპყრეს კახი და თარხუჯი. ამდენად, ეს ფრესკული წარწერა მხოლოდ კახის საგვარეულო სახლს თავს დამტყდარი უბედურების მიზნით არის ატენის სიონის კედელზე შესრულებული და კახი ჩანს ამ რეგიონის უფალი.

„კოსტანტი-კახის ცხორებიდან“ კარგად ჩანს, რომ მის სამყოფელსა და სამფლობელოს შიდა ქართლის ქვეყნები მოიცავდა („სანახებსა ზენა სოფლისასა“). იგი ყოფილა „წარჩინებული ფრიად დიდად ყოველსა ქართლისასა“, რომელსაც, „ფრიად სიმდიდრე აქუნდა და მრავალი საშუებელი ამის სოფლისაა“³⁰.

კახისა და „დედოფალ“ გურამავრის ცხოვრების ქრონოლოგიური თვალსაზრისით განზილვა ასეთი ვარაუდის გზებს სახავს. „კოსტანტი-კახის ცხორების“ მიხედვით, სიკვდილით დასჯის დროს იგი 85 წლის ყოფილა. გამოდის, რომ კახი 768 წელს დაბადებულა. ცნობილია, რომ კახი სიკვდილით დასაჯეს 853 წლის 10 ნოემბერს. ისიც ვიცით, რომ იგი მფლობელი იყო შიდა ქართლისა და ატენის ქვეყანაც მის სამფლობელოში შედიოდა. „დეოფალ“ გურამავრის გარდაცვალების დროს კახი 69 წლისა ყოფილა. საყურადღებო ჩანს ის ფაქტი, რომ გურამავრ „დეოფალი“ ატენში დაკრძალეს და მისი ეპიტაფია ეკლესიის საკრალურ ნაწილში — საკურთხეველში მოათავეს. გარკვეული დროის მანძილზე, ყოველ შემთხვევაში X საუკუნემდე მაინც, საკურთხეველთან ახლოს მხოლოდ ბაგრატიონთა სახლის იმ ერთი შტოს წარმომადგენლები იკრძალებოდნენ, რომელთა სამემკვიდრეო დომენს ატენის ქვეყანა, ხოლო საძვალეს სიონი შეადგენდა. როგორცა ჩანს, გურამავრ „დეოფალი“ კლარჯ ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელია.

კოსტანტი-კახი, „ვითარცა წინამძღუარი და წარჩინებული ყოველთა ქუეყანასა ქართლისასა და პირთა ნათესავთა მისთა“³¹, „დეოფალ“ გურამავრის თანამედროვეა და მისი შეპყრობის ცნობა იმ ეკლესიის კედლებზე აისახა, სა-

29 დ. ბაქრაძე, ისტორიული შენიშვნა, გაზ. „ივერია“, № 8, 1886; მისივე, ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან X ს. დასასრულამდე), ტფ., 1889, გვ. 218—219.
30 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, თბ., 1963, გვ. 165.
31 ძეგლები, 1, გვ. 167.

დაც დაიკრძალა გუარამავარი. იქნებ უსაფუძვლო არც იყოს ის ვარაუდობრივი გუარამავარი კახის თანამეცხედრე დედოფალია³².

მესამე ფრესკული ეპიტაფია კვლავ საკურთხეველში, მის ბემაში მოათავსეს. მისი ასეთი რეგლამენტაციით აქ დასახელებული პირი კლარჯ ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. ეპიტაფია გვაუწყებს, რომ მამული სუმბატ აშოტის ძე 885 წელს გარდაცვლილა³³. ე. თაყაიშვილის მოსაზრებით, ამ ეპიტაფიაში დასახელებული სუმბატ აშოტის ძე აშოტ კეკელიას უმცროსი ძეა, რომელიც სუმბატ დავითის ძის ქრონიკაშია დასახელებული³⁴.

წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა დასავლეთ მკლავში ახლად გამოვლენილი თუ ახლებურად წაკითხული ფრესკული წარწერების ცნობები, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა ქტიტორთა იდენტიფიკაციის საკითხების გარკვევის დროს³⁵. ისიც ითქვა, რომ XIV საუკუნის ფრესკულ წარწერაში ლიპარიტ თორელის ძე გრიგოლია დასახელებული, რომელიც იდენტიფიცირებულია საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილ ლიპარიტ დევის ყურცას ძესთან³⁶, რაც შეეხება მხედრული შესრულებულ ფრესკულ წარწერებს, რომლებიც ძალზე საყურადღებონი აღმოჩნდნენ როგორც წყაროთმცოდნეობითი, ისე ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, მათზე ქვემოთ ვიმსჯელებთ³⁶.

32 გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის..., გვ. 60—62.

33 საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VII, № 1—2, 1946, გვ. 83—89.

34 გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის მოხატულობის ქტიტორთა იდენტიფიკაცია.

35 „მეგლის მეგობარი“, 19, 1969, გვ. 30—37.

36 გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, მხედრული დამწერლობის სათავეებთან „ცისკარი“, № 5, 6, თბ., 1978.

ატენის სიონის ფრანკული წარწერების მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის

მხედრული დაწერილობის სათავეებთან

ქართული კულტურის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარაა ეროვნული დამწერლობა. ქართულმა დამწერლობამ შეინახა და გამოხატა ქართველი ხალხის სულიერი სამყარო, ხელი შეუწყო მის განვითარებასა და გამდიდრებას, დაიცვა თაობებს შორის კავშირი, ერთიან ორგანიზმად შეკრა ქვეყანა, რომელშიც „ლოცვაა ყოველი ქართულითა ენითა“ აღესრულებოდა. ქართული დამწერლობა თვითონ არის ეროვნული კულტურის ერთ-ერთი გამოვლენა, თვითონ არის ხატი ერის შემოქმედებითი უნარისა. ამიტომ, ალბათ, ქართული დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების პრობლემა ქართველოლოგიის ერთი უპირველესი საზრუნავთაგანია. ამიტომ, ალბათ, რომ ამ პრობლემატიკით დაინტერესება ჩვენს საზოგადოებასა და მეცნიერებაში განსაკუთრებული ძალით იფეთქებს ხოლმე პერიოდულად.

ქართული დამწერლობათმცოდნეობის უმთავრესი პრობლემებია: ეროვნული დამწერლობის გენეზისი, მისი სტრუქტურა, დამწერლობის სახეობათა ურთიერთმიმართება და მათი ქრონოლოგია.

ბოლო ორი პრობლემის შესახებ ქართველოლოგიაში გაბატონებული თვალსაზრისი კარგად აქვს ჩამოყალიბებული ა. შანიძეს ნაშრომში „ძველი ქართული ენა“:

„მრგლოვანი. ძველი ქართული მწერლობის ნიშნები, რომლებითაც დაწერილია ეტრატზე ან ამოკვეთილია ქვაზე უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები (ხელნაწერები, წარწერები) მე-5—მე-9 საუკუნეებში, დამოუკიდებელი ქართული ეროვნული ანბანის ასოებია... საერთო შესახედაობის გამო უძველესი ქართული ძეგლების დაწერილობას მრგლოვანი ანუ მრგლოვანი დაერქვა“.

„კუთხოვანი. მრგლოვანისაგან მე-9 საუკუნეში განვითარდა კუთხოვანი წერა, რომელშიც ოთხი სხვადასხვა სიმაღლის ასოთა ჯგუფები შემუშავდა. ამ ასოებს შესახედაობა კურსივისა აქვთ და კუთხეების გამო კუთხოვანს ვეძახით. ძველად კი უფრო ნუსხურს ეძახდნენ. მრგლოვანი და კუთხოვანი (ნუსხური)—ორივე ძველი ქართული ძეგლების ასოებია: მრგლოვანი პირვანდელია, კუთხოვანი — მერმინდელი. კუთხოვნით დაწერილ ძეგლებში მრგლოვანიც იხმარება, მაგრამ სათაურებში და ინიციალებად. ხელნაწერთა უმეტესობა, რომლებიც მე-10 — მე-11 საუკუნეს განეკუთვნება, კუთხოვანი ასოებით არის დაწერილი. პირველად ასეთი ასოები გვხვდება ანდერძში, რომელიც ახლავს 864 წ. გადაწერილ სინურ მრავალთავს. ეს წიგნი თავიდან ბოლომდე მრგლოვანად არის დაწერილი, მაგრამ მისი ანდერძის ნაწილი, რომელიც ხელნაწერის ბოლოს არის მოთავსებული, კუთხოვანი ასოებით არის შესრულებული“.



„მხედრული. კუთხოვანი წერისაგან მე-11 საუკუნეში წარმოიშვა ახალი სახის ასოები, რომელთაც გადმოჰყვა ოთხ ჯგუფად დაყოფის საფუძველი, თანაც კუთხოვანი ასოების კუთხიანი ნაწილები დამრგვალდა და ასოები საერთოდ გასწორდა. ძველი წერა (მრგლოვანი და კუთხოვანი) ეკლესიას დარჩა სახმარებლად, ხოლო საერო საქმეებისათვის იყენებდნენ ახალს, რომელსაც მხედრული დაერქვა. პირველ ხანებში მხედრულის ასოები ჯერ კიდევ რამდენადმე ჰგვანდნენ კუთხოვნისას, მაგრამ თანდათან შორდებოდნენ მათ, ასე რომ მე-13 საუკუნეში მხედრული წერა საბოლოოდ დასცილდა მას...

მხედრულის განვითარებისა და განმტკიცების შემდეგ ძველ წერას (მრგლოვანს, ნუსხურს) დაერქვა ხუცური, რადგანაც მას ხუცები იყენებდნენ ეკლესიის საჭიროებისათვის, ხოლო ცალკე მრგლოვანს ასომთავრულის სახელით აღნიშნავდნენ“.

„პარალელური ხმარება. მრგლოვანი წერა არ შეწყვეტილა მე-9 საუკუნეში, როცა მისგან წარმოიშვა კუთხოვანი (ნუსხური), და არც ეს უკანასკნელი გადაეარდნო მე-11 საუკუნეში, როცა მისგან განვითარდა ახალი სახე—მხედრული. სხვადასხვა სახის ქართული ასოები შემდეგაც იხმარებოდა, მაგრამ ისე, რომ საეკლესიო წიგნებს წერდნენ ძველი ასოებით (მრგლოვნით ან მისგან წარმომდგარი კუთხურით, რომელშიც მრგლოვანიც იყო გარეული), ხოლო მეფეთა ბრძანებანი, სასამართლოს დადგენილებანი და საერო ხასიათის სხვა დოკუმენტები თუ წიგნები (პოემები, მოთხრობები და სხვა) იწერებოდა მხედრულად“.

მრგლოვანიდან IX საუკუნეში განვითარდა ნუსხური, ნუსხურიდან XI საუკუნეში წარმოიშვა მხედრული — ამ სქემის ავტორია ქართული მეცნიერული პალეოგრაფიის ფუძემდებელი ივ. ჯავახიშვილი. ვნახოთ, რას წერდა თვითონ ივ. ჯავახიშვილი ამ რამდენიმე ათეული წლის წინ ამ სქემასთან დაკავშირებით:

„შეიძლება ითქვას, რომ უკვე IX საუკუნეში ნუსხა-ხუცური უკვე სრულებით ჩამონაკეთილი და დამთავრებული დამწერლობაა და მისი დასაწყისის ხანის ძეგლები ჯერ არ გვაქვს და IX საუკუნეზე უწინარეს ხანაში უნდა ვიგულისხმოთ.

რაკი IX საუკუნეში ნუსხა-ხუცური უკვე სრულებით დამთავრებული — ჩამონაკეთილი დამწერლობაა, ამიტომ მისი დასაწყისის ხანა და თანდათან ჩამონაკეთის პროცესი IX საუკუნეზე გაცილებით ადრე უნდა ვიგულისხმოთ. ის ღრმა ცვლილებები, რომელიც ასომთავრული ასოების მოხაზულობას გაუვლიათ, სანამ ისინი საბოლოოდ ნუსხა-ხუცური ასოების სახეს მიიღებდნენ, გვაფიქრებინებს, რომ ნუსხა-ხუცურის წარმოშობა-ჩამონაკეთის პროცესი ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო... მეორე მხრით, რაკი ნუსხა-ხუცურ დამწერლობაში ბ, ვ და ყ თავგახსნილი მოხაზულობისანი არიან, ამიტომ ამ დამწერლობის საბოლოო ჩამონაკეთვა არ შეიძლება VII—VIII საუკუნეებზე უწინარეს დროს მივაკუთვნოთ“.

„მრგლოვანი ნუსხა-ხუცური (ასე უწოდებს ადრეულ მხედრულს ივ. ჯავახიშვილი) პირველად მართალია XI საუკუნის ხელნაწერებში გვხვდება, მაგრამ ეს დამწერლობის უკვე ჩამონაკეთილი გამოხატულებაა, მისი წარმოშობის ხანა კი, რასაკვირველია, ამაზე უწინარეს არის საგულისხმებელი. ამ შემთხვევაშიაც წარმოშობის პროცესი, უმჭვილია, კერძო პირთა კუთხოვან

1 ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 9—11.

ნუსხა-ხუცურის გაკრულ ხელში ან ავხელად დაწერილ ხუსხებში უნდა იქნებოდნენ, და სწორედ ასეთი ხასიათის ძეგლები მოგვეცემენ მომავალში კუთხოვანი ნუსხა-ხუცურის მრგლოვანად გარდაქმნის ყველა საფეხურს².

რატომ შეიცვალა ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი ნუსხური დამწერლობის IX საუკუნეზე უფრო ადრე ჩასახვიდან IX საუკუნეში ჩასახვით, ხოლო მხედრულსა XI საუკუნეზე ადრე წარმოშობიდან XI საუკუნეში წარმოშობით? იმიტომ, რომ ქართველოლოგიის განვითარების რამდენიმე ათეულმა წელიწადმა ვერ გამოაჩინა მისი ვარაუდის გასამართლებლად რაიმე საბუთი.

ქართული მხედრული დამწერლობის წარმოშობის თარიღის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება კიდევ ერთ ურთულეს პრობლემას — ქართული საერო მწერლობის წარმოშობის ხანის განსაზღვრას. თანამედროვე ქართველოლოგია საერო მწერლობის წარმოშობასაც XI საუკუნის გასულით ათარიღებს³. მაშასადამე, საერო მწერლობა და მისი ფიქსაციის საშუალება — მხედრული (საერო) დამწერლობა ერთი ასაკისანი არიან? ბუნებრივია, რომ ასე იყო. ისიც ბუნებრივია, რომ ერთის დათარიღებამ მეორის დათარიღებაზე იმოქმედოს.

„მეფეთა ბრძანებანი, სასამართლოს დადგენილებანი და სხვა დოკუმენტები თუ წიგნები... იწერებოდა მხედრულად“. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული დოკუმენტი (დედანი) არის ბაგრატ IV-ის 1057 წლის სიგელი, შესრულებული მხედრულით. მაგრამ ეს ხომ არ არის საერთოდ ჩვენამდე მოღწეული უპირველესი დოკუმენტი!

ე. წ. ფანგელთა დაწერილი, რომელსაც დღეს ვიცნობთ XV (თუ XIII) საუკუნეში გადაწერილი პირით, სამი ერთმანეთთან მექანიკურად შეერთებული ფენისგან შედგება. უძველეს ნაწილს სპეციალისტები IX საუკუნის მიწურულით ათარიღებენ, მის მომდევნოს კი, მასში მოხსენიებული პირების მიხედვით (კონსტანტინე III აფხაზთა მეფე, კახეთის ქორეპისკოპოსი ფადლა I და კვირიკე I), 893—918 წლებით. რომელი დამწერლობით იყო თავის დროზე შედგენილი ეს დოკუმენტები? მათი პირი მხედრულით არის შესრულებული და ერთი მათგანი მაინც ხუცურად რომ ყოფილიყო დაწერილი, ისინი ერთმანეთში აღარ აირეოდნენ და ერთ დოკუმენტად ვერ იქცეოდნენ.

საერო ხასიათის დოკუმენტების შედგენა XI საუკუნეში რომ არ დაუწყიათ, ამას უეჭველად მოწმობს გიორგი III-ის მიერ შიომღვიმისათვის მიცემული მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიგელი:

„მოვიდეს ჩუენ წინაშე წმიდანი მამანი უდაბნოსისა დიდისა მლუიმისანი, მამაი იოანე მემლუიმე და მოიხუნეს სიგელნი დიდისა მეფეთა მეფისა, პაპისა ჩუენისა დავითისი და მამისა ჩუენისა დემეტრე მეფისანი და სხუანი ძუელნი მრავალნი პაპათა და მამათა ჩუენთანი, და გუეაჯნეს და მოგუაჯსენეს, რათამცა, ვითა მათ სიგლითა მათითა გაუჩენია და გაუგია პირველად თუთი წმიდისა მის უდაბნოსისა მლუიმისათუის, და მერმე ყოველნი სოფელნი მათნი გაუთავისუფლებიან ყოვლისა მაწყენარისა მათისა და დამპყირებლისა და ჩუენ კელსუფალთა შესავლობისაგან, ეგრეთვე ჩუენ გაუახლენით ძუელნი სიგელნი სიგლითა ჩუენითა და დავამტყიცეთ ბრძანებაი და სიგელი პაპათა და მამათა ჩუენთაი“⁴.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 184—190.

³ ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 18, გვ. 5—25.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, III, გამოსცა ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 3—5, 589—



ქვემოთ მეფის მწიგნობარი დანგა ბრუტაისძე ჩამოთვლის კიდევ უმეტეს კუმენტებს, რომელთა საფუძველზეც წერს სიგელს:

„სოფელი სხალტბაი და მათი კერძი გოროვანი — წმიდისა ევაგრეს გან მოსყიდული; აგარაი — ჯოჯიკისგან მთავრისა მოსყიდული; რუეთი — ნასყიდი და შემოწირული; შიოს-უბანი ყოველი — მოსყიდული თუით მონაზონთა მეუღაბნოეთაგან; ჩიქუნურნი — რუსისა ნასკიდნი, მისგან აწენებულნი და შემოწირულნი; ხორვაი — მამისა ჩემისა ნაბოძარი სამღუიოდ, გოგრაჰისაგან შემოწირული; ივან-წმიდაი — ძულადვე გოდერძისა შემოწირული; დაოთი — კვირიკე კახთა მეფისაგან შემოწირული, ალაქინი — ხახუილაგისაგან შემოწირული, თრიალეთს ბჰითი — ადრენესესგან ნასყიდი და შემოწირული; მანგლის კეცს ბორცუის-ჯუარი ძულადვე მღუიმისაი, ლიპარიტეთგან წაღებული, აწ ახლად პაპისა ჩემისა დიდისა მეფისა დავითისგან შემოწირული; მოუგონელთა, ფერჯადის და ფიცეს — წურილმანად გლახები; ცხირეთს ცხვერი და გავაზელნი — წმიდისა შიოსის ოქროითა და ვეცხლითა მონასყიდი ფავენელთა და ტბელთაგან; კობალი, რაიკ რატი სურამელისგან შემოწირული“⁵...

ზემოჩამოთვლილ მამულთაგან უმრავლესობა XI საუკუნემდეა ნასყიდი ან შეწირული და მაშინვე შედგენილი ყოფილა სათანადო დოკუმენტები. ამთგან უძველესი, ევაგრე მღვიმელის ნასყიდობის წიგნი, VI საუკუნის მიწურულით უნდა დათარიღდეს. ქართულმა ჰაგიოგრაფიამ ამ ფაქტის საკონტროლო ცნობებიც შემოგვინახა.

შიოს და ევაგრეს ცხოვრებაში ვკითხულობთ, რომ ბერების სასწაულებითა და „უპოვარი ცხოვრებით“ მოხიბლულმა ფარსმან მეფემ „მიანიჭა უკუე მონასტერსა მას ოთხნი რჩეულნი სამეუფოთა დაბათაგან და დაწერა კელითა თხსითა თავისუფლებად მათი...“⁶.

„ცხოვრებად შიოსი და ევაგრესი“ უფრო ადრე თუ არა, X საუკუნეში მაინც არის დაწერილი და მის ავტორს სიუჟეტი ერთიანდაც რომ შეეთხზა, მეფეთა მიერ ეკლესია-მონასტრებისათვის სამეფო მიწების შეუვალად მინიჭების წესსა და ამისათვის სათანადო სიგლის გაფორმების აუცილებლობას ვერ გამოიგონებდა: X საუკუნეში და მასზე ადრე უკუე არსებობდა „საერო ხასიათის დოკუმენტების“ შედგენის პრაქტიკა. ჩვენ ზემოთ ისიც ვნახეთ, რომ შიოს და ევაგრეს სახელთან დაკავშირებული მსგავსი დოკუმენტები X საუკუნის საქართველოში ჯერ კიდევ იყო შენახული.

შიოს მერვე სასწაული მოგვითხრობს, რომ სტეფანოზ ერისმთავარსა (VI საუკუნის ბოლო) და შიომღვიმის მონასტრის მამასახლისს შორის კონფლიქტი მოხდა. ვანრისებულმა ერისმთავარმა „მისტაცნა ორნი აგარაკნი და თქუა: არამივსცე შეურაცხის-მყოფელთა მამული ჩემი და წარვიდა და უთქმიდა მრავალსა შინებით“. შედეგი სავალალო აღმოჩნდა ერისმთავრისათვის. ორჯერ გამოეცხადა ძილში შიო მღვიმელი სტეფანოზს და მონასტრისათვის წართმეული ორი აგარაკის დაბრუნება მოსთხოვა. მესამედაც მოუხდა წმიდანს ძილში ჩვე-

5 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 20—21.

6 ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1955, გვ. 111.

7 იქვე, გვ. 203—205.

ნებოდა გაჯუტებულ ერისმთავარს და ახლა უკვე დამატებითი ორი სხვა აგარაკიც მოეთხოვა. შემერთალმა სტეფანოზმა სცადა ორი წართმეული აგარაკის დაბრუნებით გასულიყო იოლას, მაგრამ შიომ აღარ დაუთმო, გამოეცხვრა ძილში და უბრძანა: „საწყალობელო და ბრმაო ვუღიოთა სტეფანოზ! აჰა მსგავსად გულისა შენისა იქმნე ბრმა თუალითაცა შენ და ცოლი შენი და შვილნი შენნი და ცოფ, ვიდრემდის განგსწავლოს შენ უფალმან საქმედ უმჯობესისა“. როდესაც მუქარა აღესრულა, ერისმთავარსა და მის ოჯახს არაფერმა უშველა, სანამ მონასტრის მამასახლისმა არ შეასვა მათ შიოს საფლავის მტვერი.

მაშინ „მოუწოდა უკუე სტეფანოზ მწიგნობარსა თუსსა და უბრძანა მას, რათა დაწერნეს ორნი დაბანი დაბათავან სამეფოთა ურჩეულესნი... და დაამტკიცა უკუე კელით-წერილი იგი კელითა თუსითა და წარსცა ყოველსა შინა ქართლისასა, რათა ყოველნი ეკლესიანი განათავისუფლნენ მძლავრებისაგან და ხარკის მივდისა“⁷.

მოტანილი მაგალითები ცხადპყოფს იმას, რაც ისედაც ნათელი უნდა ყოფილიყო: XI საუკუნემდე საქართველოში იყვნენ მეფეები, ჰქონდათ თავისი კანცელარია, ჰყავდათ მდივან-მწიგნობრები, წერდნენ სიგლებს, ხელს ურთავდნენ მათ და ა. შ. თუ ყველაფერი ეს ისედაც აშკარაა, ბუნებრივი ჩანს ვარაუდი, რომ საკანცელარიო დოკუმენტები მხედრული დამწერლობით იწერებოდა XI საუკუნეზე გაცილებით ადრე. ატენის სიონის ფრესკულმა წარწერებმა მთლიანად დადასტურეს ზემოთ გამოთქმული თეორიული ვარაუდი.

* * *

ატენის სიონის ფრესკულ წარწერებს შორის გამოილინდა ზოგილი ჯგუფი ადრინდელი მხედრულით შესრულებული წარწერებისა, რომლებიც საღებავით არის დაწერილი ბათქაშზე. წარწერები დაფარული ყოფილა და ნაწილობრივ ახლაც არის დაფარული ფრესკებით, ასე რომ მათი შესრულების საერთო ქრონოლოგია ირკვევა ბათქაშისა და მხატვრობის შესრულების ხანით. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ასეთი ქრონოლოგიური საზღვარია VIII საუკუნის დამდეგი და XI საუკუნის დასასრული. ერთგვარი ორიენტირი შეიძლება მოგვეცეს ატენის სიონის ფრესკების ქვეშ მოქცეული თარიღიანი წარწერების რიგმატ: 711 წ., 739 წ., 837 წ., 841 წ., 853 წ., 875 წ., 885 წ., 890 წ., 906 წ. 982—986 წწ. არცერთი დღემდე ცნობილი წარწერა XI საუკუნეში არ გადმოდის. ამიტომ დიდია ალბათობა იმისა, რომ ატენის სიონის მხედრული წარწერების ჯგუფი VIII—X საუკუნეებში უნდა მოთავსდეს. განვიხილოთ ყველა წარწერა ცალ-ცალკე.

დასავლეთის აფსიდის ჩრდილო კალთა, ბემის კუთხე, №47, წარწერა ატენის სიონის ინტერიერის მოპირკეთების შესახებ.

1. ... მოუსხით.
2. აღიდგ ლ(მერ)თ(მან) ძ[ლ]იერ[ი]
3. აფხაზთა მეფე
4. ბაგრატ. მე მონა-
5. სა მათსა დამ[ი]წ(ე)რია
6. [ხელითა ჩემითა] [სახე]ლი მათი, უ(ფალ)ო
7. ლ(მერ)ო, ამ(მ)ნ.

წარწერაში მოხსენიებულ „ბაგრატ აფხაზთა მეფის გაიგივება შეიძლება მხოლოდ ბაგრატ III-სა და ბაგრატ IV-სთან. უფრო ადრინდელ ბაგრატებს

ან შიდა ქართლთან და ატენთან არ ჰქონიათ არავითარი კავშირი, ან აფხაზეთთან. ამნიარად წარწერის შესრულების თარიღი ზოგადად შეიძლება 978—1072 წლებით განისაზღვროს, თუ შუაში გამოვტოვებთ ვიორგი I-ის წლებს (1014—1027).

თარიღის საზღვრების უფრო მეტად დასაფიქროვებლად ერთმანეთს ვუდარებთ ბაგრატ III-სა და ბაგრატ IV-ის ტიტულატურას წარწერებსა და დოკუმენტებში მოხსენიების რიგის ჰიხედვით.

ბაგრატ III: 995 წ. „აფხაზთა მეფე“ (ბრეთის სახარების მინაწერი), [994—1001 წწ.] „აფხაზთა მეფე“ (ბრეთის ჯვრის წარწერა), 996 წ. „მეფე აფხაზთა“ (მარტიველის წარწერა), 999 წ. „აფხაზთა მეფე“ (ბედისის ოქროს ბარძიმი), 1002 წ. „აფხაზთა და ქართველთა მეფე და კურაპალატი“ (ხცისის წარწერა), 1002 წ. „აფხაზთა მეფე და ქართველთა კურაპალატი“ (ათონის № 53 ხელნაწერის მინაწერი), [1001—1008 წწ.] „კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე“ (ბაგრატის ტაძრის წარწერა), [1001—1014 წწ.] „აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატი“ (ნიკორწმინდის წარწერა), [1010—1014] „აფხაზთა და ქართველთა მეფე, ტაოხსა და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავალისა დიდი კურაპალატი“ (ცაცხის წარწერა).

ბაგრატ IV: 1032 წ. „მეფე“ (ამბარლოს წარწერა), 1057 წ. „აფხაზთა მეფე და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიძოსი“ (შიომღვიმისათვის მიცემული შეწირულების სიგლის დამტკიცება). [1059—1065 წწ.] „მეფეთა მეფე, სევასტოსი“ (ატენის სიონის წარწერა), [1059—1065 წწ.] „მეფეთა მეფე, სევასტოსი“ (ატენის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერა), [1059—1065 წწ.] „მეფეთა მეფე, სევასტოსი (ბარმაქისიზის ხიდში გამოყენებული ქვის წარწერა), [1060 წ.] „აფხაზთა და ქართველთა მეფე, სევასტოსი“ (კულალისის წარწერა). [1027—1072 წწ.] „მეფეთა მეფე“ (კუმურდოს წარწერა), [1032—1072 წწ.] „კურაპალატი“ (ფოკას წარწერა).

მოტანილი დოკუმენტებიდან ადვილად ჩანს, რომ მხოლოდ „აფხაზთა მეფის“ ტიტულით მოიხსენიება მარტოოდენ ბაგრატ III და ეს ბუნებრივიცაა. 1001 წლამდე იგი აფხაზეთის მეფე იყო და არც კურაპალატის პატივი მიეღო ჯერ და არც ქართველთა მეფის ტახტი დაეკავებინა. ბაგრატ IV კი მემკვიდრეობით იყო ქართვეთა მეფე და მემკვიდრეობითვე ფლობდა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს სამეფო გვირგვინს. ეს ვარაუდობა სერიოზული არგუმენტია ატენის სიონის მხედრული წარწერის ბაგრატ აფხაზთა მეფის ბაგრატ III-სთან გასაიგივებლად, მაგრამ არა გადამწყვეტი. წარწერა არ არის ოფიციალური და მისი დამწერი არ იყო ვალდებული მეფე მთელი თავისი ტიტულატურით მოეხსენებინა. ასე მაგალითად, გომარეთის წარწერაში ვიორგი I-იც მხოლოდ აფხაზთა მეფის ტიტულით არის მოხსენიებული. განსაკუთრებულს ვერაფერს ვეუბნება ეპითეტი „ძლიერიც“, რადგან იგი ორივე მეფის წარწერებში გვხვდება (ბაგრატ III — ბაგრატის ტაძრისა და ხცისის წარწერები; ბაგრატ IV — ატენის სიონის წარწერა, შიომღვიმისთვის მიცემული შეწირულების სიგლის მინაწერი).

ამრიგად, გაჩნდა შესაძლებლობა წარწერის ქრონოლოგიური საზღვრების კიდევ უფრო დაფიქროვებისა — 978—1001 წწ., ბაგრატ III-ის აფხაზეთში მეფობის პერიოდი. მაგრამ რა საქმე ექნებოდა აფხაზთა მეფეს ატენის სიონთან? მივმართოთ ახლა წარწერის შინაარსს.

წარწერა რომ პილიგრიმული არ არის, ეს აშკარაა. ამის ნიშანია სიტყვა „მოუხსნით“, რომლითაც იწყება წარწერის გადარჩენილი ნაწილი. ტერმინ „მო-

სხმის“ შინაარსის საჩვენებლად ძველი ქართული ტექსტების მრავალი მოწოდებიდან მხოლოდ რამდენიმეს, ყველაზე დამახასიათებელს მოვიტანთ.

„მარმარილოები, რომელ იყო შესავლისა წმიდისა ემბაზისა... ლითა კადნიერთა წარიღო და მით მოასხა აბანოა თვისი“ — ვკითხულობთ იოანე ოქროპირის ცხოვრებაში (S—284,61 a).

„სარკინოზნი უღმრთონი შემოვიდეს წმიდად ქალაქად, ქრისტეს ღმრთისა ჩუენისად, იერუსალემდ... და მუნთქუესვე სრბით მოიწინეს ადგილსა მას, რომელსა ჰქვან კაპიტოლიონ, და შეიპყრნეს კაცნი რომელნიმე იძულებითა და რომელნიმე ნეფსით განწმენდად ადგილისა მის და აშენებად წყეული იგი, რომელ-იგი წოდებულ არს მათ მიერ მიძგიოთა. და იყო მათ შორის იოვანე მთავარ-დაკონი წმიდისა მოწამისა თევდორესი, რამეთუ იყო იგი ხუროებით მარმარილოჲსა მომსხმელ, და შესცთა მათგან შესაძინელისათვის ბოროტისა და წარვიდა ნებსით თვისით საქმედ მუნ. და იყო მარჯუე ფრიად ჯელითა“⁸.

„პრქუა ხუროთა მათ, მომსხმელთა მარმარილოსათა“ — ბარბარას წამება (H—341, 149)⁹.

მოტანილი ციტატები ექვს არა ტოვებენ, რომ „მოსხმა“ ძველ ქართულ ტექსტებში ნიშნავს ქვის ან მარმარილოს ფილებით კედლების მოპირკეთებას. მაშასადამე, ატენის სიონის წარწერაშიც- ლაპარაკია ტაძრის კედლების მოპირკეთებაზე, რომელიც ბაგრატ აფხაზთა მეფის ბრძანებით თუ მის დროს მომხდარა. საქმე გვაქვს ტაძრის ინტერიერის რესტავრაციასთან X საუკუნის 80-იან წლებში, რასაც დოკუმენტურად ადასტურებს ატენის სიონის დასავლეთი აფსიდის ცენტრალურ წახნაგზე ამოკვეთილი სომხური წარწერა, რომელიც ადვილად თარიღდება 982—986 წლებით¹⁰.

ამრიგად, ატენის სიონის მხედრული წარწერა, რომელიც გვაუწყებს ტაძრის კედლების მოპირკეთების შესახებ და დიდებით იხსენიებს ბაგრატ აფხაზთა მეფეს, თარიღდება 982—986 წლების ახლო ხანებით. ეს თარიღი უნდა გახდეს ამოსავალი სხვა ამ ტიპის და აქვე მოთავსებული წარწერების ქრონოლოგიის დასადგენად.

დასავლეთის აფსიდის ბემის კუთხეში, „ძე დიდისას“ ფრესკული გამოსახულების მარჯვნივ, იატაკიდან 285 სმ სიმაღლეზე (№ 46) მოჩანს წარწერა, რომლისაგანაც მხოლოდ სამი სტრიქონია გადარჩენილი:

- 1. ეფრემის ძმ[ა]...
- 2. მე, მიქაელ დი-
- 3. აკონი, წვე...

წარწერაში შენახული ინფორმაცია იმდენად მცირეა, რომ მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაცია, ან შინაარსით მისი დათარიღება, შეუძლებელია. ეს კია, რომ გრაფიკულად იგი იმდენად მსგავსია ტაძრის ინტერიერის მოპირკეთების მიუწყებელი წარწერისა (№ 47), რომ თვედაპირველად საერთოდ ერთი წარწერა გვეგონა. ამ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებდა, რომ წარწერები ზუსტად ერთმანეთის ქვეშაა მოთავსებული დაახლოებით ნახევარი მეტრის დაშორებით, და მათ შორის მთელ ტერიტორიაზე ბათქაში ისეა ჩამოცვენილი,

⁸ იოანე მოსხი, ლიმონარი, გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1960, გვ. 100.

⁹ ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 270.

¹⁰ ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978, გვ. 50—61.

5. ტყო —————
6. ონ რ ————— ს ატენის ერ...
7. სენ ————— ყო — ე — სერ...
8. მიერ — — — — — კო — სთა დავ...

წარწერა ფრაგმენტულია და ძნელია გაარკვიო მიქაელს ეკუთვნის თუ ეფრემს. ალბათობა მეტია იმისა, რომ იგი ეფრემისათვის ან ეფრემის მიერ იყოს დაწერილი, ამიტომ უფრო მოსახერხებელი იქნება, თუ მას „ეფრემის წარწერას“ ვუწოდებთ. ამისათვის გვაქვს შემდეგი საფუძველი: 1. წარწერაში ანთროპონიმი მიქაელი ჩვენი აღდგენილია და თუმცა აღდგენის სისწორეში ეკვის შეტანა ძნელია, იგი მაინც არ არის აუცილებელი. 2. მიქაელ დიაკვნის წარწერა გულისხმობს იქვე სადმე არსებულ წარწერას, რომელშიც „მთავარი როლის“ შემსრულებელი იქნება მისი ძმა ეფრემი. ჩანს ეფრემი თავისი სოციალური მდგომარეობით და, ალბათ, ასაკითაც აღემატებოდა მიქაელს, რომლისთვისაც ეფრემის ძმობა ერთგვარი ვიზაა წამკითხველის წინაშე.

ყველაფერი ზემოთ ნათქვამი გვიჩვენებს, რომ ეფრემის წარწერა უნდა მიქაელის წარწერის სინქრონულად ჩავთვალოთ, თუმცა იგი რეალურად მასზე ადრეა (დროის თუნდაც სულ მცირე მონაკვეთით) დაწერილი. ასეა თუ ისე, ეფრემის წარწერაც 982—986 წლების ახლო ხანებით უნდა დათარიღდეს.

სრულიად აშკარაა, რომ ეფრემიცა და მიქაელიც სასულიერო პირები არიან (მიქაელი თავის თავს „დიაკონს“ უწოდებს). ამ ფაქტის ცოდნა ჩვენგან მოითხოვს დავუშვათ, რომ X საუკუნის უკანასკნელ ოცეულში ქართული საზოგადოების ყველა ფენის არაოფიციალური ხელწერა მხედრული იყო. ალბათ სამღვდელოები ერთმანეთს მოკითხვის ბარათსაც მხედრულად წერდნენ.

ატენის სიონის მონიჭებების მათწებებელ წარწერასა და ეფრემის წარწერას შორის მოჩანს კიდევ ერთი მხედრული წარწერის ფრაგმენტი (№ 48), რომლისგანაც ორი სტრიქონია გადარჩენილი. წარწერა შესრულებულია იმავე შავი საღებავით, რომლითაც დაწერილია ზემოთ განხილული სამი წარწერა, და გრაფიკულად ძლიერ წააგავს ეფრემის წარწერას. მათ სინქრონულობაში ეკვის შეტანა შეუძლებელია. ამდენად, აღნიშნული წარწერაც X საუკუნის ოთხმოციანი წლებით უნდა დათარიღდეს. წარწერა ფრაგმენტულია და მისი დამაკმაყოფილებლად ამოკითხვა არა ხერხდება.

საკუთრებელის სამხრეთ კალთაზე მონატულობის დამამთავრებელი დეკორატიული ჩარჩოს გადასული საღებავის ქვეშ მოჩანს შავი საღებავით დაწერილი გრაფიტი (№ 35). აცვენის ბათქაშს დაუზიანებია პირველი სტრიქონი შთლიანად და, ავრეთვე, დანარჩენი სტრიქონების დაბოლოებები. წარწერა ასე იკითხება:

1. [ქ. ქრონიკონ]
2. სა ყე [ესე მე]
3. დავწე[რე, ვინ წაიკითხოს],
4. [ლოც]ვასა მო[მივსენეთ].

ტექსტი მთლიანად ნუსხურით არის დაწერილი, მაგრამ ზოგი ასო თავისი მონარკვალეული კუთხეებით მხედრულს უახლოვდება. წარწერაში მკაფიოდ გამოირჩევა უ-ანი, რომელიც აშკარად მხედრულით არის შესრულებული.

ვანსაკუთრებით საყურადღებოა, რომ წარწერას აქვს თარიღი-თარიღის გარდა დაქარაგმებული სიტყვა ან სიტყვებიც რომ ვივარაუდოთ, „საყე“ ან „სა

უე“ საზრიან კომბინაციას ვერ გვაძლევს. გვრჩება ვიფიქროთ, რომ „უე“ არის რიცხვი და უდრის 95-ს. ქართული ქრონიკონით გრაფიტის თარიღი იქნება $780 + 95 = 875$ წელი. რადგანაც იქვე ახლოს არის სხვა, ქრონიკონით დათარიღებული გრაფიტები. დიდია ალბათობა იმისა, რომ ეს გრაფიტიც ქართული ქრონიკონით უნდა დათარიღდეს. მაშასადამე, მხედრული დამწერლობის არსებობის ხანამ კიდევ ერთი საუკუნით წინ უნდა გადაიწიოს.

ძნელი დასადგენია, შემთხვევით გამოყენებასთან გვაქვს საქმე, თუ კანონზომიერია მხედრული უ-ანის ხმარება ნუსხურად დაწერილ ტექსტში. ასეთ შემთხვევებში, რიცხვების დანარჩენი ტექსტისაგან გამოსაყოფად, ნუსხურ ხელნაწერებში ჩვეულებრივ ასომთავრული გამოიყენებოდა ხოლმე. მაგრამ ვინ იცის, ეგების ადრე სხვა წესიც არსებობდა და მხედრული იყო ციფრების გამოხატვისა და ანგარიშის საშუალება? იგი ხომ სწორედ საერო დანიშნულების დამწერლობა იყო. თუ ასეა, მაშინ თავიდანვე უნდა არსებულებოდა ისეთი მხედრული ანბანი, რომელშიც ყველა გრაფემას თავისი რიცხვითი მნიშვნელობა შენარჩუნებული ექნებოდა.

მართლაც საკუროთხევლის სამხრეთ კალთაზე, მოხატულობის დამამთავრებელი დეკორატიული ჩარჩოს გადასული საღებავის ქვეშ მოჩანს მხედრულნარევი ნუსხურით შესრულებული გრაფიტი, რომლის მკოთხე სტრიქონი მხედრული ანბანის რიგია ა-ნიდან მ-მდე (№ 32).

1. სახელითა ღ(მრ)თისათა
2. სახელითა
3. ღ(მრ)თისათა ესე მე
4. აბგდევზ

ტექსტის ნუსხურ ნაწილში ა-ნი ყველგან მხედრულის ფორმით არის მოცემული ცალკეც და გადაბმავით: „თა“, „სა“. ადრეული პერიოდის მხედრულს წააგავს, აგრეთვე, ე-ნი ხ-ანი. ა-ნისა და ზ-ენის მოხაზულობა (ზ-ენს ზედა ტანის მორკალვის ტენდენცია ემჩნევა, თუმცა ასეთივე მიდრეკილების მ-ანი გვხვდება ეფრემის წარწერაში) განვითარების უფრო მოგვიანო საფეხურს უჩვენებს, ვიდრე დასავლეთი აფსიდის ბემის 980-იანი წლების წარწერები. ამიტომ მხედრული ანბანის შემცველი გრაფიტი დაახლოებით X საუკუნის მიწურულით უნდა დათარიღდეს.

ნუსხურად დაწერილი ტექსტისათვის მხედრული ანბანის დართვა, ნუსხურად დაწერილ ტექსტში რიცხვის გამოყვანა მხედრულით, იმის მაუწყებელია, რომ მხედრული დამწერლობა IX საუკუნეში თუ არა, X-ში მაინც უკვე გაცნობიერებულია როგორც მრგლოვანისა და ნუსხურისაგან განსხვავებული დამწერლობა, რომელსაც სპეციალური დასწავლა სჭირდება. ამიტომ არ უნდა იყოს მართებული ივ. ჯავახიშვილის ცდა ადრინდელი ხანის მხედრული ჩათვალოს უბრალოდ მომრგვალებულ ნუსხურად და მხედრული დამწერლობის დასაწყისად XIII საუკუნის მეორე ნახევარი მიიჩნიოს¹¹.

ატენის სიონის მხედრულმა წარწერებმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კორექტივი უნდა შეიტანონ ქართულ დამწერლობათმცოდნეობაში. გადახედვა დასჭირდება ჩვენში საყოველთაოდ გაზიარებულ დებულებას, რომ „მხედ-

11 ქართული პალეოგრაფია, გვ. 190—193.

რულ წერას, ხუცურისგან განსხვავებით, თავიდანვე აკლდა სამი ასოც: **მ, მ, მ**¹².

როგორც მოტანილი მასალიდან გამოჩნდა, **მ** არა მარტო აღრიდნებდა მხედრული ანბანის რიგში, არამედ გამოიყენებოდა კიდევ წერისას (მდრ. ეფრემის წარწერის პირველი სტრიქონი). ბოლო ხანებში ცნობილი გახდა, რომ **მ** და **ჰ** მხედრულ ანბანში თავის ადგილზე იყვნენ შედარებით უფრო გვიანაც: ბრიტანეთის მუზეუმის XI საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ხელნაწერს (Add—11281) 119 v, 233 v და 234 r გვერდების აშვიებზე რამდენჯერმე აქვს მიწერილი XV საუკუნემდელი მხედრული ხელით ანბანი, რომელშიც გვხვდება სამივე ზემოთ აღნიშნული ასო¹³.

ატენის სიონის **მ** თავისი მოხაზულობით, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ უფრო ახლოს არის ნუსხურთან, მაგრამ მასში უკვე შეინიშნება ის ტენდენციები, რომელმაც ბრიტანული ხელნაწერის **მ**-მდე მიგვიყვანა.

ასეთი ევოლუცია კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც გრაფიკა ხმარებაშია, ტექსტებში ალბათ მხოლოდ ადრეულ ეტაპზე, ხოლო ანბანის რიგში და რიცხვების აღსანიშნავად — ყოველთვის.

როგორც კი ნუსხურმა ი-ნმა მომრგვალება დაიწყო, იგი მაშინვე დაემსგავსა **ჰ**-ს. ეს გრაფიკული მსგავსება დაემთხვა ამ ფონემების ფონეტიკურ ინდიფერენტულობას: მომრგვალებული ნუსხურით და მხედრულით ნაწერ ტექსტებში შეუძლებელი გახდა ი-ნის **ჰ**-სგან გარჩევა. ასეთი ინდიფერენტობის მოწმობაა ატენის სიონის ის გრაფიტიც, რომელშიც მხედრული ანბანია დადასტურებული. სიტყვა „ლმრთისაათა“ პირველ შემთხვევაში დაწერილია **ჰ**-თი, ხოლო მეორეში — ი-ნით. როგორც ჩანს, დამწერმა თვითონაც აღარ იცის, რა შემთხვევაში დაწეროს **ჰ**, ხოლო რა შემთხვევაში ი, ან რა განსხვავება ამ ორ ფონემას შორის. ვინაიდან მხედრული დამწერლობა გაცილებით უფრო კონსერვატიულია, ვიდრე ხუცური (მრგლოვანი და ნუსხური) და ჩვეულებრივ იგი გამოიყენებოდა ისეთი ტექსტებისათვის, რომელთაც კანონიკური მნიშვნელობა არა ჰქონდათ, თანდათან უარი სთქვეს **ჰ**-ს და **მ**-ს ხმარებაზე (**მ** გრაფიკულად ძლიერ დაემსგავსა ი-ნის), რომლებსაც უკვე დიკარგული ჰქონდათ ფონეტიკური ფუნქცია. მიუხედავად ამისა, როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, ისინი რჩებოდნენ ანბანში თავისი რიცხვითი მნიშვნელობებით.

7. ატენის სიონის ინტერიერის სხვადასხვა კედელზე, მოხატულობის ქვეშ კიდევ გვხვდება რამდენიმე მხედრული წარწერა. მათ შორის ყურადღებას იპყრობს ვინმე გიორგის ერთი და იმავე ხელით და შინაარსით რამდენიმე მინაწერი: „ქ(რისტე), შეიწყალე გ(იორგი)“ (იხ. მაგ. ჩრდილო აფსიდა, № 14). წარწერის ყველა გრაფიკა ახლოს დგას ჩვენთვის კარგად ცნობილი სამეფო დოკუმენტების ხელწერასთან, ხოლო **გ**-ანს უკვე სრულიად ჩამოყალიბებული მხედრული ფორმა აქვს.



რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს იმ მასალის საფუძველზე, რომელიც მოპოვებულია ატენის სიონში?

აღმოჩნდა ქართული დამწერლობის განვითარების სწორედ ის ეტაპი, რომელიც ნუსხურიდან მხედრულ-

12 ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, გვ. 11.
13 ც. ქუციანიძე, რეცენზია ვ. იმნაშვილის წიგნზე „მამათა ცხორებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა)“, მრავალთავი VII, თბ., 1980, გვ. 194.



ლოს, ნუსხურიდან მხედრულზე თანდათან გადასვლის ნათლად წარმოსადგენად მეთხველს დასჭირდება ჩვენს მიერ აქ წარმოდგენილი ტაბულა შეუღაროს ნებისმიერი თავისებურების მქონე ნუსხურს. ტაბულაში გასარკვევად საჭიროა ვავითვალსწინოთ შემდეგი:

IX საუკუნის გრაფაში გვაქვს მხოლოდ გრაფემა ე-ანი 875 წლის ბილიგროპული წარწერიდან (ადმოსავლეთი აფსიდა, № 35). არ შევიტანეთ ამავე წარწერიდან ე-ნი, რადგან იგი ნუსხურის მოხაზულობისგან აშკარად არ გაირჩევა. X საუკუნის გრაფა არაბული ციფრებით დანომრილ ოთხ ჯგუფად იყოფა. 1 შეესაბამება ატენის სიონის ინტერიერის კედლების მოპირკეთების მაუსყებელ წარწერას (დასავლეთი აფსიდა, № 47), 2 — მიქაელის წარწერას (დასავლეთ აფსიდა, № 46), 3 — ეფრემის წარწერას (დასავლეთი აფსიდა, № 45), 4 — მხედრული ანბანის შემცველ წარწერას (ადმოსავლეთი აფსიდა, № 32). XI საუკუნისათვის ორი გრაფა გვაქვს. 1-ით აღნიშნულია ბაგრატ IV-ის მიერ 1057 წელს შიომღვიმისათვის მიცემული შეწირულების სიგლის მინაწერები, ხოლო 2-ით მისივე სიგელი მიჯნაძორელთა და ოპიზართა სამამულე დავის გააო (1027—1072 წლები). XII საუკუნე წარმოდგენილია გიორგი III-ის მიერ 1170 წელს შიომღვიმისათვის მიცემული მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიგლით. XIII საუკუნისათვის ნიმუშად ავიღეთ დავით ნარინის მიერ 1261 წელს გაცემული შეუვალობის განახლების სიგელი.

ნუსხურიდან მხედრულზე გარდამავლობის ნიშნებია: ზ-ანი და მ-ანი, რომლებიც XI საუკუნის შუახანებში მორკალური ზედა ხაზით იწერებიან, X საუკუნეში ჯერ კიდევ ნუსხურის მსგავსად სწორ განივ ხაზს ატარებენ, თუმცა გვაქვს მათი მორკალების დასაწყისის ნიშნებიც. ანალოგიურ მდგომარეობაშია ტ-არისა და ხ-ანის ქვედა ხაზი, რომელიც X საუკუნეში მხოლოდ იწყებს მორკალებას.

როგორც ჩანს, განივ ხაზებს ყველა შემთხვევაში გასჩენიათ მორკალებისკენ მიდრეკილება, მაგრამ X—XIII საუკუნეებში ერთგვარი მერყეობის შემდეგ ზოგ მათგანს შეუნარჩუნებია ნუსხურისათვის დამახასიათებელი სწორი ხაზი. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მივუთითოთ ნ-არის დაწერილობაზე. ამ გრაფემის მოხაზულობა X საუკუნის ეტაპზე სხვა მხრივაც არის საინტერესო: ნუსხურისათვის დამახასიათებელი ქვემოდან ღია მუცელი მან თავდაპირველად არა მარტო შეინარჩუნა, არამედ მეორეც, ახლა უკვე დახურული წრის ფორმის, გაიკეთა. ჩვენს წარწერებში ნ-არი წრიული მუცლითაც გვხვდება და ორმაგითაც. როგორც ჩანს, ეს ორმაგმუცლიანი ნ-არი უნდა მივიჩნიოთ მხედრული ნ-არის უძველეს სახეობად, რომელიც მისი ხელის ერთი მოსმით დაწერის საჭიროებამ დაბადა. თანდათან ღია მუცლის ფუნქცია დავიწყებულ იქნა და ჩამოსცილდა მოქმედ გრაფემას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ო-ნის დაწერილობა. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი X საუკუნეში ჩვეულებრივ გულაღმა დევს, მაგრამ ერთ შემთხვევაში უკვე გადმოტრიალებულია და დღევანდელი ო-ნის სახე აქვს რაც XI საუკუნის ძეგლებში ვერა პოულობს ანალოგიას და მხოლოდ XII საუკუნის ბოლოდან გვხვდება სპორადულად.

საერთო მახასიათებელი X საუკუნის გრაფემებისათვის არის მცირე ზომის თავები და მუცლები, ხოლო ამის საპირისპიროდ ძლიერ დაგრძელებული ბუნები.

ზემოთ ნათქვამი გვქონდა, რომ ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით XI—XIII საუკუნეების მდივან-მწიგნობრული ხელი არის მრგოლოვანი ნუსხა-ხუ-



ცური და არა მხედრული. იგი წერდა: „დ. ბაქრაძეს, თ. ეორდანიას, ე. თაყაიშვილისა და ნ. შარის საერთო აზრით X ს-შივე გვაქვს ჩვენ მხედრული დამწერლობის უძველესი ნიმუშებივე და სწორედ ამ დამწერლობის უძველეს ძეგლად მიჩნეული აქვთ მათ ბაგრატ IV-ის შიომღვიმის 1058 წ. და ოპიზის 1065 წწ. და სხვა XI—XII სს. სიგლეხი... ნამდვილად კი ბაგრატ IV-ის ზემოაღნიშნული სიგლეხი სრულებით მხედრული დამწერლობით არ არის გამოყვანილი, არამედ მრგვლოვანი ნუსხა-ხუცური. ამის დასამტკიცებლად საკმარისია აღნიშნულ იქნეს ორი მთავარი გარემოება: პირველი ის, რომ ამ საბუთების დამწერლობის ასოთა მდებარეობა ოთხ-ხაზოვან ბადეში იგივეა რა მდებარეობა ნუსხა-ხუცური დამწერლობის ასოებსა აქვთ, — მეორეც ისაა, რომ თვით ასოთა მოხაზულობას არაკვითარი არსებითი განსხვავებულობა არ ემჩნევა“¹⁴. იგ. ჭავჭავიძის ეს აზრი არც შემდეგ იქნა გაზიარებული. პირიქით, ისიც კი აღინიშნა, რომ სტილისტურად მხედრული დამწერლობა ადრევე განსხვავდებოდა ნუსხურისაგან¹⁵.

ჩვენ ზემოთ ვცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ მხედრული დამწერლობა ქართულ მწიგნობრულ წიგნებში X საუკუნეში უკვე გაზარებული იყო როგორც ნუსხურისაგან ცალკე მდგარი სახეობა. მაგრამ ნუსხურის ისეთი სახეობა, რომელსაც იგ. ჭავჭავიძელი „მრგვლოვან ნუსხა-ხუცურს“ უწოდებს, თეორიულად მაინც სავარაუდოა. მისი გაჩენა მოსალოდნელია როგორც ნუსხურიდან მხედრულზე გადასვლის სულ ადრეულ ეტაპზე, ისე გვიანაც, მხედრულის არსებობის პირობებში და მისი გავლენით. საინტერესოა, რომ ატენის სიონის კედლებმა ასეთი დამწერლობის ნიმუშიც შემოგვინახეს (დასავლეთი აფსიდა, № 48). წარწერა სამენოვანია: ქართული სომხური და არაბული. ქართული ტექსტი ორ სტრიქონად არის განაწილებული და ასე იკითხება:

1. ქ. ესე მე დაწერე, მონამან ლ(მრ)თ(ი)ს[ა].
2. ვინ ესე წიკითხოთ, ლოცვას მომ[ი]ს[ე]ნეთ[ი].

სომხური წარწერა ქართულის სიტყვასიტყვით თარგმანია. იგი პალეოგრაფიული, ორთოგრაფიული და ფონეტიკური თვალსაზრისით X საუკუნით თარიღდება. ქართული და სომხური წარწერები შესრულებულია ერთი ხელით, ერთი საღებავით და რა თქმა უნდა, ერთმანეთის სინქრონულგვია. ამდენად ქართული წარწერაც X საუკუნით უნდა დათარიღდეს¹⁶.

გრაფიკული თვალსაზრისით ქართული წარწერა მეტად საინტერესოა. იგი ვაკრული ხელით არის დაწერილი და აშკარად მრგვლოვანია. ე-ნი, მ-ანი, ნ-არი, ს-ანი, წ-ილი ძლიერ ახლოს არიან XI—XIII საუკუნეებში მხედრულად დაწერილი დოკუმენტების იმავე გრაფემებთან. მაგრამ მთლიანად წარწერა სტილისტურად მაინც მრგვლოვანი ნუსხა-ხუცურია. ვვარაუდობთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ნუსხურის გამხედრულების პროცესთან, არამედ უკვე არსებული და გავრცელებული მხედრულის ნუსხურზე ძლიერ გავლენასთან¹⁷.

¹⁴ ქართული პალეოგრაფია, გვ. 190.
¹⁵ ელ. მაკავარიანი, მხედრული დამწერლობის ადრეული ნიმუშები: მრავალთავი, III, თბ., 1973, გვ. 72.
¹⁶ ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, გვ. 107—108.
¹⁷ მხედრული გრაფემებისათვის VIII ს-ის დასაწყისის წარწერებში იხ. გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის სამი გრაფიტი, მნათობი, № 9, 1984, გვ. 159—168.



ატენის სიონის ინტერიერის სამხრეთი აფსიდის აღმოსავლეთი კედლის მოხატულობის ქვედა რეგისტრში, იქ, სადაც მოგვთა თაყვანისცემის („მოგუნი მეფენი“) კომპოზიციას გამოსახული, XI საუკუნის მხატვრობის გაფრთხილებულ ფონში აშკარად მოჩანს სხვადასხვა ფერის საღებავებით შესრულებული წარწერების კვალი. „მოგუნი მეფენის“ თავებს შორის მსგავსი ხელი-სა და იდენტური საღებავის მიხედვით აშკარად გაიჩნევა ორი წარწერა, მოთავსებული ერთმანეთის გვერდით და ერთ დონეზე (№№ 20, 21). ორივე წარწერა გამოქვეყნებული აქვს თ. ბარნაველს.

1. № 20 წარწერა თ. ბარნაველს გამოქვეყნებული აქვს ასომთავრული შრიფტით, ხოლო მის გვერდით მხედრული ტრანსლიტერაციით მიუწერია მხოლოდ ის ტექსტი, რომელიც, მისი აზრით, გასაგებ სიტყვება ჯგუფებს, ცალკეულ სიტყვებს ან მათ ფრაგმენტებს იძლეოდა. მას შემჩნეული და მეტ-ნაკლებად დიფიქსირებული აქვს წარწერის თოთხმეტივე სტრიქონი.

მკითხველისათვის უფრო ადვილი რომ იყოს თ. ბარნაველის მიერ მიღებულ შედეგებში გარკვევა და მათი შედარება შემდგომი კვლევის შედეგებთან, მის წაიკითხვას უცვლელად მოვიტანთ.

1. † აჲსჲთ ოსჲ ყჲსჲი
 - რჲ
 2. რჲრჲ რჲსჲი
 3. ოსჲრჲ ოსჲრჲრჲრჲ ოსჲრჲსჲი
 4. ოსჲრჲრჲსჲ ოსჲრჲ ოსჲრჲსჲ ოსჲრჲ
 5. რჲრჲ ოსჲრჲრჲრჲსჲ ოსჲ
 6. ოსჲ . . . ოსჲრჲ . . . რჲ(რ). ოსჲრჲრჲ
 7. რჲ . . . ოსჲრჲრჲრჲრჲ
 8. ოსჲრჲ ოსჲრჲსჲ ოსჲრჲრჲ . . ოსჲ
 9. ოსჲრჲ ოსჲრჲ ოსჲრჲსჲ ოსჲრჲ
 - რჲ
 10. ოსჲრჲ ოსჲრჲ ოსჲრჲრჲ
 11. ოსჲრჲრჲრჲრჲრჲრჲ
 12. ოსჲრჲრჲსჲ ოსჲრჲ ოსჲრჲ
 13. ოსჲრჲ რჲრჲრჲ
 14. ოსჲრჲ
1. † იხილეთ ესე უამი.
 2. რჲრჲ რჲრჲ
 3. . . . გავიწმიდოთ გოჯამი
 4. მერმისა არა გოჯამს
 5.
 6. [ღ]ოჯამი
 7. ვეძოლოთ
 8. რაჲთა არაჲრჲ გოჯამი
 9. რაჲთა არა ოსჲრჲთ მოჯან
 10. რაჲთა არა
 11.
 12. . . . კირი მრა[ვალი]
 13.
 14. რამეთუ



როგორც ვხედავთ თ. ბარნაველის წაკითხვით მესამე, მეხუთე, მეთორმეტე, და მეცამეტე სტრიქონები გრაფემათა უაზრო დაჯგუფებებით იწყება. ტომ არ დაეჭვა ასეთმა ვითარებამ მკვლევარი? როგორც ჩანს, ტექსტის მეორე, მეთოხე, მეთერთმეტე და მეთორმეტე სტრიქონები მას დაუშთავრებლად მიაჩნდა და მომდევნო სტრიქონების დასაწყისში მათი ნაშთის გადმოტანას მოელოდა. ამიტომ იყო ალბათ, რომ აღნიშნული სტრიქონების დასაწყისში გრაფემათა უაზრო დაჯგუფებამ მასში ეჭვი არ გამოიწვია. საეჭვო კი სწორედ ეს უნდა გამხდარიყო.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით წიგნში გამოქვეყნებულ მონახაზსა და ფოტოს, შევამჩნევთ, რომ ყოველი სტრიქონის პირველი გრაფემა ე. წ. საზედაო ასოა და მკვეთრად გამოიყოფა ტექსტის დანარჩენ გრაფემათაგან. ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ არცერთი სიტყვა წინა სტრიქონიდან მომდევნოში არ გადადის. მაშასადამე ყოველი სტრიქონის დასაწყისში აუცილებლად უნდა გვექნოდეს მთლიანი, აზრიანი სიტყვა, თუკი მოხერხდება გრაფემათა სწორი იდენტიფიკაცია. მართლაც, ხანგრძლივი დაკვირვებების შემდეგ, ბარნაველის მიერ გამოქვეყნებული ტექსტის სტრიქონთა უმრავლესობის დასაწყისი ასე გასწორდა:

- 3. ახვე — აწვე
- 5. წნბა — ჩწნდა (ჩოვნდა)
- 6. ჯო... — ჯორცა
- 7. წნ ... — ჩწნ (ჩოვენ)
- 8. რა არა... — არა
- 1. ჯოხჩრე — ჯოჯოხეთი
- 12. მსხნარს — მუნ არს
- 13. ატე — აწე...
- 14. რ (რამეთუ) — ჩა (ჩოვნდა)

რაკი დავრწმუნდით, რომ ყოველი სტრიქონი ახალი სიტყვით და საზედაო ასოთი იწყება, თავისთავად დაიბადა ახალი ვარაუდიც: სტრიქონები რაღაც თვალსაზრისით ერთმანეთისაგან დამოუკიდებლები უნდა იყვნენ და ყოველი მათგანი ასე თუ ისე დასრულებულ აზრს უნდა შეიცავდეს. მართლაც თ. ბარნაველის გამოცემით თუ ვისარგებლებთ, დავინახავთ, რომ ტექსტის პირველი ოთხი სტრიქონი სინტაქსურად ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენენ და ყოველი მათგანი თვითკმარი წინადადებაა:

- 1. იხილეთ ესე ჟამი
- 2. წავა წამი
- 3. გავიწმიდოთ გუამი
- 4. მერმისა არა გუაქს...

ახლა უკვე სრულიად აშკარაა, რომ პირველი სამი სტრიქონის ბოლო ორი მარცვალნი იდენტურია: „— — — ამი“. მაშასადამე, სტრიქონთა გამყარი არა ყოფილა მხოლოდ სინტაქსი, რომელსაც ძველი ქართველი მწერლები არც იღებდნენ ზოლზე მხედველობაში ტექსტის საზედაო ასოებით შემკობისას. იგი ყოველი მომდევნო წინადადების ახალი სტრიქონით დაწყებისათვის არ იძლეოდა საკმარის საფუძველს. თეორიულად ტექსტის ასე გაფორმება შეეძლო გამოეწვია მხოლოდ რითმას! მართლაც, რატომ არ არის რითმა: „ჟამი“ — „წამი“ — „გუამი“?



რადგან გაჩნდა დიდი ალბათობა, რომ საქმე გვაქვს რითმიან ლექსთან, საქირო გახდა მისი მეტრის გარკვევა. თ. ბარნაველის წაკითხვით მარცვალთა რაოდენობა პირველ სამ სტრიქონში იყო 7—4—7.

დღევანდელი მკითხველისათვის ასეთი საზომი შეიძლება არც იყოს უცნაური, მაგრამ ტექსტი, რომელსაც ჩვენ ახლა ვიხილავთ, უეჭველად XI საუკუნეზე ადრინდელია!

აი, რატომ ვერ წარმოიდგინა, როგორც ჩანს, თ. ბარნაველმა, რომ უძველესი ქართული რითმიანი ლექსის წინაშე იდგა. ჯერ ერთი, იგი წარწერას პალეოგრაფიის მიხედვით VIII—IX საუკუნეებით ათარიღებდა და ქართული მწერლობის ისტორიის შესწავლის დღევანდელი დონე იმ ხანებში ორმარცვლიანი რითმის არსებობის შესაძლებლობას სრულიად გამორიცხავდა. მეორე, სტრიქონებში მარცვალთა რაოდენობის მკვეთრმა განსხვავებამ, ჩანს, მასში რითმის განცდა არ აღძრა. მესამეც, ძველი ქართული მწერლობის ისტორიამ არ იცის შეიდმარცვლიანი ლექსი. მართო ეს, ჩვენში სრულიად გაუცნობიერებლად არსებული კოდი, საკმარისი იქნებოდა, რომ მკვლევარს ლექსის მოლოდინი არა ჰქონოდა, სტრიქონები დაუმთავრებლად მიეჩნია, ხოლო წინადადებებს შორის მარცვალთა განმეორება შემთხვევითად ჩაეთვალა.

სპეციალური დაკვირვება მოითხოვა მეორე სტრიქონმა („წავა წამი“), რომელსაც აშკარად აკლდა სამი მარცვალი, რომ წინა და მომდევნო სტრიქონების იზომეტრული გამხდარიყო.

გამოირკვა, რომ „წავა“ სიტყვის მეორე მარცვალს („ვა“) თავზე ქარაგმის ნიშანი უზის. დაქარაგმებული „წავა“ კი უზარბაა. მაშასადამე, მეორე მარცვალი დამოუკიდებელი სიტყვა უნდა იყოს. მართლაც, დაქარაგმებული „ვა“ ჩვეულებრივ „ვითარცად“ იკითხება. ასეთ შემთხვევაში წარწერის მესამე სტრიქონი უნდა წაგვეკითხა: „წა, ვითარცა წამი“, მაგრამ ახლა უკვე გაუგებარი გახდა „წა“ მარცვალი. რუსთაველის შემდგომ მკითხველს იქნებ აქაც გამოენახა გამოსავალი („წა, შეები ხატაელთა, ილაშქრე და ინაპირე“), საქმე უფრო მარტივად რომ არა წყდებოდეს.

პირველ და მეორე სტრიქონებს შორის, სწორედ „წა“ და „ვა“ მარცვლების თავზე, ძირითად ტექსტთან შედარებით უფრო მცირე გრაფემებით გამეორებულია „ვა“ მარცვალი. თ. ბარნაველს იგი ასომთავრულით დაბეჭდილ ტექსტში ასახული ჰქონდა, მაგრამ მხედრულ ტრანსლიტერაციაში გამოუტოვებია, როგორც გაუგებარი. უეჭველია, მას იგი პირველი სტრიქონის დაბოლოება ეგონა. ადგილზე გულდასმით დაკვირვებამ ისიც გვიჩვენა, რომ მწერალს ზემოდან დაწერილი „ვა“ მარცვლის ქვეშ, „წა“-სა და „ვა“-ს შორის სამი წერტილი დაუსვამს ვერტიკალური მიმართულებით. სავსებით აშკარაა, რომ, ეს სამი წერტილი ჩამატების ნიშანია (ამას ქვემოთაც ვნახავთ) და ზემოდან დაწერილი „ვა“ მარცვალი სწორედ მის ადგილას უნდა ჩაჭდეს. კალიგრაფისტის შეცდომაც ადვილი ასახსნელია: ტექსტის გადაწერისას მას გვერდივერდ ნაწერი ორი „ვა“ მარცვილიდან ერთ-ერთი გამორჩა და შეცდომა გვიან შეამჩნია (იქნებ მთლიანად დაწერილი ტექსტის ხელახლა გადაკითხვის დროს). ამრიგად, მეორე სტრიქონი ასე გაიმართა:

2. „წავა, ვ(ითარცა) წამი“.

მარცვალთა რაოდენობა მეორე სტრიქონშიც შეიძია, ხოლო პირველი სამი სტრიქონი ყველა თვალსაზრისით გამართულ ლექსს გვაძლევს:

1. „ახლეთ ესე უამი,
2. წავა, ვითარცა წამი.
3. აწვე გავწმიდოთ გუამი...“

ყურადღებას იპყრობს კალიგრაფისტის კიდევ ერთი ხერხი ლექსის გრაფიკულად გაფორმებისათვის: წარწერის პირველი სამი სტრიქონის მარცვალთა რაოდენობა კი თანაბარია, მაგრამ განსხვავებულია ტერიტორია, რომელიც ამ სტრიქონებს უკავია. მესამე სტრიქონი პირველსა და მეორეზე გრძელია, მეორე კი ორივეზე მნიშვნელოვნად მოკლეა გამოტოვებული მარცვლისა და ქარაგმის გამო. და აი, კალიგრაფისტმა გადაწყვიტა ხაზი გაესვა არა მარტო ლექსის ვერსიფიკაციული მეტრისათვის, არამედ გრაფიკულითვისაც. ამ მიზნით პირველი და მეორე სტრიქონების დასასრულს დასვა ორი წერტილი და შათი შორისიდან გააგლო სწორი ხაზი იქამდე, სანამ არ გაუთანასწორდა მესამე სტრიქონის დასასრულს. ლექსი გრაფიკულადაც შეიკრა! ეკვისათვის, რომ სტრიქონები დაუმთავრებელია, ადგილი აღარ დარჩა.

თ. ბარნაველი მეოთხე სტრიქონის ბოლოს კითხვობდა ასოთა კომპლექსს „ქრთ...“. სიტყვის დანარჩენი ნაწილი პირველი მოკვის თავსაბურავით არის დაფარული. მას შემდეგ, რაც დავრწმუნდით, რომ ჩვენს წინაშეა წყობილი რითმიანი ლექსი, ხოლო საირთმო ერთეულია „...ამი“, ამ სიტყვის აღდგენა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. რა თქმა უნდა, იგი იქნება „ქრთამი“. მართლაც, ადგილზე გულდასმით შესწავლით შესაძლებელი ხდება „ა“ გრაფემის ქუდისა და მარჯვენა რკალის გარჩევა. ამრიგად, მეოთხე სტრიქონი ასე იკითხება:

4. მერმისა არა გუაქს ქრთა[მი].

გრაფიკიდან თუ ამოვალთ, პირველი ოთხი ტაეპის სილაბურ იზომეტრულობაში დისონანსი შეაქვს მეოთხეს. თუ პირველი სამი ტაეპი შვიდმარცვლიანია, მეოთხე რვა მარცვლისაგან შედგება. მაგრამ როგორც ჩანს, ასეა მხოლოდ ვიზუალურად. ტექსტის სკანდირებისას კი ერთმანეთის გვერდით მოხვედრილი მესამე და მეოთხე მარცვლების „ა“ ფონემები შთანთქმავდნენ ერთმანეთს. აქ ეტყობა თავის როლს თამაშობდა „არა“-ს პირველ მარცვალზე დაცემული ლოგიკური მახვილიც. ასე რომ, ფაქტიურად მეოთხე ტაეპს ასეთი სახე უნდა ჰქონოდა:

4. მერმის არა გუაქს ქრთამი.

სემანტიკური თვალსაზრისით სტროფი შეიკრა და შეიძლება ითქვას, რომ იგი ოთხტაეპიანია.

მეხუთე სტრიქონი მთლიანად იკითხება და იმავე საირთმო მარცვლებს გვიჩვენებს:

5. ჩ(უე)ნდა ვაცადოთ სამი

ამ ტაეპის წაკითხვის სხვა ვარიანტია: „ჩ(უე)ნ დავაცადოთ სამი“. ტაეპის აზრი ბუნდოვანია.

ამრიგად, განსახილველი ლექსი ან წყობილი რითმით დაწერილი ხუთტაეპიანი ლექსია, ან კიდევ რითმით სტროფების დაყოფას უარყოფს.

მეექვსე ტაეპის დაბოლოება ფრესკის ფენაში შედის და რაიმეს გარკვევით ამოკითხვა შეუძლებელია. იკითხება მხოლოდ შემდეგი:

6. კო[რ]ცსა დაუტეო[თ]...

„რ“-სა და „ც“-ს შორის ბათქაში ამოტეხილია ისე, რომ რ-აესაგან და-რჩენილია მხოლოდ ბუნი. როგორც ზემოთ ვნახეთ, რითმა ყველგან ორმარ-ცვლიანი იყო. თუ ამ წესს ქვემოთაც დავიცავთ, სტრიქონს სულ მცირე ორ-მარცვლიანი სიტყვა უნდა აკლდეს. ასეთი ანგარიშით მეექვსე ტაეპი რვა მარ-ცვლიანი იქნება. მოგვის ხარისხის სარტყელში ოდნავ გამოსჭვივის რამდე-ნიმე გრაფემა, რომელთაგან თითქოს უკეთ უნდა იკითხებოდეს „ო“ („უ“). „კორცთან“ კონტექსტში ასატანი ისეთი ორმარცვლიანი სიტყვა, რომელიც „უ“-ს შეიცავს, არის „სული“. ფრაზა „კორცსა დაუტეოთ სული“ მისაღებ აზრს გვაძლევს. ავტორის იდეა სწორედ ის არის, რომ უკეთურებისაგან ვან-წმენდლი ხორცი სიცოცხლეშივე უნდა იყოს სულიერი და საიქიო ცხოვრე-ბას არ უნდა დაელოდოს. მაგრამ ასეთი რეკონსტრუქციის შემდეგ ლექსში შემოდის ახალი რითმა. ვნახოთ ქვემოთ.

მეშვიდე ტაეპის მეშვიდე და მეოთხე გრაფემები, ბათქაშის აცვენის გამო, დაზიანებულია. გაირჩევა მხოლოდ ქვედა რკალი მესამე გრაფემისა და ზედა — მეოთხისა. რადგან დაზიანებული სიტყვის ნაშთია — „ვიძულოთ“, შემორჩენილი რკალები უფლებას გვაძლევენ უყოყმანოდ აღვადგინოთ „მო-ვიძულოთ“. ამგვარად, მეშვიდე ტაეპის ის ნაწილი, რომელიც მოგვის თავს გარეთაა, იქნება „ჩ(უ)ენ მოვიძულოთ ვ...“ მოგვის სტემაში მეტნაკლები დაკ-ვირვებით შეიძლება ამოვიკითხოთ „-ე-ხლი“. ცხადია, მთლიანად სიტყვა იქნება „ვეცხლი“ და ტაეპი ასე უნდა აღდგეს:

7. ჩ(უ)ენ [მო]ვიძულოთ [ვ]ე[ც]ხლი.

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს შვიდმარცვლიან ტაეპთან და სარიტმო სიტყვის დაბოლოება არის -ლი. ამ თვალსაზრისით, მეტი საყრდენი უჩნდება ჩვენ მიერ წინა ტაეპში აღდგენილ სიტყვას — „სული“, თუმცა რითმა, თუკი ასეთი დაერქმევა (სული — ვეცხლი), რა თქმა უნდა ძალზე ღარიბია.

შემდეგი ტაეპების ამოკითხვა მთლიანად არ ხერხდება, მაგრამ ის, რაც მოცემული იქნება ქვემოთ, უეჭველია.

8. რ(აჲ)ა არ გუუუფლო[ს]...

9. არა ვთქუათ მუნ...

10. რ[აჲთ]ა არა ვიხილოთ ჭი ...

11. ჯოჯოხეთი ბნელი შე ...

12. მუნ არს ჭირი მრა[ვალი]

საინტერესოა, რომ მეათე ტაეპში მწერალს კვლავ გამორჩა მარცვალი და იგი ზუსტად იმავე წესებით ჩაამატა, როგორც ეს გააკეთა მეორე ტაეპში.

მეცამეტე ტაეპი მთლიანად გაუგებარია. მხოლოდ მოგვის კისრის გარეთ მოჩანს „-ლი“ მარცვალი, რომელიც ბოლოვდება ტექსტის დამამთავრებელი ნიშნით.

მეცამეტე ტაეპი სტრუქტურულად და გრაფიკულად, ჩანს, ლექსს ეკუ-თვნის. ამის ნიშანია სარიტმო მარცვალი „-ლი“ და სასვენი ნიშანი ბოლოში, მაგრამ ვფიქრობთ, რომ იგი სემანტიკურად ლექსში აღარ მონაწილეობს და, შესაძლოა, ავტორისეული რემარკაა, იქნებ მისი სახელის მოხსენიებითაც კი.



ბოლო მეთოთხმეტე სტრიქონი თითქმის სულ არ იკითხება. ვინაიდან ლექსის ქანწილის ბუნი მასაც ეკუთვნის, ვფიქრობთ ისიც ავტორის „ანდერჟონული ძი“ უნდა იყოს, მაგრამ ლექსის სტრუქტურაში აღარ მონაწილეობს.

წარწერა შესაძლოა თხუთმეტსტრიქონიანი იყოს, მაგრამ სავარაუდოდ მეთხუთმეტე სტრიქონში რაიმეს ამოკითხვა შეუძლებელია და ჩვენ პუბლიკაციაში იგი არ აისახა.

2. № 21 წარწერა თ. ბარნაველს გამოცემული აქვს მხოლოდ ასომთავრულით. მხედრულ ტრანსლიტერაციას ან ტრანსკრიპციას იგი არ იძლევა, როგორც ჩანს იმიტომ, რომ პირველი სტრიქონის გარდა რამდენადმე აზრიან სიტყვათა კომპლექსს ვერ კითხულობს. მკითხველის უკეთ ორიენტირებისათვის ქვემოთ ვაქვეყნებთ მისი პუბლიკაციისათვის ჩვენს მიერ შედგენილ მხედრულ ტრანსლიტერაციასაც.

1. + ႦႦႦ ႦႦႦႦ ႦႦ
 2. ႦႦႦႦ ႦႦႦ ႦႦႦ
 ႦႦႦႦႦ
 ႦႦႦ ႦႦ
 ႦႦႦ ႦႦႦ ႦႦႦႦႦ
 ႦႦႦ ႦႦႦ
 ႦႦႦႦ Ⴆ

1. + ვგრე ბტყოვის მო . . .
 2. მოხტა თსეა არი
 ოჯსაქმ

 იება თე
 გოჯს აცე აქმავე
 ენა ამი
 სძნე ვ

პირველი, რაც წარწერაში ყურადღებას იპყრობს, არის წინა ტექსტის ანალოგიური გრძელი ქანწილი, თუმცა აქ იგი მხოლოდ მესამე სტრიქონამდე ჩანს კარგად. შემდეგ იგი მეორე მოგვის სტემაში შედის და ფრაგმენტულად, დიდი გაჭირვებით შეიძლება ამოკითხვა მეოთხე და მეხუთე სტრიქონების გასწვრივ. უკვე ეს ფაქტი იძლევა ნიშანს, რომ გრაფიკული სტრუქტურის თვალსაზრისით საქმე გვაქვს წინა ტექსტის (№ 20 წარწერა) ანალოგიურ ვითარებასთან. მართლაც, პირველი სტრიქონის დასაწყისი ე-ნი მთელი სანტიმეტრით დიდია, ვიდრე მომდევნო გ-ანი. იგი სიგანითაც ერთი სანტიმეტრით აღემატება მომდევნო გ-ანსა და ე-ს. კიდევ უფრო თვალშისაცემია მეორე სტრიქონის პირველი გრაფემის მანის უპირატესობა სტრიქონის დანარჩენ ასოებთან: მომდევნო ო-ნი მხოლოდ მისი მუცლის დონეზეა გამოსახული. მ-ანი მას 1,5 სმ-ით აღემატება სიმაღლეში და თითქმის ამდენივეთი სიგანეში. სხვა სტრიქონების დასაწყისი გრაფემები ცუდად მოჩანს, მაგრამ მერვე სტრიქონის მ-ანი კვლავ აშკარად გამოხატულ საზედაო ასოს გვაძლევს.

ამრიგად, ეჭვი არ არის, რომ ამ შემთხვევაშიც ტექსტის ყოველი სტრიქონი საზედაო ასოთი იწყება, წარწერას მთელ სიგრძეზე გასდევს დიდი ქანწილი და გრაფიკულად კვლავ ზემოთ განხილული ლექსის ანალოგიურ ვითა-

რებასთან გვაქვს საქმე. ასეთ სიტუაციაში სპეციალური დაკვირვება მიი-
თხოვა წარწერის სტრიქონთა დაბოლოებებში.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მეექვსე და მეშვიდე სტრიქონები უშუალოდ
უშუალოდ ბოლოვდება -არი-ზე. მეხუთე სტრიქონის დაბოლოება, ასევე უშუა-
ლოდ არის -რი, ხოლო რ-აეს წინ მოგვის შუბლში გამოსჭვივის ა-ნიც. მეო-
რე სტრიქონის ბოლოში აშკარად გაირჩევა რ-აეს და ი-ნის ფრაგმენტები.
ძერვზე სტრიქონის ბოლოს პირიქით, აშკარად ჩანს ი-ნის და რ-აეს ფრაგმენ-
ტები. -არის ფრაგმენტები შეიძლება გავარჩიოთ მეოთხე სტრიქონის ბო-
ლოსაც. ამის შემდეგ შეგვიძლია უყოყმანოდ დავასკვნათ, რომ ყოველი
სტრიქონის დაბოლოებაა -არი. მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს
წინა წყობილრიტმიანი ლექსი.

2. ვაჭარი
3. საჯმა[რი]
4. ნაქმარი
5. ითარი
6. საქმარი
7. მ.დარი
8. ზამთარი

რიტმა გვაქვს. ყველაფერი ახლა დამოკიდებულია მეტრზე. პირველი
სტრიქონი შედარებით ადვილად იკითხება. ადვილია, აგრეთვე, ბოლო, ფრეს-
კის საღებავით დაფარული სიტყვის აღდგენა. ყოველივე იმის ცოდნის შემ-
დეგ, რაც ზემოთ იყო მოცემული, შედარებით ადვილად იკითხება მეორე
სტრიქონიც.

1. ეგრე ძტყუის მო[ძლ]უა[რი]
2. მუნ არა [ა]რს ვაჭარი

მარცვალთა რაოდენობა ორივე სტრიქონში შვიდია, სარიტმო დაბო-
ლოებაა -არი. საქმე რომ ლექსთანა გვაქვს, უშუალოდ.

მესამე სტრიქონში შედარებით უკეთ მოჩანს შემდეგი ფრაგმენტი: „...აწა
..ოუსაქმ...“. სტრიქონის დასაწყისში გაირჩევა ა-ნისა და თ-ანის ქვედა რკა-
ლები. მეშვიდე ადგილზე კვლავ ა-ნის ქვედა რკალი იკითხება, ხოლო მეო-
რე ადგილზე უშუალოდ ქ-ანის ბუნია. ასე რომ, მესამე სტრიქონი დიდი ალ-
ბათობით შეიძლება ასე აღდგეს:

3. ათა წაქუს [ს]აქმა[არი]

ადვილი შესამჩნევია, რომ დამწერს ორი ერთმანეთის გვერდით მოხვე-
დრილი ს-ანიდან ერთი გამოჩნდა (ასეთი შემთხვევები წარწერებში ხშირია),
ამიტომ არის იგი აღდგენილი ბოლო სიტყვის დასაწყისში. დიდა ალბათობა,
რომ ის გრაფემა, რომელიც მესამე ადგილზე საღებავის ქვეშ სრულიად არა
ჩანს, თანხმოვანია. ამიტომ მესამე სტრიქონშიც შვიდი მარცვალა.

მეოთხე სტრიქონში ბოლო ორი სიტყვის ამოკითხვა ალბათ დიდ დავას
არ გამოიწვევს: „...ნაცოდ-ნაქმარი“. სტრიქონის დასაწყისში გაირჩევა დ-
ონის მარცხენა რკალი და სარქველი, რ-აეს ბუნისა და ქვედა რკალის ფრაგ-
მენტები, ა-ნის სარქველისა და რკალის ფრაგმენტები. ასე რომ, ტექსტი,
გარკვეული ალბათობით, შემდეგ სახეს იღებს: „დრა... ნაცოდ-ნაქმარი“.
მოგვის თვალ-წარბში, აქა-იქი გამომჭვირვალე წერტილებზე დაყრდნობით,
მეოთხე სტრიქონს ასე აღვადგენთ:

4. დრა[ჰმა] ნაცოდ-ნაქმარი.



მიუღებრუნდეთ ახლა კვლავ მესამე სტრიქონს. მთელი სტროფის კონტექსტი თითქოს ნათელი უნდა იყოს. ავტორი ამბობს: მოძღვარი ბრძანებს, რომ არ არის ისეთი ვაჭარი, რომელსაც ... მიაქვს წვა-დაგვიტ შეძენილი ფული. სიტყვა, მესამე სტრიქონში რომ ვერ აღგვიდგენია, უნდა გვიჩვენებდეს, თუ ხად ვერ მიაქვს ვაჭარს თავისი დაგროვილი სიმდიდრე. უეჭველია, რომ ლექსში ლაპარაკია დრაჰმის საიქიოს წაღებაზე (ამას ადასტურებს პირველი ლექსის საერთო განწყობილებაც) და ერთადერთი, რაც შეიძლება წაკითხულ იქნას, არის სიტყვა „თანა“. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ჩანს, რომ მწერალმა ტექსტის კოპირებისას გრაფიკული მეტათეზისი დაუშვა და „თანა“-ს მაგიერ დაწერა „თანა“. შეიძლება ამ ადგილის სხვაგვარი ინტერპრეტაცია: თუ სტრიქონის პირველი გრაფემა ა-ნი არის რიცხვითი ნიშანი „ერთი“, მაშინ ტექსტის აზრი ასეთი იქნებოდა — ისეთი ვაჭარი არ არსებობს, რომელსაც საიქიოს თან მიჰქონდეს თუნდაც ერთი დრაჰმა.

ამრიგად, მთლიანად პირველ სტროფი ასე გაიმართება:

1. ეგრე ძტყუის მოძღუარი;
2. მუნ არა არს ვაჭარი,
3. თანა წააქუს საქმარი —
4. დრაჰმა ნაცოდ-ნაქმარი.

მეხუთე და მეექვსე სტრიქონების რამდენადმე დამაკმაყოფილებლად ამოკითხვა შეუძლებელია. ის, რასაც მივალწიეთ, არის შემდეგი:

5. ...ოლება... [ვ]ითარი
6. .. ასე ... საქმარი

მეშვიდე და მერვე ტაეებში მოგვების სახეში გამომჟვირვალე გრაფემა-თა ფრაგმენტებზე დაყრდნობით მიახლოვებით ასე აღვადგინე .

7. [რ]აქ[ო]დ ენ ა[რ]ს მ[დი]დარი
8. მ[ა]ქ[ს] ა [ქ]ს ძნელი ზამთარი

შეიძლება ეჭვი გამოიწვიოს განსხვავებულმა დაწერილობამ სიტყვებისა „აქს“ (მერვე სტრიქონი) და „წააქუს“ (მესამე სტრიქონი), მაგრამ თუ გავიხსენებთ პირველი ლექსის „გუაქს“-ის დაწერილობას (მეოთხე სტრიქონი), ასეთი წაკითხვის შესაძლებლობა გამორიცხული აღარ მოგვეჩვენება.

მერვე სტრიქონის ბოლოს გაირჩევა ტექსტის დასასრულის მაჩვენებელი ე. წ. „ყვავის ფრჩხილოვანის“ ზედა ნაწილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ლექსი აქ მთავრდება. თუმცა ქვემოთ კიდევ ჩანს შვიდი სტრიქონის ფრაგმენტები. შეიძლება ზოგი სტრიქონის დასაწყისი გრაფემების ამოკითხვა, ერთგან მთლიანი სიტყვაც („მდიდარი და“...) გაირჩევა, მაგრამ რაიმე რეალურს ასეთი ცდა არაფერს გვაძლევს.

მთლიანად ლექსი, კვადრატული ფრჩხილების გარეშე, შეიძლება ასე აღდგეს:

1. ეგრე ძტყუის მოძღუარი;
2. მუნ არა არს ვაჭარი,
3. თანა წააქუს საქმარი,

4. დრაჰმა ნაცოდ-ნაქმარი.
5. ...უღება ... ვითარი,
6. ასე საქმარი.
7. რაოდენ არს მდიდარი,
8. მას აქს ძნელი ზამთარი.

მომდევნო სტრიქონებში კიდევ შეიძლება ზოგი სტრიქონის დასაწყისი გრაფემების ამოკითხვა და ერთგან მთლიანი სიტყვის („მდიდარი და...“) გარჩევა, მაგრამ მთლიანად ტექსტის შინაარსის თუნდაც მიხედვრის საშუალებას ასეთი ცდა არ გვაძლევს.

ცხადია, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლექსების თარიღი. რომ ისინი ფაქტიურად ერთდროულად და ერთი პირის მიერ უნდა იყოს შესრულებული, მიუხედავად გრაფემათა ზომებში განსხვავებისა, ეჭვი არ არის. წარწერები ტაძრის მოხატულობის ფენის ქვეშაა მოყოლილი და მათი შესრულების ზედა საზღვარი რომ XI საუკუნეა, არც ამაში შეიძლება ეჭვის შეტანა. თ. ბარნაველი წარწერებს პალეოგრაფიულად VIII—IX საუკუნეებით ათარილებდა. VIII საუკუნის შესახებ რაიმეს თქმა ძნელია, რადგან ამ ხანიდან ატენის სიონში ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ერთი თარიღიანი ფრესკული წარწერა: სტეფანოზ მამფალის 739 წლის მოსახსენებელი. რაც შეეხება IX საუკუნეს, აქ კი თ. ბარნაველი აუცილებლად სწორი უნდა იყოს ლექსების (განსაკუთრებით პირველის) გრაფიკული მსგავსება ე. წ. ბულა თურქის 853 წლის წარწერასთან აშკარაა. განსხვავება შეიძლება მხოლოდ იმაშია, რომ ბულა თურქის წარწერა მეტი გულმოდგინებით არის გამოხატული. ამრიგად, ლექსების შესრულების მიახლოებით თარიღად თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ IX საუკუნის შუა ხანები. თარიღის შესახებ უფრო კონკრეტული მსჯელობა ქვემოთ იქნება მოცემული.

ციტატები შინადა შინაილუბიდან

1. ციტატები სახარებიდან

„მოგვ მეფეთა“ ფეხებს შორის მხატვრობის მქრქალ ფონში მოჩანს ექვსსტრიქონიანი წარწერის ფრაგმენტები (იხ. სამხრეთი აფსიდა № 22). წარწერის დიდი ნაწილი მხატვრობის საღებავით არის დაფარული, მაგრამ მთლიანი ტექსტის აღდგენა მაინც არ არის ძნელი. თ. ბარნაველს ამოკითხული აქვს წარწერის მხოლოდ ბოლო ორი სტრიქონის ნაწილი. დანარჩენის არსებობა მას, როგორც ჩანს, საერთოდ არ შეუძმნევია. სტრიქონის ბოლო სიტყვა „[შე]წყალნენ“ თ. ბარნაველს აღდგენილი აქვს სწორად მიგნებული დედნიდან. სინამდვილეში მას აქ უნდა ამოეკითხა სიტყვა „მოწყალენი“, ხოლო „შეიწყალნენ“ საერთოდ დაფარულია მხატვრობის ფენით და მისი ამოკითხვა შეუძლებელია.

წარწერის პირველი სტრიქონი, როგორც ჩანს, მთელი ტექსტისათვის მოსახსენებლის ფორმით დაწერილი თავისებური სათაურია (მდრ. ლუკა 23.42). მის შესახებ უფრო დაწვრილებით, სხვა ანალოგიურ შემთხვევებთან ერთად ვილაპარაკებთ. დანარჩენი ხუთი სტრიქონი შეიცავს სახარებიდან კარგად ცნობილ ე. წ. „ცხრა ნეტარებას“. მთლიანად ტექსტი, გარკვეული პირობების დაცვით, ასე აღდგება:



1. [მომიკსენე]ნ ჩ(უენ), ო(უფალო), [ოდეს მოხუ]დ[ე სუფევითა შენითა].
2. [ნეტარ იყვნენ [გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი].
3. [ნეტარ იყვნენ მგ[ლოვარენი გულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ].
4. ნეტარ იყვნენ მშ[უდნი, რამეთუ მათ] და[იმკვრონ ქუეყანაჲ].
5. ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდის და სწყუროდის სიმართლის[ათუს, რამეთუ იგინი განძლენ].
6. [ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგ[ინი შეიწყალნენ].

მაგრამ სახარებაში ქრისტეს შეგონებები, თუ ვის შეუძლია სასუფეველის დამკვიდრება, ზემოთ მოტანილი ციტატებით არა მთავრდება და გაუგებარია, რატომ უნდა შეეწყვიტა წარწერის ავტორს მე-5 მუხლზე ტექსტი. საჭირო იყო დანარჩენის მოძებნა. ქვემოთ რომ სულ სხვა წარწერებია (ქართული ასომთავრულით შესრულებული ბერძნული და სხვ.), ეს სრულიად აშკარაა (№№ 29, 30) და სამეცნიერო ლიტერატურიდანაც ცნობილია. ამიტომ ძიებისათვის ერთადერთი ადგილი რჩებოდა მოტანილი ციტატების გასწვრივ მარჯვნივ (მაყურებლისაგან) მხატვრობის სქელი ფენით დაფარული ტერიტორია. მართლაც, მათგან დაახლოებით 80 სმ-ს დაშორებით, მოხატულობის შედარებით მჭრქალი ფენის ქვეშ, საკმაო შრომის დახარჯვით, შესაძლებელია გაიჩინეს წარწერის ხუთი სტრიქონის ზოგჯერ მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტები. წარწერა შესრულებულია იმავე ხელით, საღებავით და იმავე ზომის ასოებით, რომლითაც დაწერილია ზემოთ განხილული ექვსსტრიქონიანი წარწერა. შედარებით მცირე ზომის გრაფემებით არის შესრულებული ბოლო სტრიქონი, რის მიზეზიც ქვემოთ ცხადი გახდება.

თუ წარწერის დასაწყისში კიდევ ვივარაუდებთ ერთი სტრიქონის არსებობას, რომელიც ფრესკის ქვეშ სრულიად არა ჩანს, მაშინ დავინახავთ, რომ იგი უშუალოდ გააგრძელებს მათეს სახარებიდან ზემოთ მოტანილი „ცხრა ნეტარების“ ტექსტს (მათე 3—12):

1. [ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი ძხილონ].
2. [ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფენი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ].
3. [ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათუს, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ].
4. [ნეტარ იყვნენ თქუნენ, რაჟამს გყუე]დრი[დენ] და[გდევნიდენ].
5. [გიხაროდენ და მხიარულ იყვნეთ, რამეთუ სასყი]დელი თქუნენი [ფრიად არს ცათა შინა].
6. [მომიკსენე მე, უფალო, ოდეს] მოხვიდე დიდებით[ა შენითა].
7. ქ. დაიწერა ზედა წელსა: სკვ:

წარწერის მეექვსე სტრიქონი არის კვლავ თავისებური მოსახსენებელი ლუკას სახარების სათანადო ციტატის გამოყენებით (ლუკა 23,42). ამით კალიგრაფისტმა შექმნა თორმეტსტრიქონიანი წარწერა, რომელიც კედელზე თანაბრად განაწილა ორ სვეტად, თითოში ექვსი სტრიქონით. ბოლო სტრიქონი კი გვაძლევს წარწერის თარიღს. იგი გამოყვანილია სარკინოზთა წელთაღრიცხვით: სკვ 226—840/841 წ. თ. ბარნაველი წარწერის პირველი სვეტის ბოლო სტრიქონებს აღმოსავლეთი აფსიდის თარიღიანი წარწერების (837, 885 წწ.) ანალოგიით პალეოგრაფიულად ათარიღებდა IX საუკუნით. როგორც ვხე-

დავთ, მეორე სვეტის ბოლოს აღმოჩენილმა თარიღმა მთლიანად დაადასტურა მკვლევარის ვარაუდი. ამრიგად, ჩვენს ხელთაა ქართული ოთხთავის ცნობილთაგან უძველესი თარიღიანი ტექსტის ფრაგმენტები.

საქმე ახლა ის არის, თუ რა კავშირში შეიძლება იყოს ერთმანეთთან ლექსები და ციტატები სახარებიდან შინაარსობლივად, გრაფიკულად და ქრონოლოგიურად.

ორივე ლექსის მთავარი იდეა ის არის, რომ კაცი თუ ამ ქვეყნადვე არ იქნება ზნეობრივად სრულყოფილი, იმ ქვეყანად მას არაფერის იმედი არ უნდა ჰქონდეს; თუ აქვე არ „მოიძულა ვეცხლი“, იქ „ჭირი მრავალი“ და „ჯოჯობეთი ბნელი“ ელოდება, ვინაიდან არცერთ ვაჟარს ჯერ თან არ წაპყროია აქ დაგროვილი ქონება და პირიქით: რამდენადაც აქ იგი მდიდარია, იმდენად „ბნელი ზამთარი“ ელოდება საქიო ცხოვრებაში. მოკლედ რომ ვთქვათ, ლექსები მკითხველს ასწავლიან, თუ ვის შეუძლია დაიმკვიდროს სასუფეველი „ცათაჲ“ და ვინ ვერ ეღირსება მას. ზუსტად იგივე იდეაა მოცემული ე.წ. „ცხრა ნეტარებაში“, რომელიც ლექსებს ქვემოთ არის მოთავსებული. ლექსებისა და სახარებიდან ციტატების საერთო აზრი ასეთია: „სასუფეველი ცათაჲ“ ელოდება ზნეობრივად სრულთ და მატერიალურად ნაკლებთ, მაგრამ არა მდიდრებს, რომლებმაც თავიანთი სასყიდელი უკვე მიიღეს ამ ქვეყანაზე (ლუკა 6,24).

ამრიგად, ლექსები და ციტატები ქმნიან ერთიან იდეურ განწყობილებას და ერთიან გრაფიკულ დეკორს კედელზე. ისინი ერთმანეთთან ახლოს არიან პალეოგრაფიულადაც. განსაკუთრებით მსგავსია თარიღის აღმნიშვნელი სტრიქონის გრაფემების მოხაზულობა პირველი ლექსის გრაფემებთან.

საინტერესო მსგავსება აქვთ ორთოგრაფიულადაც: „ახალეთ“, „მტყუის“, „მოხუიდე“, „გაქუს“, „აქს“. სამწუხაროდ, ციტატები ოთხთავიდან მეტისმეტად ფრაგმენტულად იკითხება, რომ შესაძარბელი მასალა უფრო უხვი გვექონდეს.

როგორც ვხედავთ, შინაარსობლივად, გრაფიკულად და პალეოგრაფიულად ლექსებსა და ციტატებს ერთმანეთს დიდად ვერ დავაცილებთ. ბუნებრივია, რომ ქრონოლოგიურადაც ისინი ერთმანეთთან ძლიერ ახლოს უნდა იყვნენ.

არის კიდევ ერთი საშუალება, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს ლექსების თარიღების დაზუსტებას. ჩანს, ციტატები სახარებიდან ერთ სვეტად იმიტომ არ იქნა შესრულებული, რომ ზემოთ ლექსებს მანამდე უკვე ჰქონდათ ადგილი დაკავებული. ამიტომ გაანაწილა დამწერმა ისინი ლექსებს ქვემოთ ერთმანეთის გვერდით ორ ნაწილად. სავარაუდოა, რომ წარწერები იყო მარჯვენა სვეტის ზემოთაც. წინააღმდეგ შემთხვევაში კალიგრაფისტს შეეძლო მთელი ტექსტის მარჯვნივ დაწერა. ყოველივე ეს გვაძვარაუდებინებს, რომ ლექსები დაწერილია 840/841 წელს უფრო ადრე, მაგრამ მათი შესრულების ქვედა თარიღი ალბათ IX საუკუნის პირველ ნახევარში თავსდება.

„ცხრა ნეტარება“ დაწერილია, აგრეთვე, დასავლეთი აფსიდის ჩრდილო კალთაზე (№ 44). სამწუხაროდ, მისგანაც მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი, რომ რაიმე სერიოზული დასკვნის გაკეთება შეიძლებოდა. უფრო მნიშვნელოვანია „ცხრა ნეტარებისათვის“ წამძღვარებული ციტატა სახარებიდან: „მომიკვნიენ ჩუენ, უფალო, ოდეს მოხუდე სუფევეითა შენითა“ (ლუკა, 23,42). თუ ამ ფრაზას შევადარებთ სამხრეთ აფსიდის აღმოსავლეთ კალთაზე დაწე-

რილი „ცხრა ნეტარების“ (№ 22) პირველი წინადადების ნაშთს, დავრწმუნდებით, რომ ისინი იდენტურნი უნდა ყოფილიყვნენ.

შევედაროთ ატენის სიონის კედლებზე დაწერილი ციტატა ლუკას სახარებიდან მწიგნობრული გზით ჩვენთვის ცნობილ სხვა უძველეს ტექსტებს.

ადიშის ოთხთავი: „მომიკსენე მე, უფალო, რაჟამს მოხვდოდი სუფევითა შენითა“.

ჯრუჰ-პარხლის: „მომიკსენე მე, ოდეს მოხვდე სუფევითა შენითა“.

გიორგი მთაწმიდლისეული რედაქცია: „მომიკსენე მე, უფალო, ოდეს მოხვდე სუფევითა შენითა“.

ექვთიმე ათონელისეული რედაქცია მთლიანად იმეორებს ჯრუჰ-პარხლისეულის ჩვენებას.

ამრიგად, ის მცირე საილუსტრაციო მასალა, რაც ხელთა გვაქვს ფრესკების ქვეშ არსებული ციტატების შესახებ, გვიჩვენებს, რომ კალიგრაფისტს ხელთ ჰქონია ოთხთავის დღეისათვის ჩვენთვის უცნობი რედაქცია.

ატენის სიონის ინტერიერში სახარებიდან ციტატები მოცემულია, აგრეთვე, ფრესკათა სიუჟეტების განმარტებების სახით. საგულისხმოა, რომ ესენიც გვიჩვენებენ განსხვავებებს არა მარტო ქართული ოთხთავის პროტოვულგატური რედაქციებისაგან, არამედ გიორგი მთაწმინდლისეული ვულგატისაგანაც კი. სამწუხაროდ, ატენის სიონის კედლებზე ოთხთავიდან ციტატები არ არის ისეთი რაოდენობის, რომ გადაჭრით შეიძლებოდეს რაიმე ბიბლიოლოგიური დასკვნის გაკეთება, მაგრამ ისინი მაინც საყურადღებოა და ქვემოთ მოვიტანთ სხვა ტექსტებთან პარალელურად.

დასავლეთი აფსიდის სარკმლის კამარის გასწვრივ დაწერილია (№ 11) ციტატა მათეს სახარებიდან (25.41):

„წარვედით [ჩემგან], წყეულნო, სატანჯველთა მათ საუკუნოთა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისა და მსახურთა მისთათს“.

ადიშისა და ჯრუჰ-პარხლის რედაქციებში „სატანჯველთა მათ საუკუნოთა“-ს ნაცვლად გვაქვს „ცეცხლსა მას საუკუნესა“. მცირედ განსხვავდება ამ ორი რედაქციის ტექსტთა დაბოლოებებიც: „ეშმაკისათს და მსახურთა მისთა“ (ჯრუჰ-პარხლის), „ეშმაკისა და მსახურთა მისთა“ (ადიშის). ადიშის ოთხთავი ყველა სხვა რედაქციისგან (მათ შორის ატენის სიონის წარწერისგანაც) იმითაც განსხვავდება, რომ ტექსტის დასაწყისში გვაქვს „წარგულეთ“ ნაცვლად „წარვედით“-ისა.

უფრო არსებითია განსხვავებანი გიორგი მთაწმინდლის რედაქციასთან. მასში ვკითხულობთ:

„წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათს და ანგელოზთა მისთა“.

რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს მოტანილი ციტატების ერთმანეთთან შედარებით? ცხადია, რომ ატენის სიონის წარწერა ტექსტობრივად ყველაზე ახლოს არის ადიშურ რედაქციასთან. განსხვავებები მათ შორის შეიძლება ზეპირი ციტირების შედეგი იყოს. საქმე ის არის, რომ სახარებაში, ცოტა ქვემოთ (მათე, 25-45), იმ „წყეულთა შესახებ, რომელთაც უფალი „საუკუნო ცეცხლით“ დაემუქრა, ნათქვამია: „და წარვიდენ (მივიდენ) ესენი სატანჯველსა საუკუნესა“. ამდენად, ვფიქრობთ, რომ ციტატის დამწერს (ან შემკვეთს) შეიძლებოდა მგხსიერებაში „ცეცხლსა მას საუკუნესას“ ნაცვლად ჩარჩენილი ჰქონოდა „სატანჯველთა მათ საუკუნოთა“, მაგრამ ეს უნდა მომხდ-

რიყო აღიშნის ოთხთავის ან მისი მსგავსი რედაქციის საფუძველზე. ყოველ შემთხვევაში, ციტატისათვის წყარო იყო პროტოკოლები, ტური ტექსტი და არა ვულგატა, რომელშიც განსხვავებები ასეთი დასკვნის გასაკეთებლად საკმარისზე მეტია.

მეორე განსხვავება ქართული ოთხთავის ჩვენთვის ცნობილ რედაქციებსა და ატენის სიონის წარწერას შორის დადასტურებული აქვს თ. ბარნაველსაც, როდესაც იოსებისთვის ანგელოზის გამოცხადების კომპოზიციაზე გაკეთებული განმარტებითი წარწერის შესახებ მსჯელობს.

ატენის სიონის წარწერა: „ანგელოზი ეტყვის: იოსებ, ძეო დავითისო, ნუ გეშინინ მიყვანებად მარიამისა, ცოლისა შენისა, რამეთუ, რომელი მისგან იშვეს სულისაგან წმიდისა არს.“

ამ ციტატას ქართული ოთხთავის ყველა ხელნაწერი ერთნაირად უჩვენებს. ატენის სიონის წარწერისაგან ყველა მათგანი განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ მათში „რომელი“-ს ადგილას ყველგან გვაქვს „რომელი-იგი“. ვფიქრობთ ამ განსხვავებას არ შეიძლება დიდი მნიშვნელობა მიენიჭოს ატენის სიონის წარწერების ლიტერატურული წყაროების ძიებაში. „იგი“ შეიძლება გამორჩენილი იყოს მექანიკურად ანდა იგულისხმებოდეს ქარაგმაში: „რომელი-იგი“.

2. ციტატები „ძველი აღთქმიდან“

„ძველი აღთქმიდან“ ციტატები გვხვდება ატენის სიონის აფსიდების ტრიუმფალურ თაღებსა და წინასწარმეტყველთა გრაფილებზე. ყველა ისინი თანადროულნი არიან კედლის მხატვრობისა და თარიღებიან XI საუკუნით.

სამხრეთი აფსიდის ტრიუმფალური თაღის მთელს სიგრძეზე გაკეთებული წარწერა (№ 1) წარმოადგენს ციტატას ამბაკუმის წინასწარმეტყველებიდან (3,3). წარწერა ძლიერ არის დაზიანებული და იგი ჩვენ ასე აღვადგინეთ: „ღმერთი სამ[ხრით] მოვიდა და წმ[ილ]აჲ [იგი] მითი ჩრდილოთ მალნართ[ასა]“. ჩვენ მიერ ამოკითხულ ტექსტს თუ შევეუდარებთ ქართული „ძველი აღთქმის“ უძველეს რედაქციებს, ვნახავთ, რომ იგი ყველაზე ახლოს არის ე. წ. ოშკური ბიბლიის (978 წ.) ვარიანტთან: „ღმერთი სამხრით მოვიდა და წმიდაჲ იგი მითი ჩრდილოთ მალნართათჲ“. განსხვავებას გვიჩვენებს მხოლოდ ბოლო სიტყვის ჩვენებულ აღდგენა: „მალნართ[ასა] — „მალნართათ“. ჩვენი აღდგენა დამყარებულია დასავლეთი აფსიდის სამხრეთ კალთაზე გამოსახული ამბაკუმ წინასწარმეტყველის გრაფილის წარწერის (№ 20) წაკითხვაზე, სადაც აშკარად „მალნართასა“ არის დაწერილი. გვერონდა თუ არა ამის უფლება, ძნელი სათქმელია, ვინაიდან ამბაკუმის გრაფილის წარწერა სხვა მხრივ არ ემთხვევა სამხრეთი აფსიდის ტრიუმფალური თაღის წარწერას. მასში „მოვიდა“-ს ნაცვლად ვკითხულობთ „მოვიდეს“, როგორც ეს გვაქვს იერუსალიმურსა (XI ს.) და ველათურ (XII ს.) ნუსხებში. ერთი დასკვნა კი მაინც შეიძლება გაკეთდეს: როგორც ჩანს, სამხრეთისა და დასავლეთი აფსიდების წარწერებს სხვადასხვა პირები აკეთებენ. ამ დასკვნას მხარს უჭერს დასახელებული ასფიდების მხატვრობის სტილისტური სხვადასხვაობა.

დავუბრუნდეთ კვლავ სამხრეთი აფსიდის ტრიუმფალური თაღის წარწერის რედაქციული მიმართების საკითხს. იერუსალიმურ ნუსხაში ვკითხულობთ: „ღმერთი თემანით მოვიდეს და წმიდაჲ იგი მთისაგან ჩრდილოთ მალნართით“. განსხვავებები თვალში საცემია: „სამხრით“ — „თემანით“, „მოვი-



და — „მოვიდეს“, „მით“ — „მთისაგან“, „მალნართ[ასა]“ — „მალნართ“.

კიდევ უფრო შორდება მას გეოლოგიური ვერსიის ხელნაწერთა წაკითხვების „ლმერთი თემანით მოვიდეს და წმიდაჲ მთისაგან ჩრდილოჲსა მალნარისაჲსა“.

ამრიგად, განხილული ციტატა გვიჩვენებს, რომ კალიგრაფისტს ხელთ ჰქონდა ოშკური ბიბლიის ნუსხა (978 წ.) ან მასთან ძლიერ ახლოს მდგარი, დღეისათვის ჩვენთვის უცნობი, ხელნაწერი იმ შემთხვევაშიც, თუ იგი წარწერას ზეპირად აკეთებდა.

დასავლეთი აფხიდის ტრიუმფალური თაღის წარწერა (№ 1) წარმოადგენს ციტატას ფსალმუნიდან (112,3): „[აღმოს]ავალითგ[ან მზ]ისაჲთ [ვიდ-რე დასავალამ]დ[ე კურთხეულ] არს [სახელი]ი უფლისაჲ“. ფსალმუნის გიორგი მთაწმიდლისეულამდე რედაქციებში ეს მუხლი ასე იკითხება: „მზის აღმოსავლითგან მზის დასავალამდე ქებულ არს სახელი უფლისაჲ“. ჩვენი ციტატისაგან განსხვავდება გიორგისეული რედაქციაც: „მზის აღმოსავალითგან ვიდრე დასავალამდე ქებულ არს სახელი უფლისაჲ“.

მიუხედავად იმისა, რომ ფსალმუნის ჩვენამდე მოღწეულ ყველა ნუსხაში გვაქვს „ქებულ არს“, ჩვენ მაინც შესაძლებლად მივიჩნით აღგვედგინა „კურთხეულ არს“. ამისათვის საფუძველს გვაძლევდა როგორც წარწერის დაზიანებული ადგილის ფართობი, რომელიც აღემატება „ქებულ“-ისათვის საკმარის ფართობს, ისე იმავე ფსალმუნის მეორე მუხლის ტექსტი: „იყავნ სახელი უფლისაჲ კურთხეულ ამიერთგან უკუნისამდე“. შეიძლებოდა, აგრეთვე, აღგვედგინა „დიდებულ არს“, როგორც ეს იკითხება მალაქიას წინასწარმეტყველებაში (იხ. 1,11). ასეა თუ ისე, დასავლეთი აფხიდის ტრიუმფალური თაღის წარწერის ტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენამდე მოღწეული ყველა ნუსხის წაკითხვებისგან.

ჩრდილო აფხიდის ტრიუმფალური თაღის წარწერა (№ 1) წარმოადგენს, აგრეთვე, ციტატას ფსალმუნიდან (88,13): „[ჩრ]დილოჲ და ბლუარი შ[ენ] შეჰქმენ, თაბორი და [ერმონი სახელითა შენითა იხარებდენ]“. წარწერა ძლიერ არის დაზიანებული. ის, რაც იკითხება, ზუსტად ემთხვევა ჩვენთვის ხელნაწერებით ცნობილ ტექსტებს, რომლებიც თავის მხრივ (გიორგი მთაწმიდლისეული და უფრო ადრინდელი) არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ატენის სიონის დასავლეთი აფხიდის სამხრეთ კალთაზე გამოსახულ ამბაკუმ, ეზეკიელ, იოველ და დანიელ წინასწარმეტყველებს ხელთ უპყრიათ გრაგნილები, რომლებზედაც წარწერილია ციტატები მათი წინასწარმეტყველებებიდან. სინტერესოა ამ ტექსტების შედარება წინასწარმეტყველთა ძველ ქართულ ვერსიებთან მათი წარმომავლობის დასადგინად. მივყუთ თანმიმდევრულად კედელზე გამოსახული წინასწარმეტყველების მიხედვით მაყურებლისგან მარცხნიდან მარჯვნივ.

ამბაკუმ წინასწარმეტყველის გრაგნილზე წარწერის (№ 20) ტექსტი (3,3) საკმაოდ კარგად არის შემონახული. ქვემოთ მას მოიკლანო ოშკურ და იერუსალიმურ რედაქციებთან პარალელურად.

ატენის სიონის

„ლმერთი სამ[ხრით] მოვიდეს და წმიდაჲ იგი მითით ჩრდილოჲთ მალნართასა. დაფარნა ცანი შუწნიერებამან მისმან და ქებითა მისითა აღიესო ქუწყანაჲ“.

ოშკური

„ლმერთი სამხრით მოვიდა და წმიდაჲ იგი მითით ჩრდილოჲთ მალნართაჲთ. დაფარნა ცანი შუენიერებამან მისმან და ქებითა მისითა აღიესო ქუყანაჲ“.



იერუსალიმური

„ღმერთი თემანით მოვიდეს და წმიდა იგი მთისაგან ჩრდილოეთ მალნართ. დაფარნა ცანი შუენიერებამან მისმან და ქებითა მისითა აღივსო ქუეყანა“.

როგორც ვხედავთ, ატენის სიონის „ნუსხა“ უფრო ახლოს არის ოშკურთან, ვიდრე იერუსალიმურთან (შდრ. „სამხრით“ — „თემანით“, „მთით“ — „მთისაგან“), მაგრამ მისგანაც განსხვავდება იერუსალიმურთან ერთად „მოვიდა“ — „მოვიდეს“. არის განსხვავება ორივე რედაქციისათვისაც („მალნართასა“ — „მალნართად“, „მალნართ“).

ატენის „ნუსხა“ ორთოგრაფიულ განსხვავებასაც გვიჩვენებს ოშკურისა და იერუსალიმურისაგან: „უე“ კომპლექსი იგი წერს „მ“-ით („შუენიერებამან“ — „შუენიერებამან“, „ქუეყანა“ — „ქუეყანა“).

წინასწარმეტყველ ეზეკიელის გრაგნილზე წაწერილი (№ 22) ციტატა (37,5—6) „ძველი აღთქმის“ ოშკურ და იერუსალიმურ ნუსხებთან შედარებით ასეთ სიტუაციას გვიჩვენებს:

ატენის სიონის

ოშკური

„ამას ეტყვს უფალი ძუალეებსა ამას: აჰა, ესერა მოგცე თქვენ ზედა [სული ც]ხორ[ებისა] და მოგც[ე] თქვენ [ზე]და [ძა]რღუ და აღმო[ვაც]ენო თქვენ ზედა კორცი და [გა]რდამოვართხა თქვენ ზედა ტყავი და მოგცე სული ჩემი და სცხონდეთ“.

„ამას გეტყვს უფალი უფალი ძუალთ მაგათ განკმელთ: აჰა, ესერა მე მოგცე თქვენ ზედა სული ცხორებისა და მოგცე თქვენ ზედა ძარღუ და აღმოვაცენო თქვენ ზედა კორცი, გარდაგართხა თქვენ ტყავი და მოგცე თქვენ ზედა სული ჩემი და სცხონდეთ“.

იერუსალიმური

„მას იტყვს უფალი უფალი ძუალთა მათ კმელთ: აჰა, ესერა მე მოგცე თქვენ ზედა სული ცხორებისა და მოგცე თქვენ ძარღუ და აღმოვაცენო თქვენ ზედა კორცი, და გარდაგართხა თქვენ ტყავი და მოგცე თქვენ ზედა სული ჩემი და სცხონდეთ“.

ატენური „ნუსხა“ აშკარად განსხვავდება ორივე უძველესი რედაქციისაგან. შეიძლება არ მივიღოთ მხედველობაში მისი ეკონომიურობა სიტყვიერი მასალის მიხედვით, რადგან ტექსტი კედელზე იწერებოდა და, ცხადია, დამწერს ადგილის სიმციროს გამო შეეძლო „უფალი უფალი“ არ გაემეორებინა, ან „მე მოგცე“-ს მაგიერ დაწერა უბრალოდ „მოგცე“. შეიძლება დავუშვათ შემთხვევითი გამორჩენის შესაძლებლობაც. მაგალითად, „განკმელთა“ ან „კმელთა“ შეიძლება მექანიკურად გამორჩა კალიგრაფისტს. მაგრამ ამით გარეშე განსხვავება საგრძნობი რჩება და უნდა ვიფიქროთ, რომ ატენის სიონში ეზეკიელ წინასწარმეტყველის გრაგნილზე ტექსტის დამწერს დედნად ჰქონდა ბიბლიის დღეისათვის ჩვენთვის უცნობი ვერსია.

იოველ წინასწარმეტყველის ფრესკული გამოსახულების გრაგნილზე წაწერილი (№ 24) ტექსტი (3,12—13) თითქმის მთლიანად იდენტურია ოშკური ბიბლიის შესაბამისი ციტატისა. მეტი მას აქვს მხოლოდ დასაწყისი სიტყვები:

„ამას იტყვს უფალი“, რომელიც არც სხვა რედაქციებში გვხვდება და, ჩანს, წარწერის ავტორმა სხვა წინასწარმეტყველთა გრაგნილებზე წარწერების ანალოგიურად გაუკეთა, რათა უფრო გასაგები გამხდარიყო მკითხველისთვის, თუ ვის სიტყვებს კითხულობს. ერთადერთი ფონეტიკური განსხვავება ამ ორ განსახილველ ტექსტს შორის არის ატენის სიონის „სასჯელად“, საწინააღმდეგოდ ოშკური ხელნაწერის „საშჯელად“-ისა.

უფრო მნიშვნელოვანია განსხვავება გელათურ ბიბლიასთან, ამიტომ ატენის სიონის ტექსტს სწორედ მასთან პარალელურად მოვიტანთ.

ატენის სიონის

„ამას იტყვს უფალი: აღდგედ და აღვიდედ ყოველი თისლები ქვესა მას იოსაფატისსა, რამეთუ მუნ დავჯდე სასჯელად ყოველთა ნათესავთა გარემოჲს. განავლინენით მანგალნი, რამეთუ მოწვევულ არიან სასთულებელი“.

იოველ წინასწარმეტყველის გრაგნილზე ასახული ციტატის შედარება სხვა, ჩვენამდე ხელნაწერებით მოღწეულ რედაქციებთან კვლავ იმ პარალელს გვაწვდის, რომ ატენის სიონის მხატვარს ან მის შემკვეთს ხელთ უპყრია „ძველი აღთქმის“ ისეთი ნუსხა, რომელიც ძლიერ ახლოს დგას „ძველი აღთქმის“ ოშკურ ხელნაწერთან.

დანიელ წინასწარმეტყველის ფრესკული გამოსახულების გრაგნილზე წაწერილი (№ 26) ტექსტი (7,9—10) კვლავ მეტ სიახლოვეს იჩენს ოშკურ რედაქციასთან, თუმცა არის განსხვავებებიც.

ატენის სიონის

„და ვხედვედ მე, დანიელ ვ[ითარმედ] საყდარნი დაიდგნეს და ძუელი იგი დღეთაჲ დაჯდა. სამოსელი მისი სპეტაკ, და თმაჲ თავისა მისისაჲ, ვითარცა მატყლი წმიდაჲ, და საყდარი მისი, ვითარცა ალი ცეცხლისაჲ. მდინარე ცეცხლისაჲ დიოდა წინაშე მისსა. ბევრნი ბევრთანი დგეს წინაშე მისსა და ათასნი ათასთანი ჰმსახურებდეს მას“.

გელათური

აღდგედ და აღვიდედ ყოველნი ნათესავნი დღელდ მიმართ იოსაფატისსა, რამეთუ მუნ დავჯდე განშჯად ყოველთა ნათესავთა გარემო. განავლინენით მანგალნი, რამეთუ წარმოდგას მსთულებული“.

ოშკური

„და ვხედვედ მე, ვიდრემდის საყდარნი დაიდგნეს და ძუელი იგი დღეთაჲ დაჯდა. სამოსელი მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი, და თმაჲ თავისა მისისაჲ, ვითარცა მატყლი წმიდაჲ. და საყდარი მისი, ვითარცა ალი ცეცხლისაჲ, და ეტლის-თუალნი მისნი ცეცხლებრ შემწუელ. მდინარე ცეცხლისაჲ იქცეოდა წინაშე მისსა. ათასნი ათასთანი ჰმსახურებდეს მას და ბევრნი ბევრთანი დგეს წინაშე მისსა“.

იერუსალიმური

„ვხედვედ მე, ვიდრემდე საყდარნი დაიდგნეს და ძუელი იგი დღეთაჲ დაჯდა. სამოსელი მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი,

თმა თავისა მისისაჲ, ვითარცა მატყლი წმიდაჲ. და საყდარი მინა-
ვითარცა ალი ცეცხლისაჲ, და ეტლის-თუალნი მისნი ცეცხ-
ხლებრ შემწულ. მდინარე ცეცხლისაჲ იძრვთ წინაშე მისსა. ათასნი ათასთანი ჰმსახურებდეს მას და ბევრნი ბევრ-
თანი დგეს წინაშე მისსა“.

განსხვავებები ატენისა და ოშკურ ტექსტებს შორის მცირეა. მაგრამ
მაინც არის იმდენი, რომ ისინი სხვადასხვა რედაქციებად თუ არა, განსხვავე-
ბულ ნუსხებად მაინც ჩავთვალოთ. შესაძლოა სახელი „დანიელ“ ტექსტში
ჩამატებული იყოს ატენის სიონის მხატვრის მიერ მეტი სიცხადისათვის, თუ
ვის ეკუთვნის წინასწარმეტყველება. შესაძლოა ბოლო ფრაზის მეტათეზისიც
ზეპირი ციტირების ბრალია და არა მისი წიგნური დედნისა, მაგრამ ისეთი
განსხვავება, როგორცაა „მდინარე ცეცხლისაჲ დიოდა წინაშე მისსა“ და
„მდინარე ცეცხლისაჲ იქცეოდა წინაშე მისსა“, მაინც სერიოზულ განსხვავე-
ბად უნდა იქნეს მიჩნეული. კიდევ უფრო სცილდება ატენური ტექსტი იერ-
უსალიმურს, თუმცა სწორედ ამ ადგილას ოშკური და იერუსალიმური რე-
დაქციები შედარებით ახლოს არიან ერთმანეთთან.

საერთო დასკვნა ასეთია: ატენის სიონის განმარტებითი ფრესკული წარ-
წერებისათვის დედნად გამოყენებულია „ძველი ალექსის“ ქართული თარგმა-
ნის ისეთი ტექსტი, რომელიც ჩვენამდე მოღწეულთაგან ყველაზე ახლოს არის
ე. წ. ოშკურ ბიბლიასთან (978 წ.), მაგრამ მისგანაც განსხვავდება. შესა-
ძლებელია, ატენის სიონის წარწერებმა დაადასტურა
ქართული ბიბლიის კიდევ ერთი, ჩვენთვის უცნობი
რედაქციის არსებობა.

საქართველოს ენობის ენციკლოპედია

საქართველოს ენობის ენციკლოპედია

შ ე ე ს ე ე ბ ი




საქართველოს ენობის ენციკლოპედია

საქართველოს ენობის ენციკლოპედია

საქართველოს ენობის ენციკლოპედია

**XI ს. განმარტებითი წარწერა აპარონ წინასწარმეტყველის
ფრესკულ გამოსახულებაზე**

ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ბემის თალის ჩრდილოეთ კალთაზე გამოსახული პირველი ფიგურის შარავანდედთან. შემორჩენილია მხოლოდ შარავანდედის მარცხენა მხარეს. შესრულებულია წითური ყავისფერი საღებავით. ქარაგმის ნიშნის მხოლოდ ნაშთილა მოჩანს. იდენტიფიკაცია ეკუთვნის შ. ამირანაშვილს [18, 81]. წარწერის გადარჩენილ ნაწილს უკავია 16,5×14 სმ ფართობი, ასოების სიმაღლეა 12—6 სმ. ვაქვეყნებთ მხოლოდ მონახაზს.



სურ. 2

წწ^უ ||

წ(ინა)წ(არმეტყუელი) // [აპარონ]

3

**XI ს. განმარტებითი წარწერა დავით წინასწარმეტყველის
ფრესკულ გამოსახულებაზე**

ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ბემის თალის ჩრდილოეთ კალთაზე გამოსახული მეორე ფიგურის შარავანდედის ორივე მხარეს. შესრულებულია წითური ყავისფერი საღებავით. ქარაგმის ნიშანი სხვადასხვა მხარეს მიმართული ბოლოკაუქიანი პორიზონტალური ხაზი. წარწერას ეკავა 1) 14×13 სმ. 2) 10×8 სმ ფართობი. ასოების სიმაღლეა 10—5 სმ.



ჩქუნ ბმ

სურ. 3

ჩქუნ || ბმ

წ(ინა)წ(არმეტყუელი) // ღ(ავი)თ

4

XI ს. განმარტებითი წარწერა გაბრიელ მთავარანგელოზის ფრესკულ გამოსახულებაზე

ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა საკურთხეველის კონქის სამხრეთ კალთაზე გამოსახული მესამე ფიგურის შარავანდედის თავზე. შესრულებულია თეთრი საღებავით. ქარაგმის ნიშანია სხვადასხვა მხარეს მიმართული ბოლოკაუჭიანი მოკლე ტალღისებრი ხაზი. წარწერის გადარჩენილ ნაწილს უკავია 20x12 სმ ფართობი, ასოების სიმაღლეა 8,5—6 სმ.

გამოცემა: [10] თ. ბარნაველი, 27 (დედნის შრიფ., მხედრ. ტრანსკრ.).

მუნ რ

სურ. 4

მუნ რ, 4]

მ(თავარანგელო)ზი გ(ა)ბ[რიელ]

1. წყნე || -:ც,ზ
4. ნე || კოზ.

1. წ(ინა)წ(არმეტყუელი) || [ნა]თლი[სმცე]
2. ი(ო)ნე || მელ[ი]



1 წინასწარმეტყუელი იოანე [...]
თ. ბ.
2 მეტ[...] თ. ბ.

7

XI ს. განმარტებითი წარწერა იოანე ნათლისმცემლის ფრესკული გამოსახულების გრაგნილზე

რეასტრიქონიანი ასომთავრული წარწერა გრაგნილზე, რომელიც ხელთ უპყრია იოანე ნათლისმცემელს. შესრულებულია შავი საღებავით. მეექვსე სტრიქონში მოჩანს ქარაგმის ნიშნის ფრაგმენტი. ტექსტს აბოლოვებს ყვავისფრჩხილოვანი. ძლიერ დაზიანებულია მე-3 და მე-5 სტრიქონები. თ. ბარნაველს ამოკითხული აქვს მხოლოდ მე-6 სტრიქონი. მთლიანად წარწერას უკავია 56×18 სმ ფართობი. ასოების სიმაღლეა 6—4 სმ.

გამოცემა [10] თ. ბარნაველი, 27 (დედნის შრიფ., მხედრ. ტრანსკრ.)



სურ. 7

1. ყუ-ჩხ
2. ჩუ-ც, ჩუ-ც;
3. ჭუ-ც;
4. ჭც
5. ჭუ
6. სსაფ
7. ცცც
8. ა>


1. შე[ი]ნა
2. ნეთ ც[ო]
3. დვა[ნი],
4. რ(აბთ)ა [მო]
5. გე[ნიჭოთ]
6. ს(ა)სუფ[ველი]
7. ცათა
8. ა

სსაფ
-----ა>
----- თ. ბ.

6. „...სასუფ(ველ)თა...“ (9) თ. ბ.

XI. განმარტებითი წარწერა თომა მოციქულის ფრესკულ
გამოსახულებაზე

ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა საკურთხეველის პირველი რეგისტრის პირველი ფიგურის შარავანდედთან. შემორჩენილია მხოლოდ შარავანდედის მარცხენა მხარეს. შესრულებულია თეთრი საღებავით. ქარაგმის ნიშანია სხვადასხვა მხარეს მიმართული კიდურწერტილოვანი მოკლე ჰორიზონტალური ხაზი. წარწერის შემორჩენილი ნაწილის ფართობია 11×7,5 სმ, ასოების სიმაღლე — 15—9 სმ.



სურ. 8

წ-ა ||

წ(მილა)ა || [თომა]

XI ს. ბანმარტბიტი წარწერა იაკობ მოციქულის ფრესკულ
 ბამოსახულებავი

ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა საკურთხევლის მოხატულობის პირველი რეგისტრის მეორე ფიგურის შარავანდედთან. შემორჩენილია მხოლოდ შარავანდედის მარჯვენა მხარეს. შესრულებულია თერთი საღებავით. ქარაგმის ნიშანია კიდურწერტილოვანი მოკლე ოდნავ მარჯვნივ აზიდული ჰორიზონტალური ხაზი. წარწერის შემორჩენილ ნაწილს უკავია 10×9 სმ ფართობი, ასოების სიმაღლეა 6,5—5,5 სმ.



სურ. 9


|| 76-4

[წ(მილა)ა] || ი(ა)კ(ო)ბ

10

 XI ს. ბანმარტბიტი წარწერა სიმონ მოციქულის ფრესკულ
 ბამოსახულებავი

ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა საკურთხევლის მოხატულობის პირველ რეგისტრში მესამე ფიგურის შარავანდედის ორივე მხარეს. შესრულებულია თერთი საღებავით. ქარაგმის ნიშანია სხვადასხვა მხარეს მიმართული კიდურწერტილოვანი მოკლე ჰორიზონტალური ხაზი. წარწერის ფართობია 1) 11,5×6,5 სმ 2) 11,5×6,5 სმ, ასოების სიმაღლე — 9—4 სმ.



სურ. 10

ჩა || სამ

წ(მილა)ა || სიმ(ე)ონ

XI ა. განმარტებითი წარწერა ლუკა მახარებლის ფრესკულ
 გამოსახულებაზე

ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა საკურთხეველის პირველ რეგისტრში მეოთხე ფიგურის შარავანდედთან. შემორჩენილია მხოლოდ შარავანდედის მარცხენა მხარეს. შესრულებულია თეთრი საღებავით. ქარაგმის ნიშანია სხვადასხვა მხარეს მიმართული კიდურკაუჭიანი მოკლე ჰორიზონტალური ხაზი. წარწერის გადარჩენილი ნაწილის ფართობია 10,5×7,5 სმ, ასოების სიმაღლე — 8—4,5 სმ.



სურ. 11

წა ||

წ(მიდა)ა || [ლუკა]

 XI ს. განმარტებითი წარწერა იოანე მახარებლის ფრესკულ
 გამოსახულებაზე

ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა საკურთხეველის მოხატულობის პირველ რეგისტრში მეხუთე ფიგურის შარავანდედთან. წარწერა შემორჩენილია მხოლოდ შარავანდედის მარჯვენა მხარეს. შესრულებულია თეთრი საღებავით. ქარაგმის ნიშანია კიდურკაუჭიანი, მარჯვნივ ოდნავ აზიდული მოკლე ჰორიზონტალური ხაზი. წარწერის შემორჩენილი ნაწილის ფართობია 8×8 სმ, ასოების სიმაღლე — 5,5—4,5 სმ.



სურ. 12

|| წა

[წ(მიდა)ა] || ი(ოანე)

XI ს. განმარტებითი წარწერა კავლე მოციქულის ფრესკულ
გამოსახულებაზე

ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა საკურთხევლის მოხატულობის პირველ რეგისტრში მეექვსე ფიგურის შარავანდედის ორივე მხარეს. შესრულებულია თეთრი საღებავით. ქარაგმის ნიშანია სხვადასხვა მხარეს მიმართული კიდურკაუჭიანი მოკლე ჰორიზონტალური ხაზი. წარწერის შემორჩენილი ნაწილის ფართობია 1) 9 × 7 სმ 2) 5,5 × 4,5 სმ. ასოების სიმაღლეა 1) 6—4 სმ 2) 5,5 სმ.



სურ. 13

წა || ს

წ(მიდა)ა || პ[ავლე]

14

XI ს. განმარტებითი წარწერა კატრა მოციქულის ფრესკულ
გამოსახულებაზე

